ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი-კვირა

6 — 7 აგვისტო, 2011 №185 (5566 ) ფასი: 30 თეთრი

## კიევის სასამართლომ იულია ტიმოშენკო დააპატიმრა

გვ.7



გვ.12




TV პროგრამა გვ.10



## დიმიტრი მედვედევი: „გულწრფელად მინდა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები სრულად აღდგეს“

გვ.6 რუსეთის პრეზიდენტის უპრეცედენტო ინტერვიუ

## ხელისუფლება კახი კალაძეს ქონებას ართმევს!





გვ.2

ლეიბორისტები ფეხბურთელის დაცვას საელჩოებს სთხოვენ

## კახეთში მათხოვრები დასაქმებულთა სიაში შეიყვანეს

გვ.3



## რამაზ საყვარელიძე: დიმიტრი მედვედევმა პუტინის წინააღმდეგ განცხადება გააკეთა

გვ.7



## ხელისუფლებამ აქტივისტების მოსამზადებლად ნახევარი მილიონი დახარჯა

გვ.3

## ნაციონალები წინასაარჩევნო კამპანიას სექტემბერში იწყებენ



## ჩემს შვილს ჰგონია, რომ ტელევიზორში ვმუშაობ

გვ.4

დეპუტატი ანჯაფარი ე სპორტზე არალეგალურად დადიოდა

## ჩემი ერთადერთი შვილი შიდსითაა დაავადებული

გვ.11



ვინ შეაცვლევინა გადაწყვეტილება როდიკო ტატიშვილს

## 18 წლისამ კინაღამ ცოლი მოიყვანე

გვ.5

ISSN 1987-9385

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## რუსეთში საქართველოს ვიზების გაცემა შეჩერდა

გვ.7

შორენა კოწოწაშვილი

# ხელისუფლება კახი კალაძეს ქონებას ართმევს!



## ლეიბორისტები ფეხბურთელის დაცვას საელჩოებს სთხოვენ

**ლეიბორისტული პარტია სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან დაკანონებულ ექსპროპრიაციის ტენდენციას აპროტესტებს. შრომის პარტიაში მიაჩნიათ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება, რომელიც განცხადებების დონეზე კერ ო საკუთრების ხელშეუხებლობას იცავს, რეალურად აქტიურად არის დაკავებული როგორც სახელმწიფო ქონების, ისე კერ ო საკუთრების მითვისებით და საბოლოოდ ამ ქონებას ინვესტიციების რანგში აპიარებს.**

შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელები პირობას დებენ, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მოხდება უკანონოდ ჩამორთმეული ქონების საკითხების შესწავლა და, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, კანონიერ მფლობელთათვის დაბრუნება.



ლეიბორისტულ პარტიაში პოლიტიკურ ანგარიშსწორებად მიიჩნევენ ფეხბურთელ კახი კალაძის წინააღმდეგ აგორებულ კამპანიას და მიაჩნიათ, რომ სააკაშვილი კალაძეს პირადი ამბიციების გამო უსწორდება.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ნესტან კირთაძე, რამდენიმე დღის წინ მთავრობის სხდომაზე ფეხბურთელ კახი კალაძისთვის მისი პირადი ქონების — „არსენალ სითის" ჩამორთმევასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს სპეციალური განცხადებით ეხმიანება და კალაძის ბიზნეს-ინტერესების შევიწროებას პოლიტიკური შეხედულებებით ხსნის.

— ეს არის პირდაპირი, მორიგი დასჯა კახი კალაძისა და მისთვის ამჯერად 18 მლნ-ის წართმევის საბაბით. ეს ყველაფერი კი ხდება მხოლოდ იმის გამო, რომ ცნობილი ფეხბურთელის პოლიტიკური შეხედულებები ამ ხელისუფლებისთვის მისაღები არ არის. ჩვენ კიდევ ერთხელ ვაპროტესტებთ ხელისუფლების ექსპროპრიაციების ცნობილ პოლიტიკას და მივმართავთ მიხეილ სააკაშვილს: შეწყვიტოს ბოლშევიკური პრაქტიკა, ამ ქვეყანაში მოქმედება შერჩევითი სამართლის მიხედვით და ქართველების დაყოფა მომხრეებად და მტრებად, — აცხადებს ნესტან კირთაძე.

ლეიბორისტული პარტიის წევრი პარტიის სახელით გაკეთებული განცხადებით მიმართავს ხელისუფლებას, პოლიტიკურ ინტერესებს არ შესწიროს 700 მლნ-იანი ინვესტიცია და კალაძესთან მოლაპარაკებები განაახლოს.

— მივმართავთ ხელისუფლებას, რათა განაახლოს ხელოვნურად შეწყვეტილი მოლაპარაკებები კახი კალაძესთან და, შესაბამისად, განაახლოს ცნობილი ფეხბერთელის მიერ საქართველოში 700 მლნ-იანი ინვესტიციის შესაძლებლობის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს 25 ათასი კაცის დასაქმებას და რომლის სრულად განხორციელებას თავის დროზე აგვისტოს ომმა და შექმნილმა ფორსმაჟორმა შეუშალა ხელი, — განაცხადა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ნესტან კირთაძემ, რომელიც ვარაუდობს, რომ ფეხბურთელის განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო ხელისუფლებასთან ხელოვნურად შექმნილი ეს დავა ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში გადაინაცვლებს, რაც, რასაკვირველია, მორიგი მძიმე მაგალითი აღმოჩნდება ყველა იმ ინვესტორისთვის, რომელიც საქართველოში ინვესტირებას გეგმავს. ლეიბორისტული პარტია სრულ მხარდაჭერას უცხადებს ცნობილი ფეხბურთელის კახი კალაძის ბიზნეს-ინიციატივების განხორციელებას საქართველოში, — აღნიშნა ბოლოს კირთაძემ.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ინფორმაცია აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით უკვე გადაეგზავნა საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებსა და მისიებს და გავრცელდება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში.

პრესკონფერენციის ბოლოს ნესტან კირთაძეს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

***— ქალბატონო ნესტან, რატომ ფიქრობთ, რომ კახი კალაძეზე პოლიტიკური შეხედულებების გამო ხორციელდება სახელისუფლებო წნეხი და რა ხდება მის ბიზნეს-ინტერესებთან მიმართებით?***

— აქ მთავარი არ არის, ვინ რას ფიქრობს და როგორ ინტერპრეტაციას მისცემს. აქ მთავარია, რომ ეს გახლავთ უკანასკნელი წლების ფაქტი და შეეხება ყველა იმ ადამიანს, რომელიც არ არის ამ ხელისუფლების გუნდის წევრი ან გუნდთან დაახლოებული ბიზნესმენი. ბოლო 5-6 წლის განმავლობაში საქართველომ იხილა სახელისუფლებო დალაშქვრა როგორც მსხვილი ბიზნესისა, ასევე მათი მორალური და ფიზიკური განადგურების მცდელობები. სრული დალაშქვრა საშუალო ბიზნესისა და პრაქტიკულად მათთვის საარსებო სივრცის მოსპობა. ეს შეეხება მაღალ გადასახადებს, სალარო აპარატებს, მათი ბიზნეს-საქმიანობის დაუცველობას; ეს შეეხება პირად განწყობებსა და შეხედულებებს. სრულიად გამაოგნებელი დამოკიდებულება იყო წვრილ ბიზნესთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, დღეს ქართულ საპყრობილეებში სხედან ცნობილი ბიზნესმენები, რომელთა გვარები საქართველოში ზოგის გახმაურებულია, ზოგის — უცნობია. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც პირდაპირ მოსთხოვეს მათი საკმაოდ დიდი ქონების უპირობოდ ხელისუფლებისთვის გადაცემა. მე ვიცი ერთი ასეთი ბიზნესმენი, რომელმაც უარი განაცხადა ამაზე. ვიცი ის ადამიანი, რომელმაც საკმაოდ ვაჟკაცურად და მკაცრად უთხრა მათ, რამდენი წელსაც მიუსჯიან, ციხეში იქნება და ამ ხელისუფლებისთვის რაიმე ტიპის ქონების გადაცემას არ აპირებს. თუმცაღა, მანამდე რამდენჯერმე მოხდა მისი ქონების წართმევა. იმისათვის, რომ მას არ შეექმნას რაიმე ტიპის უხერხულობა ან ხელისუფლებისგან მასზე ზეწოლა არ მოხდეს, მე მის ვინაობას არ დავასახელებ. თუმცა, მადლობელი ვარ მისი ასეთი ვაჟკაცური ნაბიჯისთვის, იმიტომ რომ მთელ ამ პროცესში სიმართლემ და ვაჟკაცობამ უნდა გაიმარჯვოს. ვიღაცამ ეს უნდა გააკეთოს, როგორც მორალური მაგალითი. კახი კალაძე არის მორიგი, იგი არ არის პირველი. იგი არის მორიგი, რომელიც ამჯერად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო დაისაჯა და დაისაჯა საკმაოდ მაღალი რანგის ტრიბუნიდან. მთავრობის სხდომაზე განიხილეს მისთვის „სითი არსენალის" ჩამორთმევის საკითხი. შეგახსენებთ, რომ კალაძის მიერ აგვისტოს ომამდე წამოწყებული ბიზნეს-პროექტი იყო ძალიან მაღალი დონის და ყველას თვალსა და ყურს სჭრიდა. ეს იყო პრაქტიკულად ქალაქი ქალაქში. 700 მლნ-იანი ინვესტიცია რამდენიმე წლის მანძილზე უნდა განხორციელებულიყო და მოიცავდა რამდენიმე პროექტს რეკრეაციული ზონების ჩათვლით. მაგრამ ომის შემდეგ საქართველოში ბევრი ინვესტორი დაზარალდა. კახი კალაძის შემთხვევაში ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ რესტრუქტურიზაცია რაღაცა ვალისა, რომელიც 2008 წლის დეკემბრამდე უნდა დასრულებულიყო, არ განახორციელა. პრაქტიკულად, ისე გამოვიდა, რომ კალაძემ 18 მლნ ჩადო ამ პროექტში. ამის შემდეგ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. დღეს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ის 18 მლნ სრულიად უაპელაციოდ, მათი გაგებით, მიითვისოს. ეს არის მორიგი ექსპროპრიაცია ამ ხელისუფლებისა.

***— ხელისუფლებამ გააკეთა განცხადებები, რომ კახი კალაძემ საპატრიარქოს კუთვნილი მიწები მიითვისა ამ პროექტის განხორციელებაში. სიმართლეს შეესაბამება ეს ინფორმაცია?***

— პირდაპირ გეტყვით: მიიტაცა საპატრიარქოს რამდენიმე ჰექტარი მიწა და ეს მიწები ხელშეკრულების გაფორმების დროს კალაძეს გაუფორმა, როგორც ხელშეკრულებით გადაცემული უძრავი ქონება. ასე რომ, არის ძალიან ბევრი კაზუსი. არის ბევრი პრობლემა. და ეს არ არის მხოლოდ მორალური პრობლემა და არც ფინანსური. ეს არის დღევანდელი ქართული პოლიტიკის რეალობა. ეს არის ბოლშევიკური ექსპროპრიაციული პოლიტიკა, რომელიც აფრთხობს ყველას და ყველაფერს. მაგრამ ესეც არ არის მთავარი. მთავარია, რომ გრძელდება ისედაც დაყოფილი და დახლეჩილი საქართველოს მოსახლეობის დაყოფა ამ ხელისუფლების მომხრეებად და მტრებად.

***— კახი კალაძე თავისი მტრების რიგებში ჩაწერა ამ ხელისუფლებამ?***

— რასაკვირველია. მას ჰქონდა კონკრეტული ეპიზოდი ამ ხელისუფლებასთან სიამტკბილობით თანამშრომლობის. თითქოს კალაძეს წარმატებებიც გარანტირებული ჰქონდა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც მან გადაწყვიტა, რომ კონკრეტული პოზიციები ჰქონოდა, მაგალითად, აგვისტოს ომთან, გიორგი დემეტრაძესთან, ბევრ მორალურ და ზნეობრივ საკითხთან, სადაც მან მორალის, ქართული ტრადიციის, ვაჟკაცობის მხარეზე მიიღო გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, იგი სამაგალითოდ უნდა დასჯილიყო. მისი დასჯა გამოიხატა სწორედ ქონების ჩამორთმევის, მორიგი ექსპროპრიაციის, 18 მლნ-ის წაგლეჯით ამ ეტაპზე. თუმცა, აქ არის ერთი ძალიან სერიოზული მაგრამ: არავინ დაკარგავს 18 მლნ-ს და არავინ შეეგუება ამ ტიპის ზეწოლების განხორციელებას. მხედველობაში მაქვს ღირსების მქონე ადამიანი. სავარაუდოდ, ჩვენი ინფორმაციით, ალბათ, ეს დავა ხელისუფლებასა და კახი კალაძეს შორის გადავა ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში, რომელიც იქნება მკაფიო და კონკრეტული მაგალითი, მძიმე მაგალითი ყველა იმ ინვესტორისთვის, ქართველი იქნება ის თუ უცხოელი, რომელსაც თეორიულად მაინც აზრად მოუვა საქართველოში ინვესტიციების განხორციელება.

***— ხელისუფლება საკმაოდ ბევრს მუშაობს, რომ საქართველოში ინვესტიციები შემოვიდეს. კალაძის შემთხვევაში მან სოლიდური ინვესტიცია და 25 ათასი სამუშაო ადგილი პოლიტიკურ ამბიციებს შესწირა?***

— რა თქმა უნდა. ეს არის აბსოლუტურად თეორიული კატეგორია და ხელისუფლებისგან კარგადაა გაპიარებული. ხელისუფლებამ შექმნა მოქმედების შემდგომი მექანიზმი, რომ ინვესტიცია დაარქვას სახელმწიფო ქონებაში არსებულ სტრატეგიულ ან მნიშვნელოვან ობიექტებს და მათთან დაახლოებულ პირებზე გააფორმოს. სინამდვილეში კი მათი ძირითადი ქონების მფლობელები გახდნენ თავად. პოლიტიკა, რომელსაც ისინი აწარმოებენ და რომელსაც მდგრადი ვერ ჰქვია, სინამდვილეში ამ ხელისუფლების წევრების ან მათთან დაახლოებული ადამიანებისთვის სახელმწიფოს ხარჯზე ახალი ქონების მიღება-დაპატრონებაა, ხოლო ახალი კამპანიების შემდეგ — ხელისუფლების მხრიდან გამოცხადება იმისა, რომ ხელისუფლება მხარს უჭერს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას. სინამდვილეში ეს ხელისუფლება თავისი პირადი ქონების ხელშეუხებლობას დაუჭერს მხარს და არასოდეს გადასინჯავენ, ასე ვთქვათ, ამ ქონების წარმოშობის სამართლიანობის საკითხს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნაციონალები წინასაარჩევნო კამპანიას სექტემბერში იწყებენ

## ხელისუფლებამ აქტივისტების მოსამზადებლად ნახევარი მილიონი დახარჯა

ნათია ხურცილავა

**„ნაციონალურმა მოძრაობამ" მომავალი არჩევნებისთვის მზადება დაიწყო. ამ ინფორმაციას „ეროვნული ფორუმი" ავრცელებს.**

გუშინ საგანგებო პრესკონფერენციაზე პარტიული დაგეგმვის ბიუროს ხელმძღვანელმა ანი მიროტაძემ განცხადება გააკეთა.

— უკვე მზად არის ნაციონალური საარჩევნო სქემა, რომლის ნაწილიც სახელისუფლებო ვერტიკალის მაღალჩინოსნებმა უკვე წარუდგინეს საკუთარ აქტივისტებს, უბნებისა და ზონების კოორდინატორებს, საარჩევნო კომისიის წევრებს და ზოგადად ე.წ. ნაციონალურ აქტივს. საგანგებო სემინარები „ნაციონალური აქტივისთვის" მაისის ბოლოდან დაიწყო და ახლაც მიმდინარეობს დაბა ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისში". აქტივისტებმა პარტიული ელიტის წარმომადგენლებისგან დირექტივები მიიღეს, რომელიც ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის შემოვლასა და მათი განწყობების შემოწმებას ისახავს მიზნად. ნაციონალი აქტივისტების შემოვლა ამ დღეებში დაიწყება და სექტემბრის დასაწყისში დასრულდება, — განაცხადა მიროტაძემ.

გადამზადება თბილისელი აქტივისტებისთვის, როგორც მიროტაძე აცხადებს, ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და 28 ივნისს დასრულდა. რაც შეეხება რეგიონულ აქტივისტებს, მათი გადამზადება გრძელდება.

— დედაქალაქის მასშტაბით გადამზადდა 2000-ზე მეტი აქტივისტი და მხოლოდ თბილისის ნაკადისთვის სემინარების ჩატარებაზე 500 ათას დოლარზე მეტი დაიხარჯა, რაც თბილისის ბიუჯეტიდან დაიფარა, თუმცა, ჩვენ ოფიციალური დოკუმენტის მოპოვება აღნიშნულ ხარჯთან დაკავშირებით, რასაკვირველია, ვერ შევძელით. სასტუმრო „ოაზისის" ადმინისტრაციის წარმომადგენლები კი პრივატულ საუბრებში ადასტურებენ, რომ მათ შეკვეთა სწორედ თბილისის მერიისგან მიიღეს. ინფორმაციის ოფიციალურად მოძიება შესაძლებელი არ იყო, მაგრამ აღნიშნული ინფორმაცია გადავამოწმეთ, — აცხადებს ანი მიროტაძე.

მიროტაძის ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის" თბილისის აქტივისთვის სემინარების ჩატარების პროცესს პირადად ესწრებოდნენ გიგი უგულავა, მამუკა ახვლედიანი, კოკი იონათამიშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, ხათუნა ოჩიაური და ზურაბ მელიქიშვილი. სემინარს ორგანიზებას ძველი თბილისის რაიონის გამგებელი დავით ავალიანი უწევდა.

როგორც „ეროვნულ ფორუმში" აცხადებენ, ეს ინფორმაცია მათ იმ პირისგან მიიღეს, რომელიც სემინარს ესწრებოდა, თუმცა, ცხადია, ანონიმურად.

— მოლოდინები არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოში ძალიან მაღალია, გამომდინარე იქიდან, რომ 2012 წლიდან ჩვენ გადავდივართ საარჩევნო რეჟიმში. შესაბამისად, მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ იწყება არჩევნებისთვის საქართველოში მზადება. „ნაციონალურმა მოძრაობამ" არჩევნებისთვის მზადება ძალიან ბევრი დარღვევით დაიწყო, — განაცხადა მიროტაძემ.

„ეროვნული ფორუმის" წარმომადგენელი ვერავითარ დანაშაულს ვერ ხედავს იმაში, რომ ერთი კონკრეტული პარტია არჩენებისთვის ემზადება და მას არჩევნებში გამარჯვება სურს. დანაშაული, მისი თქმით, იკვეთება სწორედ იმაში, რომ ერთმა პარტიამ ბიუჯეტის ფული გამოიყენა თავისი პირადი მიზნებისთვის.

— რა თქმა უნდა, ყველა ნორმალური პოლიტიკური ძალა უნდა ემზადებოდეს იმისთვის, რომ გაიმარჯვოს არჩევნებში, მით უმეტეს ამ არჩევნებს ძალიან პრინციპული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პრობლემაა 500 ათასი დოლარი, რომელიც ერთი კონკრეტული პარტიის პარტიული საქმიანობისთვის გადაირიცხა დედაქალაქის ბიუჯეტიდან ანუ ჩვენი ბიუჯეტიდან, რომელსაც, წესით, ჩვენ, მოქალაქეები უნდა ვაკონტროლებდეთ და ჩვენ უნდა გვეკითხებოდნენ, როგორ და რაში დახარჯონ ეს ფული, — ამბობს მიროტაძე.

მიროტაძე იმაზეც საუბრობს, თუ უკვე რამდენი პირის გადამზადება მოხდა და რა დაუჯდა ბიუჯეტს.




— გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში 3700 საარჩევნო უბანია, დაახლოებით „ნაციონალური მოძრაობის" 40 ათასი აქტივისტის გადამზადებაა გათვალისწინებული. მათი გადამზადება, თითოეული აქტივისტის ცხოვრების ხარჯები, რომ ისინი სამი დღის განმავლობაში იცხოვრებენ სასტუმროში, დაახლოებით 5 მილიონ დოლარზე მეტი დაჯდება, რომელიც, სავარაუდოდ, საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყოფა, — ამბობს მიროტაძე.

„ეროვნულ ფორუმში" ასევე აცხადებენ, რა დავალებები მიიღეს აქტივისტებმა.

— თითოეული უბნიდან სემინარზე 11 პირი ჰყავდათ წაყვანილი, აქედან — 7 კომისიის წევრი და 5 უბნის ხელმძღვანელი. ამ აქტივისტებმა მიიღეს დავალებები, რომ ე.წ. სამაგიდო სიების გადამოწმების გარდა, აქტიურად იმუშაონ იმ სოციალური პრობლემების გადაფარვაზე, რომლებიც ბოლო პერიოდში საზოგადოებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა (ნაგვის გადასახადის გაზრდა, მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის მომატებული გადასახადი და ა.შ.), — განაცხადა მიროტაძემ.

ფორუმის პარტიული დაგეგმვის ბიუროს ხელმძღვანელის ინფორმაციით, თბილისის ნაკადის გადამზადება უკვე დასრულებულია, ასევე დასრულებულია დასავლეთ საქართველოს ერთი ნაკადის ტრენინგი. ახლა კი მიმდინარეობს მეორე ნაწილის გადამზადება სასტუმრო „ჩაქვში".

„ეროვნული ფორუმის" პარტიული დაგეგმვის ბიუროს ხელმძღვანელი აცხადებს, თუ რა იყო აქტივისტების გადამზადების მიზეზი.

— დედაქალაქის მასშტაბით უნდა გაკეთდეს სამაგიდო სიები, უნდა გაარკვიონ, რა რაოდენობის მხარდამჭერები ჰყავთ მათ. რა თქმა უნდა, უნდა იმუშაონ იმაზე, რომ მეტი მხარდამჭერი მოიპოვონ. ე.წ. კოორდინატორების, უბნის ხელმძღვანელების შემოვლა უკვე დაიწყება ამ დღეებში და უნდა დასრულდეს სექტემბრის პირველ ნახევარში. დაახლოებით ერთთვიანი ვადაა განკუთვნილი მათთვის. 15 სექტემბერი არის ბოლო ვადა, როდესაც უკვე „ნაციონალურ მოძრაობას" მაგიდაზე უნდა ედოს თავისი მხარდამჭერების ზუსტი სია, — განაცხადა მიროტაძემ.

მმართველი ელიტა, მიროტაძის განცხადებით, წვევამდელებს, რომლებსაც არ სურთ სავალდებულო სამსახურის მოხდა, სთავაზობს სამხედრო სავალდებულო სამსახურისგან გათავისუფლებას გარკვეული პირობით.

— იმ ახალგაზრდას, რომელსაც არ სურს სამხედრო სავალდებულო სამსახურში წასვლა გარკვეული მიზეზების გამო ან აქვს რეზერვისტის ასაკი, შესთავაზეს ალტერნატიული ვარიანტი. თუ მოხდება მათი მხრიდან 20 ახალგაზრდის მობილიზება და გაწევრიანება „ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერთა სიაში შესაბამისი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების წარდგენით, ეს ადამიანები გათავისუფლდებიან სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან. პროექტის პირობითი სახელწოდებაა: „წვევამდელები ნაციონალური მოძრაობისთვის", რომელსაც დედაქალაქის საკრებულოს წევრი კოკი იონათამიშვილი ხელმძღვანელობს, — ამბობს მიროტაძე.

ანი მიროტაძე ძველი თბილისის მცხოვრებ მოქალაქეებს მიმართავს და მოუწოდებს, თუ მათთან მივლენ უბნის, კორპუსის ან ამხანაგობის თავმჯდომარეები გარკვეული შეთავაზებებით, მათი წინადადება არ მიიღონ.

— კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ეხება დედაქალაქის ძველი უბნების — მთაწმინდის, სოლოლაკისა და ზემო ვერის მოსახლეობას. ამ უბნების კოორდინატორებმა მიიღეს საგანგებო დავალება, დაარწმუნონ მოსახლეობა სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, თანხმობა განაცხადონ შედარებით არაპრესტიჟულ უბნებში, ახლად აშენებულ საცხოვრებელ სახლებში გადასვლაზე და გამოათავისუფლონ აღნიშნული ტერიტორია. ჩემი ინფორმაციით, რომელიც რამდენიმე მიმართულებით მაქვს გადამოწმებული, არსებობს ძალიან სერიოზული ბიზნესპროექტი ამ უბნებთან დაკავშირებით. შეთავაზება გაკეთებულია ბერძენი ინვესტორებისადმი, რომ ეს უბნები ე.წ. ვილების ქალაქად უნდა გადაიქცეს, — ამბობს მიროტაძე.

მიროტაძე ასევე აღნიშნავს, რომ აღნიშნული უბნების მცხოვრებლები მას არ დაჰკავშირებიან და ეს ინფორმაცია არა მოსახლეობისგან, არამედ კულუარულად აქვს, რომელიც ჩაქვში მიმდინარე სემინარზე გახდა ცნობილი.

„ეროვნული ფორუმის" წარმომადგენლის ინფორმაციით, მათ ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, „ნაციონალური მოძრაობა" წინასაარჩევნო კამპანიას 17-18 სექტემბერს თბილისიდან დაიწყებს.

— არჩევნების ნაციონალური სტარტის აღება ძველი თბილისის მაჟორიტარი დეპუტატის დასახელებით და განახლებული გალაკტიონის ქუჩის საზეიმო გახსნით არის დაგეგმილი. ამით ოფიციალურად გახსნილად გამოცხადდება საქართველოში წინასაარჩევნო კამპანია. ამაში, ვიმეორებ, ცუდი არაფერი არ არის. ყველა ნორმალურ ქვეყანაში ერთი წლით ადრე ცხადდება წინასაარჩევნო კამპანია, მაგრამ მე ჩამოვთვალე ის კანონდარღვევები, რომლებიც ამ პროცესს ახლავს, — განაცხადა ანი მიროტაძემ.

# კახეთში მათხოვრები დასაქმებულთა სიაში შეიყვანეს

ქეთი ხომერიკი

პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს" კახეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის, გამგეობის წევრ გიორგი მოსიაშვილის თქმით, სოციალური მომსახურების სააგენტომ მათხოვრები დასაქმებულთა სიაში შეიყვანა. „ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური ფონი რომ მძიმეა, ამას არავინ უარყოფს, მათ შორის, ხელისუფლებაც. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ხელისუფლებამ ვერ შექმნა ის აუცილებელი პირობა, რომელსაც ქვეყნის სწორი განვითარება ჰქვია, რასაც ქვეყანაში თანასწორუფლებიანობა ჰქვია. ძლიერნი ამა ქვეყნისანი ხშირად გვესაუბრებიან ტელეკამერებიდან, რომ თუკი არსებობს ადამიანი, ოჯახი, რომელსაც არ აქვს შრომის შესაძლებლობა ან შეზღუდულია, მათ სახელმწიფო დაეხმარება და უზრუნველყოფს როგორც ჯანდაცვით, ასევე ფულადი დახმარებით. ეს ყველაფერი ნამდვილად კარგი მოსასმენია, მაგრამ რეალობა სულ სხვაა", — აცხადებს მოსიაშვილი. მისივე თქმით, 2010-11 წლებში კახეთში ათასობით ოჯახს შეუწყდა სოციალური დახმარება, რომელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დღემდე ვერ დაადგინა, რის საფუძველზე მოხდა მათი უმწეოთა სიიდან ამოღება. „ჩვენს ორგანიზაციას მოაკითხა დახმარებისთვის უკიდურესად გაჭირვებულ ადამიანთა ჯგუფმა, რომლებიც სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით მათხოვრობენ. მათ განგვიცხადეს, რომ დახმარება შეუწყვიტეს მხოლოდ იმისგამო, რომ ისინი ლუკმაპურის მოსაპოვებლად მათხოვრობენ", — აღნიშნა მოსიაშვილმა.



მოსიაშვილის თქმით, „თავისუფალი საქართველოს" კახეთის ორგანიზაცია დაინტერესდა აღნიშნული პრობლემით, მივიდა სოციალური მომსახურების სააგენტოს კახეთის ბიუროში მის ხელმძღვანელ ლევან ახალაურთან შესახვედრად, რომელთანაც, უბრალოდ, არ შეუშვეს, სააგენტოს თანამშრომლებმა კი განუმარტეს, რომ ამ საკითხზე ვერც სააგენტოს კახეთის ბიუროს უფროსი და ვერც თელავის ფილიალის უფროსი თამარ ნოღაშვილი გასცემდა პასუხს, დაზარალებული მოქალაქეების დახმარების მოხსნაზე კი განუმარტეს, რომ მათ უმრავლესობას საკუთარი ბინა არ აქვს და ხშირად იცვლიან საცხოვრებელ მისამართს, რა დროსაც, კანონის შესაბამისად, უწყდებათ სოციალური დახმარება. მათხოვრობას რაც შეეხება, მათი ირონიული გამონათქვამის მიხედვით, ისინი „დასაქმებულნი□არიან". „მინდა ასევე გითხრათ, რომ აღნიშნული სამსახური საჯარო ინფორმაციას ბლოკავს. ჩვენმა ორგანიზაციამ მრავალჯერ გამოითხოვა სოციალური მომსახურების თელავის სააგენტოდან ინფორმაცია, რაც, სამწუხაროდ, ვერ მივიღეთ მათგან", — დასძენს მოსიაშვილი.

მოსიაშვილი მერაბიშვილის უწყებასაც გადასწვდა. მისი თქმით, პოლიციურ სახელმწიფოში მერაბიშვილის უწყებას ყველა საკითხზე მწვანე აქვს ანთებული. „კანონის უგულებელყოფა და ცალკეული პირების თუ პირთა ჯგუფის ინტერესების გატარება საქართველოში უცხო არავისთვისაა, მაგრამ ამ ფონზე აშკარად თვალშისაცემია შსს-ს განსაკუთრებული პრივილეგიები სხვა დანარჩენ სამინისტროებთან მიმართებით. თუკი ადგილობრივ ხელისუფალს აქვს უფლება, დაარღვიოს კანონი მერაბიშვილის უწყების საკეთილდღეოდ, ეს არ ხდება იმავე შაშკინის უწყების მიმართ, რადგან მსგავსი ქმედება, უბრალოდ, კახეთში არ დაფიქსირებულა", — აცხადებს მოსიაშვილი. მისივე განცხადებით, კახეთის რეგიონში პოლიციის სამმართველოს ხუთი ახალი შენობა გაიხსნა 2010 წელს, მათ შორის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოში, პოლიციის მინის შენობის ასაგებად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 67 000 ლარი. ამასთანავე, გამგებლის 2010 წლის 13 აგვისტოს 378-ე ბრძანების საფუძველზე გამგეობამ პოლიციის სამმართველოს მანქანის შესაძენად 21 570 ლარი ჩაურიცხა. „ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებს არ განეკუთვნება ისეთი უწყების დაფინანსება, რომელიც კანონით ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. პოლიციის რაიონული სამმართველოები კი ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. მიუხედავად იმისა, რომ შსს-ში აცხადებენ, კახეთში აღნიშნული პროექტის დასაფინანსებლად 30 განყოფილების მშენებლობაზე 2 500 000 ლარი გამოიყო ცენტრალური ბიუჯეტიდან, საერთო ჯამში, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილმა თანხამ 300 000 ლარზე მეტი შეადგინა, — აღნიშნავს მოსიაშვილი და აქვე განმარტავს, რომ 2011 წლის მარტში დედოფლისწყაროს ცენტრში, კულტურის სახლის მიმდებარე სკვერში დაიწყო პოლიციის გამჭვირვალე შენობის მშენებლობა, 2009 წელს ამ სკვერის რეაბილიტაციისთვის გაიხარჯა 130 000 ლარი, დამონტაჟდა სხვადასხვა გასართობი ინვენტარი ბავშვებისთვის, დასასვენებელი სკამები, ლამპიონები და ა.შ. „მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდობა და ბავშვები აქტიურად ისვენებდნენ ამ სკვერში. მშენებლობის დაწყებისას სკვერში არსებული გასართობი ინვენტარი დაჭრეს და ჯართში ჩააბარეს, ბიუჯეტის ათიათასობით ლარი კი წყალში იქნა გადაყრილი", — განმარტავს მოსიაშვილი. მოსიაშვილისვე განცხადებით, პირველ სექტემბერს უნდა მოხდეს ამ შენობის გახსნა. „ვინაიდან პოლიციის შენობის ხედი არ ჩანდა ცენტრალური გზიდან, რამდენიმე დღის წინ ვანდალურად დაჭრეს ნაძვის ასწლოვანი ხეები. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ფაქტის მიმართ გამოთქვამს პროტესტს. პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველო" ვაცხადებთ მთელი პასუხისმგებლობით, რომ მუნიციპალიტეტიდან უკანონოდაა დაფინანსებული პოლიციის სამმართველოს მშენებლობა და, რაც უფრო მტკივნეულია, უკანონოდაა მოჭრილი წიწვოვან მცენარეთა მრავალწლოვანი ნარგავები", — განაცხადა ჩვენთან საუბრისას მოსიაშვილმა.

ნანა მიშელაშვილი

**დეპუტატი კახა ანჯაფარიძე არ მალავს, რომ ცელქი ბავშვი იყო და ბებიასთან სახლის სხვენსა და სარდაფში ხანძარი არაერთხელ გაუჩენია. კახა ანჯაფარიძეს ბავშვობაში თავიც აქვს გატეხილი. როგორც თავად იხსენებს, ხიდან ჩამოვარდა და თავი ტაშტს დაარტყა, მაშინდელი ნაიარევი დღემდე აქვს შემორჩენილი.**

# ჩემს შვილს ჰგონია, რომ ტელევიზორში ვმუშაობ

## დეპუტატი ანჯაფარი ე სპორტზე არალეგალურად დადიოდა



კახა ანჯაფარიძე ამბობს, რომ არასოდეს არ უცეკვია, მათ შორის, არც საკუთარ ქორწილში. რა სახელი დაარქვა სტუდენტობისას ნიკა გვარამიამ, რატომ არ უყვარდა ლექციებზე სიარული და რატომ დადიოდა კარატეზე არალეგალურად?

**"ახალი თაობა" კახა ანჯაფარიძეს ესაუბრა:**

— ***ანჯაფარიძეები საიდან ხართ?***

— სამეგრელოდან, ჩვენ ზუგდიდში ვცხოვრობდით. ბებიაჩემი ზუგდიდში ცხოვრობდა, სანამ გარდაიცვლებოდა, ყოველ ზაფხულს ზუგდიდში დავდიოდი. ახლა, ისე ხშირი სტუმარი აღარა ვარ.

— ***ბავშვობა ზუგდიდში გაქვთ გატარებული?***

— თბილისში ვარ დაბადებული და გაზრდილი, ზაფხულში ზუგდიდში ვისვენებდი.

— ***როგორი ბავშვი იყავით, მეზობლის ბაღში ხილი მოგიპარავთ?***

— ცხადია, ყველა ბავშვი ასეთია. მკვახე ვაშლების სროლა მანქანებისთვის, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო.

— ***ცელქი იყავით?***

— კი.

— ***მაგალითად რას აკეთებდით?***

— რამდენიმეჯერ მაქვს ხანძარი გაჩენილი ჩემს სახლში, ავდიოდი სახურავზე, სადაც ბევრი რამ მაინტერესებდა. 100 წლის ხის სახლია და იქ რამდენჯერმე გავაჩინე ხანძარი. ბებიაჩემი მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მკაცრი ქალი იყო, შვილიშვილის მიმართ მკაცრი არ იყო.

— ***ხანძრის გაჩენის გამო არ გსჯიდათ?***

— არასოდეს.

— ***სხვენშიც გააჩინეთ ხანძარი და სარდაფშიც?***

— კი, ორივეგან.

— ***ბავშვობაში ხელი ან ფეხი სიცელქის გამო მოტეხილი გაქვთ?***

— ხელი და ფეხი მოტეხილი არა მაქვს, ნაღრძობი მაქვს. თავი მაქვს გატეხილი.

— ***ვინ გაგიტეხათ?***

— მე თავად გავიტეხე.

— ***როგორ?***

— ხიდან ჩამოვვარდი და თავი ტაშტს დავარტყი. ექიმთან წამიყვანეს, მაშინდელი შრამი დღემდე მაქვს შემორჩენილი.

— ***ბავშვობის ეს ერთადერთი ტრავმა გაქვთ?***

— კი, ფიზიკური ტრავმა, რომელიც მახსენდება, ეს ერთადერთია.

— ***ბიჭები ერთმანეთთან ჩხუბობდით?***

— ხანდახან. ჩხუბის თავი, რომლებიც ერთავად ჩხუბით არიან დაკავებული, არ ვყოფილვარ. დანა არასოდეს არ მიტარებია.

— ***რომელ სკოლაში სწავლობდით?***

— 54-ე სკოლაში.

— ***როგორ სწავლობდით?***

— კარგად ვსწავლობდი.

— ***ისეთი საგნები თუ იყო, რომელიც არ გიყვარდათ და მოვალეობის მოხდის მიზნით სწავლობდით?***

— რა თქმა უნდა.

— ***ასეთი რომელი საგნები იყო?***

— ყოველთვის ჰუმანიტარული საგნები მიყვარდა. მათემატიკა, ფიზიკა და ქიმია არ მიყვარდა.

— ***მათემატიკაში ორიანი მიგიღიათ?***

— ორიანი მიმიღია, მაგრამ მაინცდამაინც ორიანი არ მწყენდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს საგანი არ მიყვარდა, ორიანი კი არა, სამიანიც იშვიათად მიმიღია. სამიანი უფრო მწყინდა. მასწავლებელი ორიანს თუ დამიწერდა, ნახევრად ხუმრობით დამიწერდა, რადგან კარგი მოსწავლე ვიყავი.

— ***ქიმიაში რეაქციები და აფეთქება არ გიყვარდა?***

— არა.

— ***მასწავლებელს სიცელქის გამო კლასიდან გაუგდიხართ?***

— რა თქმა უნდა, ამას არც ვმალავ. პედსაბჭოზეც გაუყვანივარ.

— ***რის გამო?***

— სხვათა შორის, დღემდე ვფიქრობ, რომ ტყუილად გამიყვანეს.

— ***უსამართლოდ დაგსაჯეს?***

— კი, დღემდე ასე ვფიქრობ.

— ***ასეთი რა ჩაიდინეთ?***

— არაფერი არ ჩამიდენია. მათაც იცოდნენ, რომ მე არაფერი არ ჩამიდენია. კლასის ჟურნალი დაიკარგა და რატომღაც ჩათვალეს, რომ მე აუცილებლად მეცოდინებოდა ეს ვინ გააკეთა. მაშინ მართლა არ ვიცოდი. რამდენიმე ადამიანი პედსაბჭოზე გაიყვანეს, მათ შორის მეც. მასწავლებლები გამოდიოდნენ და მსჯელობდნენ. ჩემზე ვერავინ ცუდს ვერ იტყოდა, რადგან ყოფა-ქცევაში, დახასიათებაში ყოველთვის სანიმუშო მეწერა. გაუგებარ სიტუაციაში ვიყავი.

— ***ბოლოს და ბოლოს ჟურნალი იპოვეს?***

— არა მგონია.

— ***ეტყობა ვიღაცას ცუდი ნიშნები ჰყავდა და მოიპარა.***

— ალბათ. მე კარგი ნიშნები მყავდა.

— ***ყოფა-ქცევაში სანიმუშო ბავშვი კი იყავით, მაგრამ შემთხვევით კლასში „დიმაუშკა“ აგიფეთქებიათ?***

— არა, „დიმაუშკა“ ცოტა ბოროტი ხუმრობაა, ეს არასდროს არ გამიკეთებია. ერთადერთი, რაც მახსოვს ის იყო, ყური მოვკარი, თუკი დაფაზე სანთელს წავუსვამდი, დაფაზე ცარცი აღარ დაწერდა. გამოვცადე და ამან გაამართლა. ის გაკვეთილი ჩავარდა, იმიტომ, რომ ცარცი არ წერდა. ეს ბორიტი განზრახვით არ გამიკეთებია, უბრალოდ, დამაინტერესა, მართალი იყო თუ არა. ცოტა ვიცელქე.

— ***სკოლიდან „შატალოზე“ სად მიდიოდით?***

— „შატალოზე“ ძირითადად ვაკის პარკში მივდიოდით, შესაძლოა, ვიღაც სახლში წასულიყო. ერთხელ დამრიგებელი გამოგვეკიდა და დაგვიჭირა. რატომღაც ზუსტად ივარაუდა, სად ვიქნებოდით და იქ მოგვადგა.

— ***ეტყობა ვიღაცამ გაგცათ.***

— შეიძლება. ვაკის პარკში გვიპოვა.

— ***„შატალოზე“ ქალაქგარეთ არ მიდიოდით?***

— არა. „შატალო“ ბავშვების მასობრივ შეთქმულებად მიმაჩნია — მოდი, სკოლა გავაცდინოთ.

— ***„შატალოს“ გამო მშობლები არ გსჯიდნენ?***

— არა.

— ***მკაცრი მშობლები გყავდათ?***

— ვერ ვიტყვი, რომ მკაცრები იყვნენ. მამა უფრო მკაცრი იყო, თუმცა, უშუალოდ ჩემთან ურთიერთობაში სიმკაცრეს არ ავლენდა. ვიცოდი, რომ მამაჩემი არ მეტყოდა, რაღაც არ უნდა გააკეთო, როდესაც რაღაც უნდა გამეკეთებინა, მამაჩემისგან პასუხს ველოდი, მის პოზიციას დედაჩემი მეუბნებოდა. მამა, უშუალოდ თავად არაფერს არ მიკრძალავდა, თუმცა, ვიცოდი, თუკი ის წინააღმდეგი იქნებოდა, იმას არ გავაკეთებდი.

— ***და-ძმა გყავთ?***

— და მყავს, რომელიც ჩემზე სამი წლით უფროსია.

— ***და ხომ არ გჩაგრავდათ?***

— არა. ზოგადად დედმამიშვილებში თბილი ურთიერთობა საქართველოში არავის არ გაუკვირდება. ჩემი და რომ გათხოვდა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგი სიძე მყავს და მასთან თავიდანვე ვმეგობრობდი, ერთი კვირა სახლში მისვლა არ მინდოდა.

— ***ბავშვობაში სპორტის რომელიმე სახეობაზე დადიოდით?***

— არალეგალურად დავდიოდი.

— ***ეგ რას ნიშნავს?***

— ჩემი ბავშვობა ასოცირდება იმ ავბედით წლებთან, როდესაც თავისუფლების ხარისხი ძალიან მცირე იყო. მე 1976 წელს დავიბადე. მაშინ ახალი შემოსული იყო დასავლური ფილმები, მათ შორის, ორთაბრძოლებზე, კარატეზე. ძალიან მინდოდა, რომ კარატეზე მევლო, მაგრამ ეს აკრძალული იყო. სულ რამდენიმე ჯგუფი იყო, თუმცა ამას კარატეს ჯგუფი არ ერქვა. კარატეზე დავდიოდი, მაგრამ გაფრთხილებული ვიყავით, რომ თუ სპორტდარბაზში ვინმე უცხო ადამიანი შემოვიდოდა, ვიტყოდით, რომ დავდიოდით ჩვეულებრივ გამაჯანსაღებელ სპორტზე, ვაკეთებდით ე.წ. ადჟიმანიებს და წრეზე დავრბოდით. მოკლედ, კარატეზე არალეგალურად დავდიოდი.

— ***რამდენი ხანი იარეთ?***

— ერთი წელი. შემდეგ ჯანმრთელობის პრობლემა მქონდა, თან მაშინ ბავშვური რომანტიზმის ეპოქა იყო. მე მეგონა, რომ ცოტა ხანი ვივლიდი და მეორე ბრიუსლი გავხდებოდი. ცხადია, ასე არ მოხდა, გული ავიცრუე და თან ჯანმრთელობამაც შემიშალა ხელი.

— ***ბრიუსლი ვერ გახდით, მაგრამ კარატეს ილეთები ხომ ისწავლეთ?***

— კი, რაღაცები ვისწავლე.

— ***მერე სადმე გამოიყენეთ?***

— არა.

— ***რამდენი წლის იყავით, როდესაც კარატეზე დადიოდით?***

— ალბათ, 10-12 წლის.

— ***სპორტის სხვა სახეობაზე არ გივლიათ?***

— არა. სპორტის ყველა სახეობა მიყვარს, ძნელად მახსენდება სპორტი, რომელსაც ტელევიზორში სიამოვნებით არ ვუყურებ. პატარაობისას, ეზოში ფეხბურთს ყველა ბავშვი თამაშობს.

— ***ახლა ვის გულშემატკივრობთ?***

— ბარსელონას, რომელიც არის ჩემი სისუსტე. ერთი კვირით ამერიკაში ვიყავი წასული, როდესაც დავბრუნდი, პარლამენტის სხდომაზე მივედი და დარბაზში ვიჯექი, ამ დროს, ლევან ვეფხვაძემ გამოიარა და პალიკო კუბლაშვილს ეუბნება: რა იყო, რა გაცინებს, ბედნიერი ხარ, ჩამოგივიდათ მესიო? ჩემზე ეუბნება. ძალიან გამიხარდა, მესის რომ შემადარა.

— ***არ ვიცოდი, ფეხბურთელ მესის თუ გადარებდნენ?***

— ეს ერთხელ მოხდა, ვეფხვაძემ შემადარა.

— ***ბავშვობაში ზედმეტი სახელი გქონდათ?***

— სკოლის პერიოდში ყველა ბავშვის სახელი და გვარი მოკლდება. მაგალითად, ანჯაფარიძეს ანჯას მეძახდნენ.

— ***სკოლის შემდეგ რას გეძახდნენ მეგობრები?***

— ეტყობა ჩემი ფილოსოფიური ხედვის გამო, რაღაც პერიოდში „გავჭედე“ და ნიკა გვარამიამ ეფრემი დამარქვა, ეფრემ მცირედან გამომდინარე. ეტყობა ჩემი ტანის სიმცირე იგულისხმა. მაგრამ შემდეგ გვარამიამ აღმოაჩინა, რომ არსებობს ასეთი გველი — ეფა, რომელიც არის პატარა, მაგრამ საოცრად შხამიანი. შემდეგ ეფრემი გადააკეთა და ეფო დამარქვა. მთელი სტუდენტობის პერიოდი ეფოს მეძახდა.

— ***ასეთი მწარე ენა გქონდათ?***

— ახლაც არ ვუჩივი.

— ***ოპოზიციიდან ვინ შეგიძლიათ „დაშხამოთ“?***

— არავინ! არავის არ დავშხამავ, რადაგან არასოდეს არ ვეკამათები პიროვნებას, ვცდილობ, ვეკამათო პიროვნების შეხედულებებსა და იდეებს. არასოდეს არ გამიხსენებია არავისთვის ბიოგრაფია, არავის არ ვეხები პიროვნულად.

— ***ნიკა გვარამია თქვენი ჯგუფელი იყო?***

— კი.

— ***დეპუტატებიდან კიდევ ვინმე არის თქვენი კლასელი ან ჯგუფელი?***

— კლასელი არავინ არ არის. დეპუტატებიდან ჩემი ჯგუფელი არის პალიკო კუბლაშვილი. ასევე ყოფილი დეპუტატები მურთაზ ზოდელავა და კახა კუკავა იყვნენ ჩემი ჯგუფელი.

— ***მინისტრებიდან თქვენი ჯგუფელი ვინ არის?***

— დიმიტრი შაშკინი.

— ***ვინც ჩამოთვალეთ, ეს ადამიანები როგორ სწავლობდნენ?***

— მათი ნიშნები არ ვიცი. იცით, რატომ არ ვიცი? მე ძალიან ხშირად ვიყავი გამოკრული, გამოეცხადოს სტუდენტისთვის შეუფერებელი საქმიანობისთვის სასტიკი საყვედური, ლექციებზე დასწრების პრობლემა ყოველთვის მქონდა, ლექციებზე არ დავდიოდი.

— ***რატომ არ დადიოდით? სად დადიოდით?***

— ერთ ადგილას რამდენიმე საათი გაჩერება ჩემთვის უბედურება იყო.

— ***ახლაც სხდომათა დარბაზში ხშირად ამიტომ დადიხართ?***

— სხდომათა დარბაზში არ დავდივარ, სხდომიდან გავდივარ და ძალიან ბევრს დავდივარ.

— ***სტუდენტობის დროს "შატალოზე" დადიოდით?***

— კოლექტიური „შატალო“ არ ყოფილა, სტუდენტს შეუძლია ლექციაზე არ შევიდეს, ამას „შატალოს“ ვერ დაარქმევ. თავიდან, არ მიცნობდნენ და გამოცდაზე ბილეთს როდესაც მეკითხებოდნენ, ვპასუხებდი. მეტყოდნენ წადი, სამიანს გიწერ, ანუ არ თვლიდნენ, რომ მეტი პრეტენზია შეიძლება მქონოდა, რადგან ზოგჯერ ლექტორებს არც ლექციაზე და არც სემინარზე ნანახი არ ვყავდი. შემდეგ ვეუბნებოდი, რომ გაგარძელეთ გამოკითხვა, იქნებ უფრო მაღლა ავწიო ნიშანი, ასე ავდიოდი ხუთებამდე.

— ***მუსიკალური განათლება გაქვთ?***

— არა.

— ***მშობლები მუსიკაზე სიარულს არ გაძალებდნენ?***

— არა. როგორც ამბობენ, სმენა მაქვს, რატომ ვერ მომერივნენ არ ვიცი.

— ***რამდენიმე ჭიქის შემდეგ მუსიკას შეგიძლიათ რომ აჰყვეთ? მუსიკას ხომ არ ჩაშლით?***

— არა, სიმღერას არ ჩავშლი, რადგან არ ავყვები.

— ***არც რამდენიმე ჭიქის შემდეგ?***

— არც რამდენიმე ჭიქის შემდეგ. არასოდეს არ მიცეკვია.

— ***მართლა?***

— საკუთარ ქორწილშიც კი არ მიცეკვია, სკამიდან არ ამდგარვარ.

— ***ცეკვის მიმართ პროტესტი გაქვთ?***

— არა, პროტესტი არა მაქვს, სხვები რომ ცეკვავენ მომწონს. უბრალოდ, ჩემს თავს შემიძლია გვერდიდან შევხედო, როდესაც წარმომიდგენია როგორი მოცეკვავე ვიქნები, არ ვცეკვავ. ქორწილში, ჩემს ცოლის ძმას ვთხოვე და მან შეასრულა თავის დასთან ცეკვა. ხალხი ვარაუდობდა, რომ ქორწილის ბოლოსკენ ერთ ცეკვას მაინც შევასრულებდი, მაგრამ პატიოსნად დავჯექი და ქორწილი რომ მორჩა, მაშინ ავდექი და წავედი.

— ***ხატვა გეხერხებათ?***

— არასოდეს არ მინდოდა რომ ცეკვა მცოდნოდა, მაგრამ ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ხატვა შემძლებოდა.

— ***ხატვა არ გიცდიათ?***

— გინდოდა თუ არა, ხატვას სკოლაში საგნად გვასწავლიდნენ. საერთოდ, ხატვასთთან კი არა, კალიგრაფიასთანაც კი პრობლემა მაქვს. ცუდი კალიგრაფია მაქვს.

— ***წერა რა ასაკში ისწავლეთ?***

— სკოლამდე ვისწავლე, უფროსი და და ბიძაშვილები მყავდა, რომელთან ერთადაც ვიზრდებოდი. სხვათა შორის, როდესაც კითხვა დაგვაწყებინეს, მასწავლებელმა ვერაფრით ვერ დაიჯერა, რომ დაზეპირებული არ მქონდა, რადგან ისე კარგად ვკითხულობდი.

— ***ბავშვობაში რომელი ლიტერატურული გმირი გიყვარდათ?***

— ალბათ ყველაზე თბილად სერვანტესი მახსენდება, დონ კიხოტი ძალიან მიყვარდა.

— ***რაც შეეხება თქვენს ოჯახს, რამდენი შვილი გყავთ?***

— ორი შვილი მყავს: მარიამი და სალომე. მარიამი 3 წლის არის, სალომე- ერთის.

— ***რომელი უფრო გგავთ ხასიათით, სალომე თუ მარიამი?***

— სალომე ჯერ ძალიან პატარაა, მაგრამ ვფიქრობ, სალომე უფრო დამემსგავსება.

— ***3 წლის მარიამმა იცის მამა სად მუშაობს?***

— ტელევიზორში როდესაც მხედავს, უხარია, ამბობს კახიკოა ტელევიზორშიო.

— ***ჰგონია, რომ მამა ტელევიზორში მუშაობს?***

— არა, ხან აგონდება, რომ პარლამენტში ვმუშაობ, ხან - ავიწყდება.

# 18 წლისამ კინაღამ ცოლი მოვიყვანე

ეკა ირემაშვილი

ჯეოსტარის გამარჯვებულმა ნოდიკო ტატიშვილმა ტრადიცია არც წელს დაარღვია და ლონდონში ერთი თვით გაემგზავრა. როგორც მომღერალმა გამგზავრების წინ გვითხრა, ასეთი სიტუაციები მისთვის ტვინის განიავების ყველაზე კარგი საშუალებაა. საქართველოში დაბრუნებისთანავე კი მომღერალი თავისი ალბომის პრეზენტაციას გამართავს, რომელშიც საუკეთესო სიმღერები შევა. ლონდონში გამგზავრებამდე ნოდიკომ ორი დუეტი ჩაწერა — ფიქრია მამფორიასთან და ნინი ბადურაშვილთან. ნინიმ და ნოდიკომ ეკა კახიანის სიმღერა ჩაწერეს, შედეგით კი ყველა კმაყოფილი დარჩა.

ინტერვიუ მომღერალთან მისი საქართველოდან გამგზავრებამდე ჩავწერეთ.

**ნოდიკო ტატიშვილი:**

— ზაფხულის პირველი პერიოდი უფრო დატვირთული მქონდა. ალბომზე მუშაობა თითქმის მოვრჩი. ეს ის ალბომია, „ჯეოსელმა“ რომ მაჩუქა ჯეოსტარის გამარჯვების დროს. დარჩენილ დეტალებსაც მოვაგვარებ და სექტემბრის ბოლოს იქნება ალბომის პრეზენტაცია. ამას ძალიან მყარად ვამბობ, როგორც იქნა, გავედი ბოლოში.

***— პრეზენტაციას თბილისში გეგმავთ?***

— კი. თბილისში მოვაწყობთ ალბომის პრეზენტაციას. ალბომის ჩაწერა ისეთი მომენტია, კიდევ რომ გაწელილიყო, არც ეგ გამიკვირდებოდა და მაინც არ იქნებოდა დაგვიანებული. ყველა სიმღერა, რომელსაც ვწერ, უნდა მომეწონოს. თუ არ მომეწონა, შანსი არ არის, ვერ ჩავწერ. მომღერალმა სიმღერა უნდა მოიხდინო და რაც ყველაზე მთავარია, უნდა იგრძნო. თუ სიმღერას ვერ გრძნობ, მისი ჩაწერა სრული უაზრობაა.

***— როგორი სიმღერებია შეტანილი თქვენს ალბომში?***

— ისეთი სიმღერები ჩავწერე, ყველა განსაკუთრებულია და ყველა თავისებური ხელწერით არის გაკეთებული.

***— სიმღერები მარტომ შეარჩიეთ თუ მარინა ბერიძეც დაგეხმარათ?***

— ძირითადად მარტომ ავარჩიე სიმღერები, თუმცა რამდენიმე მარინამაც ნახა, როცა ალბომის ჩაწერას ვიწყებდი. მარინა ბერიძე კარგად მიცნობს, იცის ჩემი გემოვნება და შეხედულებები. მირჩევნია, სიმღერები თვითონ ავარჩიო, მარინამ იცის, რასაც ვწერ, ხან რადიოში მოისმენს, ხან კონცერტზე.

***— თქვენი პროდიუსერი მარინა ბერიძეა?***

— მარინა ჩემი ალბომის პროდიუსერია. ვწერ სანო სტუდიაში და ეს სტუდია არის ჩემთვის მეორე სახლი. ძალიან ბევრი ჩემი მეგობარია იქ, ოღონდ მართლა მეგობარი. მუსიკოსები არიან უმაღლესი კლასის და უმაღლესი დონის. იქ რომ ვარ და ვმუშაობ, ზუსტად ვიცი, რომ ყველაფერი იქნება ისე, როგორც უნდა იყოს. არავინ არაფერს ახალტურებს, არავინ არაფერს დებს მეორე დღისთვის, არავინ არაფერს ზოგავს, ოღონდ პროდუქტი იყოს ძალიან მაგარი და ხარისხიანი. ეს მომღერლისთვის ძალიან მაგარი შეგრძნებაა. მერაბ სანოძე, იგივე სანო მართლა ოქრო ადამიანია. მაიკო კაჭკაჭიშვილიც იქ არის, ჩემი მეგობარი, რომელიც ბეკებს მიწერს სულ და მაიკოს ბეკები სახელგანთქმულია. ზუსტად იცის რას აკეთებს, მისი გაკეთებული ბეკები ისმინება კარგად. სანო სტუდიაშია ბორიკო შხიანი. ერიკა, ხმის ოპერატორი მახსოვს ჯერ კიდევ მაშინ, როცა სტუდია „მელოდია“ არსებობდა, ჩემს პედაგოგს ნანა დაუშვილს რომ მივყავდი იმ სტუდიაში, უკვე მუშაობდა. ეს არის კაცი, რომელსაც უდიდესი გამოცდილება აქვს. ასეთი ადამიანების გარემოცვაში მიწევს მუშაობა და ეს დიდი ბედნიერებაა. ამ სტუდიაში არის ყველანაირი სიტუაცია იმისთვის, რომ იყო მშვიდად და იმუშავო წყნარად. ეს ალბომიც გავა ბოლოში, დაიბეჭდება, გამოვა როტაციაში და მგონია, რომ იქნება ძალიან კარგი.

***— ნოდიკო, რა არის თქვენი წარმატების საიდუმლო?***

— მომღერალს ხელს უწყობს თავისი რეპერტუარის ქონა. თუ მომღერალს აქვს თავისი რეპერტუარი, თავისი ჰიტები, ჩათვალე, რომ საქმე არის გაკეთებული. ხალხისთვის ხარ საყვარელი, სასურველი და ემახსოვრები ყოველთვის, შენი სიმღერები ემახსოვრებათ სულ. როცა ვიწყებდით ალბომის კეთებას, მარინა ბერიძესაც ვუთხარი, მინდა მქონდეს ჩემი რეპერტუარი-მეთქი. ყველა დამეთანხმა იმაში, რომ მართალი ვიყავი, იმიტომ რომ თუ შენი რეპერტუარი არ გაქვს, რამდენიც გინდა იმღერე ჯეიმს ბრაუნი. ვგიჟდები, ისე მიყვარს ჯეიმს ბრაუნი, დღემდე ვმღერი კლუბში, მაგრამ არავინ ამბობს ჩემზე, რომ ნოდიკო მარტო ქავერებს მღერისო, იმიტომ, რომ ჩემი რეპერტუარიც მაქვს.

***— რას დაარქმევთ ალბომს?***

— ალბომს რას ვარქმევ ვიცი, მაგრამ პრეზენტაციაზე უნდა ვთქვა.

***— სად გეგმავთ პრეზენტაციას?***

— სავარაუდოდ, „თუ საიდში“ წითელი ხალიჩით, ძალიან სასიამოვნო საღამოთი, სადაც ბევრი ჩემი კოლეგა იქნება. ჯანმრთელი კოლეგა როცა მოდის, მხარს გიჭერს და გაფასებს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

***— ჯანმრთელ კოლეგას ვის ეძახით?***

— ჯანმრთელია კოლეგა, რომელსაც სხვა ქვეტექსტები არ აქვს. ხომ არის კოლეგა, რომელიც ზუსტად იცი, მოდის მარტო იმიტომ, მერე რომ წავა, სასწაული ცუდები ილაპარაკოს. ბოღმებიც ხომ არიან?

***— თქვენ გარშემო ბოღმები არიან?***

— ყველგან არიან ბოღმები და შურიანები. ნამდვილად გამიმართლა იმაში, რომ ყველა ჩემს კოლეგასთან მაქვს ძალიან კარგი ურთიერთობა, თბილი, სასიამოვნო და ეს მახარებს. სულ მეუბნებიან, როგორ ახერხებ, ყველასთან კარგი ურთიერთობა რომ გაქვსო. პირველ რიგში, არ ვარ ბოღმა და არავისი მშურს, მეორეც იმიტომ, რომ არ ვარ კონფლიქტური და არავიზე ჭორაობა არ მიყვარს. ყველა ჩემს კოლეგას ვგულშემატკივრობ, პატივს ვცემ, ამიტომ ყველა ჩემი კოლეგა იქნება ჩემი ალბომის პრეზენტაციაზე.

***— თქვენი თუ შურთ?***

— ჩემს კოლეგებზე არ მიყვარს ამ კუთხით ლაპარაკი. ზოგადად ალბათ არის ერთი-ორი ადამიანი, რომელსაც ნაკლებად უხარია ჩემი წარმატება, ალბათ იმიტომ, რომ ჩემზე კარგ სიმღერას ვერ მღერიან თუ ვერ წერენ, ეგეთები შეიძლება არის, არ ვიცი, მაგრამ 99 პროცენტი ჩემი კოლეგებისა ოქროები არიან. ჩემმა კოლეგებმა იციან მხარში დგომა. საკმარისია გავიგოთ, რომ ჩვენს კოლეგას სჭირდება მხარში დგომა კონცერტის სახით თუ ქველმოქმედებით, რომ ყველანი ვერთიანდებით.

***— საავტორო უფლებების დაცვის კუთხით თქვენ ხელი მოაწერეთ სპეციალურ განცხადებას. გჯერათ, რომ სიტუაცია გამოსწორდება?***

— ძალიან მაგარი ორგანიზაციაა, ოღონდ რეალური ორგანიზაცია. ასეთი „ორგანიზაცია“ მანამდეც იყო, მაგრამ არავინ კმაყოფილი არ არის და ვერაფერი გაკეთდა. გიგა კობალაძე პროფესიონალი იურისტია, ზედმიწევნით კარგად იცის ის საქმე, რასაც აკეთებს. შევხვდით მას, ვესაუბრეთ, დეტალურად განვიხილეთ ყველა საკითხი. მოვიხიბლე მისით, იმიტომ,



**ვინ შეაცვლევინა გადაწყვეტილება ნოდიკო ტატიშვილს**

რომ ხელშეკრულების პუნქტებშიც, ნიუანსებშიც ყველაფერი დეტალურად, წვრილმანებშია გათვლილი. ხელი მოვაწერე ამ ხელშეკრელებას, იმიტომ, რომ პირველად გამიჩნდა იმედი. როცა რომელიმე გადაცემაში ვმღერი ახალ სიმღერას, მერე მოსწონს მსმენელს, მიმაქვს რადიოში, სადაც ითხოვენ. ბოლო სიმღერა, რომელიც ნანუკას შოუში ვიმღერე, ნატო ღოღობერიძემ დამიწერა და ჰქვია „ჩემი ოცნების მატარებელი“. რადიოში მივიტანე თუ არა, რადიოს მენეჯერმა ნიკუშა ხაჩიძემ მითხრა, რეკორდი დაამყარე, ერთ კვირაში მოთხოვნებით ათეულში პირველ ადგილზეაო. ეს ყველაფერი ძალიან გამიხარდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვიდეო ამ გადაცემისა დაიდო ინტერნეტში, ახლა ვიღაც ამოჭრის ამ სიმღერას, გააკეთებს ემ პე სამ ვერსიას და დადებს საიტზე. რომ ჩაწეროთ გუგლში ნოდიკო ტატიშვილი ემ პე სამი, იმდენ საიტს გამოგიგდებთ, გაოგნდებით. მე ვათვალიერებდი და ბოლომდე ველარ მივედი, მომეშალა ნერვები. თუკი სადმე საიტი არსებობს, ყველგან იდო ჩემი სიმღერების ემ პე სამი ვერსია.

***— გაბრაზდით?***

— რა თქმა უნდა. ეს ყველაზე მეტად მაშფოთებს. მალე გამოდის ჩემი ალბომი, სადაც ხარისხი არის უმაღლეს დონეზე. ვიღაცა კი ხარისხს მიფუჭებს, თან დაუკითხავად ჩემს სიმღერებს ავრცელებს. ზუსტად მაქვს გათვლილი, ჩემი სიმღერა სად და როგორ უნდა გავავრცელო. არის მსმენელის რაღაც ნაწილი, რომელსაც უნდა ჰქონდეს ხარისხიანი ალბომი და იმას უსმინოს და არა გაგუდულს და გაფუჭებულს. წარმოიდგინეთ, ჯერ ვიდეო რომ იდება ინტერნეტში, მერე უნდა გადმოქაჩო, მერე უნდა ამოჭრა, მერე გადააკეთო ემ პე სამი ვერსია და მერე მოუსმინო. ეს ყველაფერი არის ნაგავი და თავმოყვარე ადამიანმა ამას არ უნდა უსმინოს.

***— რეალურად შესაძლებელია თქვენი უფლებები იყოს დაცული?***

— ეს ორგანიზაცია გვპირდება იმას, რომ დაუკითხავად არაფერი არ დაიდება არც ერთ საიტზე, ან თუ დაიდება, შემოსავალი ექნება ყველას— ავტორსაც, შემსრულებელსაც, ტექსტის ავტორსაც და არანჟირების ავტორსაც. ეს ასეც უნდა იყოს. ევროპის და მერიკის შოუბიზენსი, რომელიც რეალურად ძალიან დიდია, მუსიკას მარტო ევროპისთვის და ამერიკისთვის არ აკეთებს. ისინი მსოფლიოსთვის აკეთებენ მუსიკას. იქ არის დაცული მათი უფლებები თითქმის 100 პროცენტით. იქ ყველამ იცის, რომ საავტორო უფლებას თუ დაარღვევ, სერიოზული ჯარიმა დაგეკისრება. იქ საავტორო უფლებების დიდი პრაქტიკა აქვთ და წლებია, ასე მოდიან.

***— ამ ჰონორარით ცხოვრებას შეძლებთ?***

— შეიძლება დიდი შემოსავალი არ იყოს, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, როცა შენი შრომის საფასურს რეალურად იღებ. მართალია, ჰონორარი ყველაზე ნაწილდება, მაგრამ მაინც კარგია, რომ საავტორო უფლება დაცული იქნება. ერთი წლის მერე, როცა აიღებ თანხას ყველა მხრიდან, საბოლოო ჯამში ალბათ ნორმალური და მისაღები თანხა გამოვა. გეცოდინება, რომ ეს შენი შრომის საფასურია. მე და ჩემი კოლეგები ბევრს ვსაუბრობდით იმაზე, რომ ჩვენს სიმღერებს მღერიან რესტორანში. მათ შორის, ჩემს სიმღერებსაც.

***— მოგისმენიათ თქვენი სიმღერა რესტორანში?***

— კი, როგორ არა. ეს განა ცუდია, რომ შენს სიმღერას რესტორანში მღერიან, იმ მუსიკოსებს არაფერს ვერჩით, მაგრამ უნდა დარეგულირდეს ყველაფერი. გვექნება ჩვენი აიდი ნომერი, შევალთ და თავად გავაკონტროლებთ ჩვენს შემოსავლებს. სისტემაში რაც უფრო გამჭვირვალეა ყველაფერი, უფრო კარგია. ხელი რომ მოვაწერეთ, ყველას გვეჯერა, რომ ეს ზუსტად ის არის, რაც ყველაზე მეტად გვჭირდება და ერთხელ და სამუდამოდ გვეშველება. თან ისეთი ადამიანი ხელმძღვანელობს, რომელმაც იცის, რას აკეთებს და არ არის ამ საქმისადმი ზერელედ დამოკიდებული. როცა ჩემი ალბომი გამოვა, მოვაწერ ხელშეკრულებას ხელს ალბომთან დაკავშირებით, მივიტან ალბომს, ყველა ინფორმაციას, ყველა სიმღერას დავტოვებ და იმ ალბომის სრული უფლებები უკვე დაცული იქნება ზედმიწევნით ავტორთა საზოგადოების მიერ. დადგა დრო, ვისწავლოთ, რომ ყველა ადამიანის შრომას პატივი უნდა ვცეთ. ძალიან კარგია, როცა შენს სიმღერას ხშირად უყურებენ ინტერნეტში, მაგრამ მეორე მხრივ ჩვენთვის არ არის კარგი. ჩემი სიმღერა „ითს ოკე“, ყველა მღერის და არის ჰიტი. ეს არ არის მარტივი და შტერობა, ეს არის მართლა კარგი მუსიკა. კონცერტებზე მე საერთოდ აღარ ვმღერი, მსმენელი მღერის ხოლმე. აღმოჩნდა, რომ ამ სიმღერას რესტორანშიც მღერიან, იციან, რომ ხალხს სიამოვნებას მიანიჭებენ, გაართობენ. ამ სიმღერის ემ პე სამი ვერსია დევს ყველგან. ვიღაც ადამიანი, რომელსაც ფეხებზე კიდია ის ფაქტი, რომ ეს სიმღერა ჩაეწერა, ნოდიკომ რამდენი იწვალა, აკეთებს ემ პე სამ ვერსიებს, დებს საიტებზე და ამით ბედნიერია.

***— თქვენი სიმღერების კარაოკე ვერსიები შეგხვედრიათ?***

— კარაოკე არა, მაგრამ ახალი არანჟირებით დადებული ჩემი სიმღერები მინახავს. იცით, რა რთული პროცესია სიმღერის ჩაწერა? სანამ სიმღერას ჩაწერ, მილიონი საკითხი უნდა მოაგვარო, ბევრი ნიუანსია და მგონია, რომ ვინც ასეთ რაღაცებს აკეთებს, ის არის უბრალოდ თავხედი. ის ვერ ხვდება, რას აკეთებს, ვერ ხვდება, რომ ეს არაფრით არ შეიძლება, მასში შრომაა, ბევრი ენერგია და დროა ჩადებული. ის სიმღერა შედის ჩემს ალბომში, რომელიც მერე უნდა გაიყიდოს. ის თავხედი თუ ასე გამივრცელებს სიმღერებს, მერე იტყვის ვიღაც, მირჩევნია ასე, უფასოდ მაქვს სიმღერა, მოკვრიბავ სხვებსაც და ალბომი ნოდიკოსი მექნებაო. საავტორო უფლებების დამცველი გვპირდება, რომ ასეთი რამ აღარ იქნება.

***— გასტროლებს გეგამთ?***

— კი. საქართველოში კონცერტები სულ მაქვს. ინგლისში მივდივარ, ენის კოლეჯში უნდა ვისწავლო და მაქსიმუმ ერთ თვეში ჩამოვალ. თებერვალშიც ხომ წავედი ლონდონში და გადავდე ყველა კონცერტი. ძალიან მჭირდება ტვინის განიავება.

***— ეს რას ნიშნავს?***

— მინდა მოვწყდე აქაურობას, შევიცვალო გარემო და ვიყო უცხო გარემოში, სხვა ქვეყანაში. იქ ჩემი და ხატიაც არის და ლონდონი უცხო არ არის, მაგრამ ტვინს ორკვირიანი და ერთთვიანი განიავება საკმაოდ დიდხანს მყოფნის. უცხოეთში ვისვენებ, ჩამოვდივარ ფსიქოლოგიურად, მორალურად დამშვიდებული და დაწყნარებული, მერე ნელ-ნელა ვიქოქები და მთელი წელი ვმუშაობ. ლონდონში ერთი თვე დავრჩები, იქიდან კიდევ მომიწევს საქმეებზე ევროპის მასშტაბით გადაადგილება.

***— ლონდონში კონცერტები არ გაქვთ?***

— ამერიკაში მაქვს ძალიან დიდი გასტროლი, რამდენიმე კონცერტი იქნება. იქ ჩაატარეს გამოკითხვა, ვის ისურვებდით, რომ ჩამოვიდეს აქ და იმღეროსო და ჩემს კოლეგებთან ერთად, ერთ-ერთი მომღერალი აღმოვჩნდი მეც. ძალიან ბედნიერი ვარ, გამიხარდა. უარი არ მითქვამს და ვერც ვიტყვი. არ იცით, როცა უცხო ქვეყანაში ვარ და ვხედავ ქართველს, ეს მათთვის რამხელა სიხარულია. თან თუ უყვარხარ. ლონდონში რამდენიმე ქართველი შემხვდა და იტირეს. ისინი მონატრებული არიან სამშოლოს, შენ რომ გხედავენ, შენში ხედავენ საქართველოს. ჩემი ერთი სიმღერით კი მაქვს შანსი მათ ეს მონატრება შევუმსუბუქო. ამაზე უარს არასოდეს ვიტყვი.

***— ამერიკაში სად გაქვთ კონცერტები?***

— ნიუ იორკში, ნიუ ჯერსიში, ფილადელფიაში, ვაშინგტონში და ჩიკაგოშია კონცერტები დაგეგმილი, შეიძლება კიდევ დაამატონ. თან ჩემი ბიძაშვილია იქ, წლებია ცხოვრობს, იქ გათხოვდა, ქართველი ამერიკელია. ჩემი უახლოესი მეგობარი ლიკა შუბითიძეც ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. თან ამერიკა არ მაქვს ნანახი და ამ გასტროლის დიდი მოლოდინი მაქვს.

***— საქართველოში როდის დაბრუნდებით?***

— როგორც კი საქართველოში დავბრუნდები, იწყება ახალი ძალიან დიდი პროექტი, რომელსაც წინასწარ ვერ ვამბობ. ჩემი ალბომის პრეზენტაციიდან არც თუ ისე შორს, იქნება ძალიან აკადემიური ჩემი ახალი პროექტი.

***— კარიერა კარგია, მაგრამ რა ხდება პირადში?***

— პირადი არ არის და რა ვქნა?

***— თუ არ მოინდომებთ, არც იქნება...***

— არა, მონდომებაზე არ არის. ასაკი მაქვს მშვენიერი, საუკუნის მეოთხედს მივაღწევ ნოემბერში. არ ვარ ისეთი ტიპი, რომ ვინერვიულო. სულ არ მგონია, რომ დამაგვიანდა და დავბერდი. ახლა ვიწყებ ცხოვრებას. დამიჯერე, იქნება, როცა იქნება. შეიძლება როგორც კი დაგემშვიდობები, მაშინვე დამარტყას თავში და ვიღაც შემიყვარდეს, შეიძლება ერით წლის მერე, შეიძლება ხუთი წლის მერე.

***— თქვენ არ ნერვიულობთ, მაგრამ ოჯახის წევრები?***

— მით უმეტეს, არ ნერვიულობენ. იციან, რომ არ ვარ ცანცარა ტიპი, საკმაოდ ჭკვიანი ვარ, არ ვიღებ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს, არასოდეს შევქმნი ოჯახს იმისთვის, რომ მერე დავანგრიო. როცა 18 წლის ვიყავი, მინდოდა ცოლის მოყვანა, გადარეული ვიყავი სიყვარულისგან და თანახმა ვიყავი, ცოლი მომეყვანა.

***— რატომ გადაიფიქრეთ?***

— ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძალიან ჭკვიანურად ვიფიქრე, რომ პატარა ვიყავი და ოჯახს უნდოდა რჩენა, შეიძლება პრიმიტიულად ვიფიქრე, მაგრამ პრობლემები აქედან იწყება. ბევრი ჩემი მეგობარი გათხოვილა ან ცოლი მოუყვანია და მერე ჰქონიათ ყოფითი და ფინანსური პრობლემები. ახლა ძალიან მომწონს ჩემი მაშინდელი გადაწყვეტილება. ჩემს კარიერაში ოჯახის არყოლა ძალიან მიწყობს ხელს, მთლიანად საქმეზე ვიყო გადართული. შემიძლია ერთი კვირა საერთოდ წავიდე სახლიდან, ვიარო კონცერტებზე და მერე ჩამოვიდე. როცა გყავს შეყვარებული, მით უმეტეს, ცოლი, ცოტა ბრკოლდები. გინდა ერთად იყოთ, სულ იმაზე ფიქრობ, შეიძლება საკმარისი ყურადღება ვერ მიაქციო. მთელი დღეები ვარ სტუდიაში, ცოლი რომ გყავს, მერე იმის პრეტენზიებს უნდა უსმინო, ჯერ მაგდენი არ შემიძლია, მაგის ნერვები არ მაქვს.

***— იქნებ მაქსიმალურად გამგები შეგხვდეთ?***

— ასე იქნება, შეუგნებელი ჩემ გვერდით არასოდეს იქნება. შეუგნებელი როგორც მოვა, ისე წავა. აუ, რა მაგრად ვთქვი, დავემუქრე ვიღაცას. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად შეგნებულია ადამიანი, ზუსტად უნდა იცოდეს, ვინ ვარ მე და რას ვაკეთებ, ისევე როგორც მე უნდა ვიცოდე ზუსტად, ვინ არის და რას აკეთებს.

***— თუ აირჩევთ ცხოვრების მეგზურად ხელოვანს, იმ გაგებით, რომ თქვენი სფერო უკეთესად იცის?***

— ამას არ ვაკვირდები. ბოლო წლებში ვიღაც რომ მომწონებია, არასოდეს დავინტერესებულვარ ვინ არის პროფესიით. ვინც არ უნდა იყოს, მთავარია გამიგოს. არ იყოს პრაგმატული ტიპი, რობოტებივით გოგოები მაღიზიანებენ. მთავარია იყოს მგრძნობიარე, თბილი, მოსიყვარულე, ყურადღებიანი, ესთეტი. რომ ვიტყვი, რომ ეს ასეა, ასე უნდა იყოს. პრინციპული ვარ, მაგრამ კატეგორიული არა, უბრალოდ, უნდა იცოდეს როგორი ქმარი ჰყავს და მას დაუჯეროს. მთავარი სიყვარულია, როცა გიყვარს, მისი გესმის კიდეც და ენდობი კიდეც. ვერაფრით ენდობი თუნდაც მეგობარს, თუ ის არ გიყვარს.

## „სახალხო კრება“ 26 მაისს დაღუპულთა ოჯახებს მიმართავს

„დემოკრატიული მოძრაობა— ერთიანი საქართველოს„ და „სახალხო კრება“ ნინო ბურჯანაძის ესკორტის წევრებისთვის ბრალის წაყენებას აპროტესტებს და დაკავებულების სოლიდარობას უცხადებს.

მათი განცხადებით, შსს-ს მიერ გავრცელებული ცნობილი ვიდეო კადრები, იმის შესახებ თითქოსდა ნინო ბურჯანაძის ესკორტმა იმსხვერპლა ორი ადამიანის, მათ შორის ერთი პოლიციელის ვლადიმერ მანსურაშვილის სიცოცხლე, ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნამ გააბათილა.

— აღნიშნულ ვიდეოკადრებზე ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად ნინო ბურჯანაძის ესკორტის მიერ ადამიანთან, ან რაიმე უცხო სხეულთან ავტომობილის შეჯახება არ ფიქსირდება. ჩვენ რა თქმა უნდა, თავიდანვე ვიცოდით, რომ ესკორტის მანქანებს არავის სიცოცხლე არ უმსხვერპლია, თუმცა შეგნებულად ველოდებოდით ექსპერტიზის დასკვნას, როგორც ოფიციალურ დოკუმენტს, რომ საბოლოოდ გამორიცხულიყო ესკორტის ავტომანქანების კავშირი ამ ტრაგედიასთან.

„სახალხო კრება“ და „დემოკრატიული მოძრაობა -ერთიანი საქართველო“ ისედაც ყველა ღონეს მიმართავს, რათა 26 მაისს დატრიალებული ტრაგედია ბოლომდე იქნას გამოძიებული. არც ერთი ადამიანი, თუ მას მართლა მიუძღვის რაიმე დანაშაული დაუსჯელი არ უნდა დარჩეს იმისდა მიუხედავად, თუ რომელი მხარის წარმომადგენელია იგი. თუმც, ასევე ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ უდანაშაულო ადამიანი არ დაისაჯოს, — ნათქვამია განცხადებაში.

„სახალხო კრება“ და ნინო ბურჯანაძის პარტია 26 მაისს დაღუპულთა ოჯახის წევრებსაც მიმართვენ და აცხადებენ, რომ მზად არიან მათთან ერთად ბოლომდე იბრძოლონ სიმართლის დასადგენად, რომ საბოლოოდ გაირკვევს, თუ როდის და რა ვითარებაში დაიღუპნენ მათი ოჯახის წევრები.

**მედიანიუსი**

## ირაკლი ალასანია: რუსეთთან ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უნდა დაიწყოს დიალოგი



რუსეთთან ყოველგვარი წინაპირობის გარეშე დიალოგის დაწყების აუცილებლობაზე საუბრობს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია, „ამერიკის ხმის“ რუსულ სამსახურთან მიცემულ ინტერვიუში.

ორ ქვეყანას შორის არსებული რთული ურთიერთობების მიუხედავად, ალასანია მიიჩნევს, რომ გამოსავალი არის.

— ომიდან სამი წლის შემდეგ, ყველამ დავინახეთ, რომ არანაირი პრობლემა ამ ომმა არ გადაწყვიტა; ქართველ დევნილებს არ შეუძლიათ დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში. ჩვენი აფხაზი და ოსი მოქალაქეები კი, ვფიქრობ, სოციალურ-დემოგრაფიული თვალსაზრისით უფრო მეტად არ არიან დაცულები, ვიდრე ომამდე. ასე რომ, პრობლემები მათ ჰყოფნით. რაც შეეხება, რუსეთის მხრიდან აღიარებას, ახლა როგორც აფხაზები, ასევე ოსები ხვდებიან, რომ ეს ეფემერული აღიარებაა. საერთაშორისო საზოგადოება არ აღიარებს საქართველოს ამ ორი ტერიტორიის დამოუკიდებლობას, — აღნიშნავს ალასანია.

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის აზრით, დღეს როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს მხრიდან საჭიროა დიალოგის ახლიდან დაწყება იმის თაობაზე, თუ როგორ მოგვარდეს აღნიშნული პრობლემები, თუმცა მიიჩნევს, რომ საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას ეს არ ძალუძს.

— ეს ძალიან ძნელი გასაკეთებელი იქნება, თითქმის შეუძლებელი, სანამ ხელისუფლებაში სააკაშვილია, მაგრამ ჩვენ ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ, რომ არ დავუშვათ კონფლიქტის ესკალაცია და საომარი მოქმედებების განახლება. ეს არის ის, რაც შეგვიძლია ჩვენ ამ ეტაპზე; მომავალში კი, როცა სააკაშვილი წავა, დარწმუნებული ვარ, ჩვენ შევძლებთ რუსეთთან პოლიტიკური დიალოგის დაწყებას, — აცხადებს ალასანია, თუმცა ახლო მომავალში რუსეთში ვიზიტის არ გეგმავს.

ქართველი ოპოზიციონერი მიიჩნევს, რომ რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აწარმოოს.

— როცა ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში, ჩვენ შევძლებთ ორმხრივი ურთიერთობები რეალურად მივმართოთ პოზიტიურ კალაპოტში. მე არ ვფიქრობ, რომ ოპოზიციის წარმომადგენლების შეხვედრები რუსეთის ხელისუფლებასთან რაიმეს შეცვლის, ამიტომ არ ვდგამთ მსგავს ნაბიჯებს, როგორც ზოგიერთი ჩვენი ოპოზიციონერი, — აღნიშნავს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი.

**ინტერპრესნიუსი**

# დიმიტრი მედვედევი: „გულწრფელად მინდა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები სრულად აღდგეს“

თეა მარხვაი ე

**რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი მოხარული იქნება, თუ მის ქართველ კოლეგას საერთაშორისო ტრიბუნალი გაასამართლებს. ამის შესახებ მედვედევმა ტელეკომპანიების „პიკ“-ის, „რაშა თუდეის“ და რადიოსადგური „ეხო მოსკვისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.**

## რუსეთის პრეზიდენტის უპრეცედენტო ინტერვიუ



აღნიშნულ მედიასაშუალებებს მედვედევმა 52 წუთიანი ინტერვიუ მისცა. ეს ინტერვიუ გუშინ, 5 აგვისტოს, რუსული მედიის ყურადღების ცენტრში იყო. მის მიერ გაკეთებული განცხადებების გარდა, მედიას აინტერესებდა, რატომ მისცა პრეზიდენტმა ინტერვიუ ქართულენოვან „პიკს“.

— რუსეთის ხელისუფლების ხელმძღვანელი ჟურნალისტებთან შეხვედრას დიდხანს გეგმავდა, თუმცა „სტუმართა სია“ გასაიდუმლოებული იყო. თუ შეხვედრაში „რაშა თუდეის“ და „ეხო მოსკვის“ მონაწილეობა მეტნაკლებად გასაგებია, სოჭში „პიკ“-ის გამოჩენა ყველასთვის მოულოდნელი იყო — საქართველოს ხელისუფლების პროექტი „პიკი“ ხომ კრემლის ყველა ნაბიჯს აკრიტიკებს, — წერს რუსული გამოცემა „იზვესტია“.

თავად მედვედევის განცხადებები მართლაც მნიშვნელოვანი იყო. მან საქართველოსთან დაკავშირებით საინტერესო რამეები თქვა. ბევრი ისაუბრა თავის ქართველ კოლეგაზეც. და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ის სააკაშვილის მიმართ შედარებით კორექტული იყო.

### ეს იყო პეტერბურგში, ანუ როგორ დაიწყო სააკაშვილი — მედვედევის ურთიერთობა

პუტინს საქართველოს მიმართ ყოველთვის უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა. როცა მედვედევი პრეზიდენტად აირჩიეს, ყველამ იფიქრა, რომ მოსკოვთან ურთიერთობები მოგვარდებოდა. ამის იმედი ჰქონდა სააკაშვილსაც. ომამდე ისინი ერთმანეთს შეხვდნენ პეტერბურგში. ცოტა ხანში ომი დაიწყო. ეს იყო მათი პირველი შეხვედრა.

— დღემდე მახსოვს, როგორ შევხვდი პირველად პრეზიდენტ სააკაშვილს. ეს პეტერბურგში მოხდა, კონსტანტინეს სასახლეში შევხვდით. ის მოვიდა, მე ვუთხარი: იცით, ამჟამად რეგიონში, საქართველოში, უღიარებელ ტერიტორიულ წარმონაქმნებთან დაკავშირებით უამრავი პრობლემაა. თუმცა გარწმუნებთ, რომ მე, როგორც რუსეთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი, ყველაფერს ვიღონებ იმისთვის, რომ თქვენ ყველასთვის ხელსაყრელი რაიმე კომპრომისის გამოძებნას შეეცადოთ, რაც საბოლოო ჯამში საქართველოს სივრცის რეინტეგრაციას შეუწყობს ხელს. სიტყვასიტყვით ასე ვუთხარი. თუკი, რასაკვირველია, ყველასათვის, ვინც მოლაპარაკებებში მონაწილეობს, ეს მიმზიდველი იქნება-მეთქი. ამაზე მიპასუხა: დიახ, რასაკვირველია, ჩვენ მუშაობისთვის მზად ვართ. მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ შესაძლებელია ახალი გვერდის გადაშლა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, რაიმე ახალი, არასტანდარტული მიდგომების გამოძებნა მაინც და, რაც მთავარია, რეგულარულად ურთიერთობა. შემდეგ რა მოხდა? ჩვენ ვურთიერთობდით, ვსაუბრობდით, და, რამდენადაც მახსოვს, ჩვენი ბოლო შეხვედრა ასტანაში შედგა. მაშინ შევთანხმდით, რომ დავსხდებოდით და სერიოზულად მოვილაპარაკებდით. მან პირობა მომცა, — ამბობს მედვედევი.

ეს შეხვედრა არ შედგა. მედვედევს თავისი ქართველი კოლეგა არ შეხმიანებია.

— სიმართლე გითხრათ, ამის შემდეგ მთელი თვის განმავლობაში ვამოწმებდი, ჩვენი ქართველი პარტნიორისგან რაიმე ინფორმაცია იყო თუ არა. არ ყოფილა. სამაგიეროდ, საქართველოში იმ პერიოდში სტუმრობას მოუხშირეს, როგორც საბჭოთა ხანაში იტყოდნენ, ოკეანისგაღმელმა ემისრებმა. და ჩემთვის საკმაოდ თვალსაჩინო მომენტი იყო (შემდგომ, ბუნებრივია, ეს არაერთგზის გავაანალიზე) აშშ-ს მაშინდელი სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისის ვიზიტი. ამის შემდეგ ჩემმა კოლეგამ, უბრალოდ, კავშირი გაწყვიტა, ურთიერთობა შეწყვიტა, აღარ იწერებოდა, არ რეკავდა, კავშირზე არ გამოდიოდა. როგორც ჩანს, ახალი გეგმები დაისახა და ისინი განხორციელდა კიდეც, — ამბობს რუსეთის პირველი პირი.

ამ ინტერვიუში ჩვენი პრეზიდენტის განცხადებაზეც გააკეთა კომენტარი მედვედევმა. სააკაშვილმა თქვა, ასტანაში ყოფნის დროს მედვედევმა თვალი ამარიდაო. მედვედევი კი საპირისპიროს ამტკიცებს.

— მისთვის თავის არიდება ძნელია, რადგან „ტკიპაა“ და თუ დაიჟინებს, მაინც არ მოგეშვება. რამდენჯერმე მოვიდა ჩემთან. ჩინებულად მახსოვს, ავტობუსშიც ვლაპარაკობდით და პარკში სეირნობისასაც. უფრო მეტიც. საღამოს ჩაისა და ჭიქა ღვინის დასალევად გავეშურეთ და იქაც დივანზე ჩამომსხდარი ვლაპარაკობდით და ვმსჯელობდით, როგორ შევხვედროდით ერთმანეთს. ამიტომ ეს ზღაპრები მის სინდისზე იყოს, ისევე, როგორც უამრავი სხვა რამ, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

### აგვისტოს ომი

რუსეთში და არა მარტო რუსეთში ამტკიცებენ, რომ საქართველოს ომისკენ ამერიკამ უბიძგა. ამის შესახებ განცხადება ვლადიმერ პუტინმაც გააკეთა. მედვედევი ამას არ ადასტურებს.

— არ მიმაჩნია, რომ ამერიკელები საქართველოს ხელმძღვანელს აგრესიისკენ უბიძგებდნენ. თუმცა ვთვლი, რომ გარკვეულ ნიუანსებს, გარკვეულ აქცენტებს, სიტყვებს იმის შესახებ, რომ საკონსტიტუციო წესრიგის აღდგენის, უფრო გაბედული მოქმედებების დროა, სავსებით შეეძლო სრულიად თვალსაჩინო იმედების აღძვრა, თითქოს ნებისმიერი კონფლიქტის წარმოქმნისას ამერიკელები არ მიგვატოვებენ, გამოგვესარჩლებიან და, ბოლოს და ბოლოს, რუსებთან ომს გააჩაღებენ. ამიტომ ამ ვიზიტს (მედვედევი გულისხმობს რაისის თბილისში ვიზიტს 2008 წლის ივლისში) მაინც ვუკავშირებ შემდგომ მოვლენებს, ისევე, როგორც ჩემს სატელეფონო და მერე პირად ურთიერთობას თეთრი სახლის მესვეურთან, — აღნიშნა მედვედევმა.

მას არც იმის თქმის საფუძველი აქვს, რომ თბილისს ომის დასაწყებად მწვანე შუქი ვაშინგტონმა აუნთო. ამის მიუხედავად, კონდოლიზა რაისზე აქვს ეჭვი.

— ამის სათქმელად, სულ მცირე, ოფიციალურ ან აგენტურულ მონაცემებს უნდა ფლობდე. მე ისინი არ მაქვს. თუმცა ანალიზის უნარი ყველას შეგვწევს. კონდოლიზა რაისის ვიზიტის შემდეგ ჩემმა კოლეგამ ურთიერთობა შეწყვიტა. შესაძლოა, ეს უბრალო დამთხვევაც იყოს. თუმცა, პრაქტიკულად, დარწმუნებული ვარ, რომ იმ მომენტში შესაბამისი ავანტიურის გეგმა იშვა, რომელიც აგვისტოში განხორციელდა კიდეც, — ამბობს რუსეთის პრეზიდენტი.

საქართველოს და რუსეთს შორის მომხდარ კონფლიქტს ის ტრაგედიას უწოდებს. მისი თქმით, ყველა კონფლიტი დიდი ტრაგედიაა და მას კარგი არავისთვის მოაქვს. ტრაგედიაზე რუსეთის პირველი პირი პასუხისმგებლობას მხოლოდ ერთ ადამიანს, მიხეილ სააკაშვილს, აკისრებს.

რაკი კონფლიქტი ტრაგედიად მიაჩნია, რუსეთს მისი თავიდან აცილება შეეძლო. ამ ინტერვიუს დროს მედვედევს ჰკითხეს: რა ვერ იღონა რუსეთმა ომის თავიდან ასაცილებლად?

— მე ივლისში რომ მივმხვდარიყავი, რომ ბატონი სააკაშვილის ავადმყოფ გონებაში ასეთი გეგმები მწიფდებოდა, ალბათ, უფრო მკაცრად დაველაპარაკებოდი, შევეცდებოდი, გავსაუბრებოდი, გადამეფიქრებინებინა. თუმცა, ცხადია, ეს არ ვიცოდი. მიუხედავად იმისა, რომ გვესმოდა, არსებობს განზრახვა, ძალისმიერად აღადგინო ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობა, გამოიყენო ჯარი, მაინც ვფიქრობდი, რომ ეს პარანოიდული სცენარი იყო, რომელიც არასდროს განხორციელდებოდა. ხომ ყოველთვის იმედს ამყარებ, რომ გონება უფრო ძლიერია, ვიდრე ამგვარი არგუმენტები. სწორედ ამიტომ ის, რაც 8 აგვისტოს მოხდა, ჩემთვის გასაკვირი იყო, რადგან მესმოდა, რომ ამით სააკაშვილმა თავისი ხელით დაანაწევრა თავისი სამშობლო. და ეს ყველაზე სავალალოა მისთვისაც და ქართველი ხალხისთვისაც, — ამბობს პრეზიდენტი.

რუსეთის პრეზიდენტმა ისიც გაიხსენა, თუ როგორ მიიღო ცეცხლის გახსნის გადაწყვეტილება. მან თქვა, რომ ის ღამე მის ცხოვრებაში ყველაზე მძიმე ღამე იყო.

— 7 აგვისტოს ღამეს თავდაცვის მინისტრმა დამირეკა. იმ დროს ვოლგაზე ვიყავი შვებულებაში. მთელი პლანეტა ჩინეთში გამართული ოლიმპიადის მოლოდინში იყო. თავდაცვის მინისტრმა მითხრა, რომ ჩვენმა ქართველმა მეზობელმა აქტიური საბრძოლო მოქმედებები წამოიწყო. მე, სავსებით გულწრფელად გეტყვით, თავიდან ძალიან შევეჭვდი და ვუთხარი: იცი, რა, უნდა შევამოწმოთ, ის რა, გიჟია, სულ გააფრინა თუ რა? იქნებ ეს უბრალოდ პროვოკაციაა და ოსების გამძლეობას ამოწმებს ან ჩვენთვის რაიმეს დანახვება უნდა? ერთი საათის შემდეგ მინისტრი მეუბნება: არა, უკვე ყველა იარაღიდან დასცხეს, გრადს იყენებენ. ვუთხარი: კარგი, ახალ ინფორმაციას ველოდები. ცოტა ხანში მატყობინებს: მინდა, მოგახსენოთ, რომ ეს-ესაა, ის კარავი გაანადგურეს, სადაც ჩვენი მშვიდობისმყოფელები იმყოფებოდნენ. ყველა დაიღუპა. რას მიბრძანებთ? ვუპასუხე: საპასუხო ცეცხლი გაუხსენით სრულ დამარცხებამდე. უნდა გითხრათ, რომ ეს ყველაზე მძიმე ღამე იყო ჩემს ცხოვრებაში, — ამბობს რუსეთის პირველი პირი.

# დიმიტრი მედვედევი: „გულწრფელად მინდა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები სრულად აღდგეს“

ის ღამე ჩვენთვის გაცილებით უფრო მძიმე იყო. ასევე ის ღამეც, როცა ხმა გავარდა, რომ რუსები თბილისის ასაღებად წამოვიდნენ. მაშინ საქართველოს დედაქალაქი სრულმა პანიკამ მოიცვა. რუსები თბილისთან ძალიან ახლოს იდგნენ.

რუსები თბილისში არ შემოსულან. როგორც ამბობენ, ეს საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის დამსახურებაა.

რუსეთის პრეზიდენტი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს. ამბობს, რომ სარკოზი მას ასეთ რამეს არ ეტყოდა. და რომც მოეთხოვა, ის მაინც ისე მოიქცეოდა, როგორც თავად ჩათვლიდა საჭიროდ.

— არც ერთ უცხო ქვეყნის ხელმძღვანელს არ შეუძლია მეორის დაყოლიება. მთელი მსოფლიო ცდილობს კადაფის დაყოლიებას, მერედა, დაიყოლიეს? ვერც დაიყოლიებენ, — აცხადებს პრეზიდენტი.

თბილისის აღებაზე კი ასეთ რამეს ამბობს:

— კიდევ ვიმეორებ, არასოდეს გვქონია მიზნად რომელიმე ქალაქის ან რაიმეს აღება. საუბარი მხოლოდ იმას ეხებოდა, რომ შეგვეჩერებინა სამხედრო მანქანა, რომელიც იმ მომენტში ორი გამოყოფილი ტერიტორიისა და, სამწუხაროდ, ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამ ყველაფრის მიუხედავად, მედვედევი ამბობს, რომ სააკაშვილი მისი მადლიერი უნდა იყოს.

— საერთოდ, ის უნდა მემადლიერებოდეს, რომ რაღაც მომენტში, უბრალოდ, შევაჩერე ჯარები. ისინი რომ თბილისში შესულიყვნენ, ამჟამად საქართველოში ალბათ სხვა პრეზიდენტი იქნებოდა, — ამბობს რუსეთის პირველი პირი.

მედვედევი სააკაშვილთან მოლაპარაკებების გამართვას არ აპირებს და მისთვის არც ხელის ჩამორთმევის სურვილი აქვს. სამაგიეროდ, საქართველოსთან სურს კარგი ურთიერთობები.

— მესმის, რომ იგი საქართველოს კანონიერად არჩეული პრეზიდენტია. მხოლოდ ქართველ ხალხს შეუძლია, შეაფასოს იგი და ვერდიქტი გამოუტანოს. ნებისმიერ შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, რომ მიხეილ სააკაშვილი ადრე თუ გვიან საქართველოს პრეზიდენტი აღარ იქნება, რადგან ასეთია პოლიტიკური ცხოვრების კანონები. და ამ შემთხვევაში ახალ პრეზიდენტს, ვინც უნდა იყოს იგი, შესაძლებლობა ექნება, რუსეთთან ნორმალური, ნაყოფიერი ურთიერთობები დაამყაროს. უფრო მეტიც, მინდა, ახლავე ვთქვა, რომ ჩემთვის ძალზე მტკივნეულია ჩვენს ქვეყნებს შორის ნორმალური ურთიერთობების არარსებობა, რადგან ჩვენ ძალიან ახლობელი ქვეყნები და ხალხები ვართ. ეს იდიოტური ავანტიურა რომ არა, შესაძლებელი იქნებოდა იმჟამინდელი უაღრესად რთული პოლიტიკური პროცესის წლობით გაგრძელება და, ბოლოს და ბოლოს, ალბათ, ყველასთვის, ქართველების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთათვის მისაღები გადაწყვეტილების მიღება. სწორედ ამას არასოდეს ვაპატიებ. და მიმაჩნია, რომ ის ქართველმა ხალხმა უნდა შეაფასოს, მაგრამ ეს დემოკრატიული მეთოდით უნდა მოიმოქმედოს, — განაცხადა მედვედევმა.

## ცხინვალი და გროზნო

რუსეთის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საქართველომ ყოველგვარი ნორმების დარღვევით დაიწყო ომი. ამასთან დაკავშირებით, „ეხო მოსკვის“ ჟურნალისტმა რუსეთის პირველ პირს ძალიან საინტერესო კითხვა დაუსვა:

— ნება მიბოძეთ, უფრო უკმეხად ვიკითხო. რით განსხვავდება ის, რასაც სააკაშვილი აკეთებდა ცხინვალში, იმისგან, რაც 1999 წელს რუსეთმა მოიმოქმედა გროზნოში? — იკითხა ვენედიქტოვმა.

რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, 2008 წლის ცხინვალსა და 1999 წლის გროზნოს შორის დიდი განსხვავებაა.

— ეს კითხვა საკმაოდ ხშირად მსმენია. საქმე ისაა, რომ გროზნოში რუსეთი იმას არ აკეთებდა, რაც ცხინვალში ქართველებმა მოიმოქმედეს. ჩვენ ჩვეულებრივ რამეს ვაკეთებდით, უბრალოდ, წესრიგს ვამყარებდით, საკუთარ ხალხს კი არ ვულეტდით მიწაზე, რომელიც მაშინ ფორმალურად შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში. ჩვენ ბანდიტებს ვებრძოდით, იმ ადამიანებს, რომლებიც ნაირგვარი ლოზუნგით, ზოგჯერ ფსევდოისლამური, ხანაც — სრულებით ექსტრემისტულით, კონსტიტუციურ ხელისუფლებას ებრძოდნენ. არაფერი ამგვარი არც ცხინვალში და არც აფხაზეთში არ გვინახავს, რადგან იქ უკვე დიდი ხანია, არსებობდა ანკლავები, სადაც საკუთარი მთავრობა ჰყავდათ, რომლებმაც თავი სახელმწიფოებად გამოაცხადეს და სადაც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი იყო მართლწესრიგი. ეს პრინციპულად განსხვავებული სიტუაციებია, — აღნიშნა მედვედევმა.

უბრალოდ სასაცილოა, როცა მედვედევი ამბობს, ჩვენ ხალხს არ ვულეტდითო. არადა, რუსეთის ქმედებამ ჩეჩნეთში 100 ათასზე მეტი ადამიანი, მათ შორის, 10 ათასზე მეტი ბავშვი შეიწირა.

## ორი ოსეთის გაერთიანება არ იქნება

ცოტა ხნის წინ რუსეთის პრემიერმა პუტინმა ცხინვალთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთა. ახალგაზრდული ფორუმის წარმომადგენლებთან შეხვედრისას მან სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთებაზე ისაუბრა.

პრემიერმა პუტინმა თქვა, რომ ეს საკითხი ოსმა ხალხმა რეფერენდუმით უნდა გადაწყვიტოს. პუტინის ამ ინიციატივაზე ცხინვალში მკვეთრი რეაქცია ჰქონდათ. რუსეთში სამხრეთ ოსეთის ელჩმა დიმიტრი მედოევმა მსგავსი ტიპის რეფერენდუმის ჩატარება გამორიცხა. მისი თქმით, რეფერენდუმი უკვე ჩატარდა და იქ ოსმა ხალხმა ხმა დამოუკიდებლობას მისცა.

თბილისში მიაჩნიათ, რომ ეს განცხადება პრემიერმა წინასაარჩევნოდ ხალხის გულის მოსაგებად გააკეთა. ის ხომ პრეზიდენტობას უმიზნებს. ორი ოსეთის გაერთიანებაზე განსხვავებული პოზიცია აქვს მედვედევს.

— ვფიქრობ, რომ ამჟამად არავითარი იურიდიული წინაპირობა არ არსებობს. რა თქმა უნდა, შეუძლებელია მომავლის განჭვრეტა, რადგან შესაძლებელია მოვლენების ნაირგვარი განვითარება. თუმცა, თუ ამჟამინდელი სიტუაციით ვიმსჯელებთ, ჩემი აზრით, ამისთვის არც ფაქტობრივი და არც იურიდიული წინაპირობები არ არსებობს. სწორედ ამას უკავშირდებოდა ჩემი ბრძანებულებები საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტების აღიარების თაობაზე. და მგონია, რომ ესაა კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობების განვითარების ნორმალური გზა რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის. ეს ნორმალური გზაა, — განაცხადა პრეზიდენტმა.

## ტრიბუნალი

საქართველოშიც და რუსეთშიც ბევრი ითხოვს, რომ მიხეილ სააკაშვილი საერთაშორისო ტრიბუნალმა გაასამართლოს. ეს თავის დროზე თავად მედვედევმაც მოითხოვა. ის დღესაც ამავე აზრზეა. თუმცა, ეს დღეს არ გამოვა. და არჩევანი ჩვენს მოსახლეობაზე ყოფილა.

— ამგვარი ტრიბუნალის შექმნა დღეს არარეალურია. ამიტომ საბოლოო განაჩენს ისტორია გამოიტანს, ხოლო შუალედურ სასამართლოს საქართველოს ამომრჩევლები გამართავენ და თავადვე აირჩევენ, საით და როგორ განვითარდებიან, — ამბობს მედვედევი.

## მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია

რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას აპირებს. მას ამასთან დაკავშირებით განაცხადი 17 წლის წინ აქვს შეტანილი. თუმცა, საქართველოს პოზიციის გამო, რუსეთმა მიზანს ვერ მიაღწია. ვმო-ში გაწევრიანების სანაცვლოდ, საქართველო როკთან და ფსოუზე ქართველი მესაზღვრეების დაყენებას ითხოვს. რუსეთი ამ პირობას არ თანხმდება. არც მომავალში აპირებს ამ პირობის მიღებას.

— ბარტერი ნამდვილად არ მინდა, რადგან ეს, უბრალოდ, ამორალური იქნებოდა. საქართველოს ამ საკითხზე განკერძოებული პოზიცია უკავია. ისევე, როგორც ნებისმიერი მხარის პოზიციას, მასაც პატივისცემით ვეკიდებით, თუკი საუბარია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საწესდებო მიზნებით ნაკარნახევ პოზიციებზე: ვაჭრობა, პრეფერენცია, საბაჟო რეჟიმი — ამის განსახილველად ყველა მზადაა. ღვინო და მინერალური წყლები — კი, ბატონო. მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, საუბარი სხვა რამეს ეხება. ვმო-ში გაწევრიანების თემას ამოფარებული ჩვენი ქართველი კოლეგები ცდილობენ პოლიტიკური პრობლემის ახალი სახეობის შემოჩეჩებას, კერძოდ კი: გამშვები პუნქტები, ვინ რას აკონტროლებს, მოდი, იქ ევროკავშირს ვუხმოთ. ჩვენი პოზიცია მარტივია: თუკი გსურთ საქონლის, მათ შორის, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის ტერიტორიაზე სატრანზიტო საქონლის მოძრაობის შესახებ იცოდეთ, მზად ვართ, ეს ინფორმაცია მოგაწოდოთ, თანაც — ელექტრონული სახით, ყველაზე თანამედროვე მეთოდით. სხვათა შორის, ამაზე შვეიცარიის პრეზიდენტს შევუთანხმდი, გუშინ კი ამის თაობაზე პრეზიდენტ ობამასაც ვესაუბრე. ამ თვალსაზრისით, მზად ვართ, შვეიცარიის წინადადებებს დავთანხმდეთ. მაგრამ თუკი ვმო-ში გაწევრიანების იარლიყით არსებული პოლიტიკური რეალიების შეცვლას ლამობენ, რასაკვირველია, ამაზე არ წავალთ, — განაცხადა რუსეთის პირველმა პირმა.

## იქნება თუ არა რუსეთთან უვიზო მიმოსვლა

რუსეთმა საქართველოსთან სავიზო მიმოსვლა 2000 წელს დააწესა. რამდენიმე თვის წინ ჩვენმა ხელისუფლებამ ეს რეჟიმი ცალმხრივად გააუქმა. რუსეთის მოქალაქეები საქართველოში უპრობლემოდ შემოდიან. ჩვენებურებს კი რუსეთში ჩასასვლელად ვიზები სჭირდებათ.

„ეხო მოსკოვის“ ჟურნალისტს აინტერესებს, აპირებს თუ არა მედვედევი სავიზო რეჟიმის შემსუბუქებას.

— ამას ხვალვე სიამოვნებით გავაკეთებდი. საქმე სწორედ იმას ეხება, რაც ცოტა ხნის წინათ ვთქვი. პრობლემა ისაა, რომ ახლა არ არსებობს სუბიექტი მოლაპარაკებებისთვის. თუმცა, თუკი გონივრული წინადადებები იქნება, ამასაც განვიხილავთ. არა სააკაშვილისგან, არამედ მთლიანად საქართველოს ხელმძღვანელობისგან მზად ვართ, ასეთი წინადადებებიც განვიხილოთ. მცირე ხნის წინათ ნორმალური საჰაერო მიმოსვლაც არ გვქონდა. ახლა, მეტ-ნაკლებად, აღვადგინეთ. თვითმფრინავები დაფრინავენ. ჩვენც ამ მიმართულებით უნდა ვიმოძრაოთ, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

## რა იქნება მომავალში?

რუსეთის პრეზიდენტმა მომავალზეც ისაუბრა. თუმცა არ იცის, როგორი იქნება ეს მომავალი.

— ის არავისთვისაა ცნობილი. ძალიან მოხარული ვიქნები, თუ საქართველოს ხელმძღვანელობა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებათა მაგიდას მიუსხდებიან და იმაზე იფიქრებენ, თუ როგორ იცხოვრონ მომავალში, როგორ უზრუნველყონ რეგიონში მშვიდობა და მართლწესრიგი, როგორი იქნება ძალიან ახლობელი ხალხების ბედი და პოტენციურად რის შექმნა შეუძლიათ. ეს მათი საქმეა. და თუ ოდესმე საქმე აქამდე მივა, ბედნიერი ვიქნები, რუსეთი ამას ხელს არასოდეს შეუშლის, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

ის საქართველოს ხელისუფლებასთან (საუბარია იმ ხელისუფლებაზე, სადაც სააკაშვილი არ იქნება) ყველა თემაზე აპირებს მოლაპარაკებას, ოღონდ არა — ცხინვალის და სოხუმის აღიარების გაუქმებაზე.

— მოლაპარაკებების პროცესის დაწყება ნებისმიერ საკითხზე შეიძლება, გარდა იმ საკითხებისა, რომელთა მიმართაც უკვე ჩამოყალიბებული გვაქვს პოზიციები. თუმცა საუბარი ამ საკითხებზეც შეიძლება, — ამბობს პრეზიდენტი.

არსებული კონფლიქტის მიუხედავად, მედვედევს უნდა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის სრული კონტაქტები აღდგეს. ამასთან, იმის იმედიც აქვს, რომ თბილისსა და მოსკოვს შორის შეიარაღებული კონფლიქტი აღარ იქნება.

— ჯერ ერთი, ვიმედოვნებ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის მეტი კონფლიქტი აღარასდროს იქნება, ქვეყნის სათავეში ბატონი სააკაშვილის ყოფნის პერიოდშიც კი. იმიტომ, რომ მან კარგი გაკვეთილი მიიღო. ეს ერთი. მეორე. ყველაზე მთავარია, რომ ამ სევდიანი ფურცლის გადაშლისას გვახსოვდეს, თუ რა მოხდა, მაგრამ მომავლისკენ ვიმზირებოდეთ, რათა აღვადგინოთ ის უზარმაზარი კავშირები, რომლებიც რუს და ქართველ ხალხს შორის არსებობდა, რათა კეთილმეზობლური ადამიანური კონტაქტები სრულად აღვადგინოთ. ისინი ახლაც არსებობს. და თქვენ ასეთი კონტაქტების მაგალითი ბრძანდებით — ცხოვრობთ და იმყოფებით აქაც და იქაც. თუმცა მინდა, რომ ეს ურთიერთობები სრულად აღდგეს და რაც შეიძლება მალე. ეს ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნებოდა. გნებავთ, ამას გულის ძახილი დაარქვით. გულწრფელად ვამბობ, მინდა, ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს. და თუ საამისოდ გავირჯებით, ამ ამოცანის გადაჭრას შევძლებთ. თუმცა აქ ყველაფერი მარტო რუსეთზე როდია დამოკიდებული, — განაცხადა რუსეთის პირველმა პირმა.

## კიევის სასამართლომ იულია ტიმოშენკო დააპატიმრა



კიევის სასამართლომ პარასკევს ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის იულია ტიმოშენკოს დაპატიმრების გადაწყვეტილება მიიღო. ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ იუწყება.

ამ გადაწყვეტილებას ტიმოშენკოს მომხრეების მხრიდან შეძახილები მოყვა, რომლებიც სკანდირებდნენ „სირცხვილი!“

ტიმოშენკოს დასაკავებლად სასამართლო დარბაზში დაახლოებით 30 მილიციელი შევიდა, სასამართლოს ეზოდან კი მილიციის სპეცდანიშნულების რაზმის წევრები შევიდნენ. სასამართლოს გადაწყვეტილებამდე 50-მდე სპეცრაზმელი სასამართლოს შენობასთან იყო მობილიზებული.

სასამართლომ ყოფილი პრემიერის დაპატიმრებაზე უარი ერთხელ უკვე განაცხადა.

**ინტერპრესნიუსი**

## რუსეთში საქართველოს ვიზების გაცემა შეჩერდა

მოსკოვში საქართველოს ვიზების მიღება შეუძლებელია. აღნიშნულის შესახებ „რია ნოვოსტი“ იუწყება.

რუსული სააგენტოს ცნობით, აღნიშნულის მიზეზი შვეიცარიის საელჩოში საქართველოს საკონსულო სამსახურის სექციის მუშაობის შეჩერება გახდა.

საქართველოს სექციის შესასვლელ კარზე გაკეთებულია წარწერა: „რუსეთის მხარის მიერ შექმნილი ბარიერის გამო, საქართველოს ინტერესების სექციის მუშაობა დროებით შეჩერებულია.“

„რია ნოვოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, საქართველოს სექციის მუშაობის შეჩერების მიზეზი რუსული მხარის მიერ ელექტროენერგიის შეწყვეტა გახდა.

რუსული სააგენტოს ცნობით, კითხვაზე თუ რა გახდა ელექტროენერგიის გათიშვის მიზეზი, გადასახადის გადაუხდელობა თუ სხვა რამ, ქართველმა დიპლომატებმა განაცხადეს, რომ განმარტებებისთვის რუსეთის ხელისუფლებისთვის მიემართათ.

„რია ნოვოსტის“ ცნობით, ჟურნალისტმა ისიც ვერ დაადგინა, თუ რამდენი ხნით შეაჩერა სექციამ მუშაობა.

საქართველოში გამგზავრების მსურველები ვიზებს აეროპორტებში მიიღებენ.

**მედიანიუსი**

## რამაზ საყვარელიძე: დიმიტრი მედვედევმა პუტინის წინააღმდეგ განცხადება გააკეთა



პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთებასთან დაკავშირებით, მედვედევისა და პუტინის განსხვავებულ პოზიციებსა და განცხადებებზე ამახვილებს ყურადღებას.

როგორც რამაზ საყვარელიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ზოგადად, უკანასკნელ პერიოდში მედვედევის განცხადებების მნიშვნელობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, თუმცა დღეს ფაქტია, რომ მედვედევმა პუტინის საწინააღმდეგო განცხადება გააკეთა.

მისი თქმით, დგება საკითხი, თუ ვინ მართავს რუსეთს და ვინა არის რუსული პოლიტიკის გარანტი.

პოლიტოლოგი არ გამორიცხავს, რომ ორივე მათგანის განცხადება წინასაარჩევნო პროცესის ნაწილი იყოს და მედვედევს დემოკრატიული მოქალაქეების თუ მსოფლიო ლიდერების სიმპათიის დამსახურება სურდეს, პუტინს კი პირიქით.

— გამორიცხული არ არის, რომ ორივე ფორმულა პიარ კამპანიის ნაწილი აღმოჩნდეს, — მაგრამ ფაქტია, რომ ეს ორივე ფიგურა სხვადასხვა რამეს ლაპარაკობს„ დასძინა საყვარელიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# კვენტინ ტარანტინო — უწიგნური რეჟისორი

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დაბადებულნი“ მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდა, რომ მათი შემოსავალი „ცოფიანი ძაღლების“□ გადასაღებად გამოეყენებინა, რომლის შექმნის იდეა ჯერ კიდევ ვიდეოარქივში მუშაობის დროს მოუვიდა.

ძარცვის თემაზე უამრავი ფილმის ნახვის შემდეგ, კვენტინმა გადაწყვიტა მსგავს თემაზე შეექმნა ფილმი. ერთია, თითქმის ყველა სიუჟეტი იწყებოდა ძარცვის დაგეგმარებითა და შემდეგ მისი შესრულებით, ტარანტინომ კი გადაწყვიტა, შეებრუნებია სიუჟეტი — თხრობა უფრო გვიანი პერიოდით დაიწყო, როდესაც ძარცვა მომხდარი იყო და თანდათან ბრუნდებოდა უკან და ხსნიდა ოპერაციის დეტალებს.

სცენარის დასრულების შემდეგ ტარანტინომ პროდიუსერის ძიება დაიწყო. ერთ-ერთ ჰოლივურ საღამოზე შემთხვევით გაიცნო ლორენს ბენდერი, რომელიც სცენარის წაკითხვისთანავე მზად იყო ფილმის პროდიუსერი გამხდარიყო და სცენარის სხვადასხვა რეჟისორებისთვის ჩვენება დაიწყო. თუმცა, ტარანტინო შეუვალი გახდა და თავისი პირობა წამოაყენა — ფილმს თავად გადაიღებდა და არავინ სხვა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, როგორ, რა კამერითა და რა მსახიობებით, მთავარი იყო, რომ რეჟისორიც თავად უნდა ყოფილიყო.

უნდა ითქვას, რომ ტარანტინოს ძალიან გაუმართლა — სცენარი ხელში ჩაუვარდა მსახიობ ჰარვი კეიტელს, რომელიც ისე დაინტერესდა ფილმით, რომ ფინანსებით დაწყებული, მსახიობების შერჩევით დამთავრებული დახმარება გადაწყვიტა. მართალია, იმ პერიოდში კეიტელი ჰოლივუდის ვარსკვლავი ჯერ კიდევ არ იყო, მაგრამ ტარანტინოსგან განსხვავებით იმდენად ცნობილი კი იყო, რომ პროდიუსერები მიეზიდა. კეიტელის დახმარებით მოზიდული 1,2 მილიონი დოლარით გახარებულმა ტარანტინომ და ბენდერმა მსახიობთა კასტინგი ჩაატარეს, თუმცა რამდენი როლი ისედაც ცნობილი იყო — ტარანტინო და კეიტელი ფილმში აუცილებლად ითამაშებდნენ. მათ გარდა მიიწვიეს სტივ ბუშემი, კრის პენი (შონ პენის ძმა), ტიმ როტი, მაიკლ მედსენი და ედი ბანკერი.

ფილმის წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — ჯერ კიდევ პრემიერამდე ფილმმა თავის ბიუჯეტს 3□ჯერ გადააჭარბა, ხოლო დამწყები რეჟისორს სერიოზული დივიდენდები მოუტანა.

მართალია, სანდესის ფესტივალზე ფილმის ყურებისას რეჟისორმა უეს კრეივენმა დარბაზი დატოვა, რადგან ვერ გაუძლო ფილმის სიუჟეტს, მაგრამ სამაგიეროდ „ცოფიანმა ძაღლებმა“ აღიარება კანის ფესტივალზე მოიპოვა, ხოლო ტორონტოს ფესტივალზე სულაც წლის საუკეთესო ფილმად დაასახელეს.

ფილმის წარმატებად მსახიობთა სწორი არჩევანი დაასახელეს, ხოლო უარყოფით მხარედ, ზედმეტად მკაცრი ძალადობის სცენები და ქალთა პერსონაჟების არყოფნა. თუმცა, მთლიანობაში მაინც დადებითი რეზონანსი გამოიწვია. ფილმმა 8 ჯილდო მიიღო სხვადასხვა ფესტივალებზე, აქედან უმეტესობა ტარანტინოს, როგორც რეჟისორს ერგო.

### მაკულატურა

□„ცოფიანი ძაღლების“ გადაღების შემდეგ ტარანტინო ამერიკიდან ერთი წლით დაიკარგა. მონაწილეობდა სხვადასხვა თოქშოუებში, დაუსრულებლად იძლეოდა ინტერვიუებს. მას უკვე ცნობდნენ ტოკიოს ქუჩებში, კომუნისტური რეჟიმის ქვეყნებში... თუმცა, გული ისევ ფილმების გადასარებად მიუწევდა.

□„მაკულატურას“ სცენარი თავდაპირველად სტუდია „ტრისტარისთვის“ იყო დაწერილი, მაგრამ რატომღაც არ მოეწონათ. სამაგიეროდ, პირველივე ფურცლიდან დაინტერესდა □„მირამაქსის“ ხელმძღვანელობა, რომლისთვისაც „მაკულატურა“ პირველი ფილმი გამოდგა. პროდიუსერებმა და ჰოლივუდის რამდენი ცნობილმა მსახიობმა „ცოფიანი ძაღლების“□ შემდეგ უკვე იცოდნენ, რომ ტარანტინოს ფილმის გადაღება შეუძლია. ერთ-ერთი ასეთი მათგანი აღმოჩნდა დენი დე ვიტო, რომელმაც უზარმაზარი დახმარება გაუწია ტარანტინოს „მაკულატურას“ გადაღების დროს.

თუნდაც მსახიობთა კრებულს გადავხედოთ — ჯონ ტრავოლტა, უმა თურმანი, ბრიუს უილისი, სამუელ ელ ჯექსონი. ვფიქრობთ, ყველაფერი ნათქვამია. ფილმი დღემდე ითვლება ყველაზე ხმაურიანად კინოინდუსტრიაში. „მაკულატურამ“ 10 დღეში 21 მილიონი დოლარი შემოსავალი ნახა, ხოლო მას შემდეგ 250 მილიონ დოლარს მოუყარა თავი, როდესაც მისი ბიუჯეტი სულ რაღაც 8,5 მილიონი დოლარი იყო. ამ ფილმით ტრავოლტამ ჰოლივუდში ვარსკვლავის სახელი დაიგდო, „მირამაქსი“ პირველივე ფილმით კინოინდუსტრიაში წამყვანი კომპანია გახდა, ხოლო თავად ტრავოლტა 90-იანი წლების მარკ ტვენად მონათლეს.

ფილმმა კანის ფესტივალზე „პალმის რტო“ მოიპოვა, ხოლო „ოსკარის“□ დაჯილდოვებაზე 7 ნომინაციაში იყო წარდგენილი — წლის საუკეთესო ფილმი, წლის საუკეთესო რეჟისორი (ტარანტინო), წლის საუკეთესო მსახიონი (ტრავოლტა), მამაკაცის საუკეთესო როლი (სამუელ ელ ჯექსონი), საუკეთესო ქალის როლი (თურმანი), საუკეტესო მონტაჟი (სალი მენკი), წლის საუკეთესო პირველადი სცენარი (ტარანტინო) და ერთადერთი ქანდაკების მფლობელი — საუკეთესო სცენარი (ტარანტინო□ეივერი).

### კარიერის გაგრ ელება

„მაკულატურას“ გადაღების შემდეგ ტარანტინო უფრო სამსახიობი კარიერით დაკავდა და მონაწილეობა მიიღო ფილმებში „იძინე ჩემთან ერთად“, „ის, ვინც შეყვარებულია“, „სასოწარკვეთილი“, „ოთხი ოთახი“, „დისტინი რთავს რადიოს“ და „მზის ჩასვლიდან განთიადამდე“.

თუმცა, მალევე ისევ თავის ძველ საქმიანობას დაუბრუნდა და ჯერ „ჯეკი ბრაუნი“□ გადაიღო, სადაც მთავარ როლს 70-იანი წლების ფერადკანიანი ვარსკვლავი პემ გარიერი თამაშობს და მას პარტნიორობას სამუელ ელ ჯექსონი, რობერტ დე ნირო და რობერტ ფოსტერი უქევენ, ხოლო შემდეგ ფილმი „მოკალი ბილი“, რომელიც ყველაზე პოპულარულ „ბოევიკად“ იქცა.

ამ ფილმის სცენარი სპეციალურად იქნა დაწერილი „მაკულატურას“ ვარსკვლავისთვის, მაგრამ თურმანის ორსულობის გამო გარკვეული დროით გადაიდო. კომპანია „მირამაქსმა“ კი რისკიანი ნაბიჯი გადადგა და ფილმი ორ ნაწილად გაყო, რომელთაგან პირველი ეკრანებზე 2003 წელს გამოჩნდა, ხოლო მეორე ნაწილი — ერთი წლის დაგვიანებით.

იმავე 2004 წელს ტარანტინო კანის ფესტივაზე ჟიურის თავმჯდომარის რანგში მიიწვიეს, სადაც გამარჯვება ფილმმა „ფარანგეიტი 9/11“ მოიპოვა, ხოლო „მოკალი ბილი“ საერთოდ არ ყოფილა ნომინაციაზე, თუმცა ორგანიზატორებმა მისი სამსაათიანი ვერსია სრულად უჩვენეს მაყურებელს.

2005 წელს ეკრანებზე გამოვიდა მკაცრ ტრილერში გადაღებული სადისტური ფილმი □„ჰოსტელი“, რომლის სცენარი და რეჟისურა ელაიუ როტს ეკუთვნის, თუმცა ამერიკაში აღიარებენ, რომ ფილმი ვერ მოიპოვებდა ისეთ წარმატებას, მისი პროდიუსერი ტარანტინო რომ არ ყოფილიყო. აკი ფილმი იწყება კიდეც სიტყვებით — კვენტინ ტარანტინო წარმოგიდგენთ...

ფილმზე მუშაობა სცენარიდან დაწყებული პრემიერით დასრულებული 12 თვეს გაგრძელდა. მისმა შემოსავალმა ამერიკაში 47 მილიონ დოლარს მიაღწია, აქედან 19 მილიონი პირველი უიქ□ენდზე შეაგროვა, ხოლო მთლიანობაში შემოსავალმა 80 მილიონს გადააჭარბა.

### ოლიმპზე

2005 წელს ტარანტინომ თანარეჟისორის როლში გადაიღო ერთი სცენა ფილმიდან □„ცოდვების ქალაქი“. ამ ფილმის რეჟისორმა რობერტ როდრიგესმა ყველაფერი გააკეთა, რომ წარმატებული ფილმი გამოსულიყო. სწორედ ამისთვის დასჭირდა ტარანტინოს დახმარება.

მათი თანამშრომლობა 2007 წელსაც შედგა, როდესაც უკვე ერთად გადაიღეს ფილმი „გრანჰაუსი“.



2010 წელი კი ტარანტინოსთვის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გამოდგა. მისი ფილმი „უსახელო ნაბიჭვრები“ ოსკარის ორ ნომინაციაზე იყო წარდგენი — საუკეთესო რეჟისურა და საუკეთესო ორიგინალური სცენარი. განსაკუთრებით არავინ გაუკვირვებია მეორე ნომინაციას, რადგან ორიგინალურიბო ტარანტინოს სავიზიტო ბარათად იქცა.

რეჟისორული ნამუშევრების შუაში, როგორც ტარანტინოს სჩვევია, მსახიობობით იყო დაკავებული და რამდენი ფილმში ითამაშა კიდეც.

რეჟისურისა და მსახიობობის გარდა, ტარანტინო პროდიუსერობითაც არის დაკავებული და თუკი რამე შანსი გამოუჩნდება, ხელიდან არ უშვებს.

ამის გარდა ტარანტინო წიგნსაც წერს კინოს დამოუკიდებლობაზე სახელწოდებით □„ბამბუკის ფეხები, რკინის კაცები და გასაოცარი ქალები“.

### პირადი ცხოვრება

ტარანტინო თავდაპირველად ვიდეომანიაკის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ნებისმიერი გოგონას, რომელთანაც ის სერიოზული ურთიერთობის დაწყებას აპირებდა, აჩვენებდა ფილმს „რიო ბრავო“. თუ ეს ფილმი გოგონას არ მოეწონებოდა, ტარანტინო თავის რჩეულს უმალვე შორდებოდა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავის პირად ცხოვრებას ტარანტინო არასდროს ამზეურებდა. ის არასდროს ყოფილა დაქორწინებული და არ ჰყავს ბავშვები. რაც შეეხება მეგობარ გოგონებს, მათ სიაში ფიგურირებენ მირა სორვინო, ელისონ ანდერსი, სოფია კოპოლა.

„მაკულატურას“ გადაღებებისას გაჩაღდა რომანი ტარანტინოსა და მსახიობ ტრეისი ტომს შორის. მის სახელს უკავშირებდნენ უმა თურმანსაც, თუმცა, ორივე მათგანის განცხადებით, ისინი მხოლოდ მეგობრები არიან.

ისიც უნდა დავძინოთ, რომ ტარანტინოს თაყვანისმცემელთა არმია უზარმაზარია. არ არსებობს დაწესებულება, სადაც ტარანტინო შევიდეს და მის ირგვლივ ქალბატონების არმია არ გაჩნდეს. აღარაფერს ვამბობთ, მის ქუჩაში გამოჩენზე.

### საინტერესო ფაქტები

ტარანტინო აცხადებს, რომ ძალადობისა და ნარკოტიკების ატანა არ აქვს. ამასთან ჟურნალ „ფლეიბოისთან“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ფილმ „მოკალი ბილი“ გადაღებებისას ჰაშიშსა და ექსტაზებს ეძალებოდა.

საყურადღებოა, რომ სარეჟისორო სტილებიდან ტარანტინომ მხოლოდ ერთი გამოჰყო — რომელიც მას ყველაზე მეტად ესიმპათიურება — ტარკოვსკის სტილი.

ტარანტინო აცხადებს, რომ მისი სარეჟიროსო მუზა უმა თურმანია და ღიად ამბობს, რომ მასთან მთელი სიცოცხლის მანძილზე იმეგობრებს.

კითხვაზე, თუ რატომ იღებს გამუდმებით ფილმებს ძალადობაზე, ტარანტინომ მოკლედ უპასუხა — ძალადობა ძალიან კინემატოგრაფიულია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.
დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.
იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.
გახდით მონასტრის მეგობარი.
გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავლისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

- იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.
- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 2-4 სმ, 25 წლამდე, მცენარეული მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით პლუს ვარჯიშებით, ზრდის ზონების გააქტიურება, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვა, როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. მკურნალობა გარანტიით. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი, ქ-ნი სალომე.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

# ვლადიმერ ბოისა: „ჯგუფიდან გასასვლელად ვიბრძოლებთ“

**საქართველოს ნაკრების კალათბურთელი ვლადიმერ ბოისა ამ ეტაპზე უკლუბოდ არის. ჩვენებურის ლიუბლიანის „ოლიმპიასთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და ახალ წინადადებებს ელის. თუმცა, ჯერ მისი საფიქრალი საქართველოს ნაკრებია, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება.**



ჩვენებურთან ინტერვიუ სლოვენიურ მედიაში გამოქვეყნდა.

***— გასულ სეზონში საკუთარ თამაშს როგორ აფასებთ?***

— კმაყოფილი მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ ტრავმირებული ფეხი მოვიშუშე და თავს კარგად ვგრძნობ. გაცილებით უკეთაც შემეძლო მეთამაშა. ახლა წარსულზე ლაპარაკს აზრი აღარ აქვს და აღარც ვნერვიულობ. წინ ახალი ამოცანებია — საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატისთვის ვემზადები. მთავარია, ჯანმრთელი ვარ და ფეხი აღარ მაწუხებს.

***— "ოლიმპიამ" კონტრაქტის განახლება არ შემოგთავაზათ?***

— ამ მიმართულებით სიახლე არ არის.

***— სეზონის დასრულების შემდეგ მთავარი მწვრთნელი საშა ფილიპოვსკი ან "ოლიმპიას" მენეჯერი იანის რაიგელი არ შეგხმიანებიან?***

— არა. არ დაურეკავთ.

***— "ოლიმპიაში" დარჩენის სურვილი თუ გაქვთ?***

— ეს ერთადერთი გუნდია, სადაც სიამოვნებით ვითამაშებ, თუმცა, დავრჩები თუ არა, კლუბის ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული. ლიუბლიანაში სახლი მაქვს. შინ თამაში ყოველთვის კარგია, მაგრამ თან გარკვეული სირთულეებიც ახლავს. არაერთი კლუბის მაისური მომირგია, მაგრამ თავს მაინც ოლიმპიელად ვთვლი.

***— "ოლიმპიას" ახალ თავკაც ფილიპოვსკისთან ადრე გიმუშავიათ?***

— მის გაწვრთნილ "ოლიმპიაში" ორი წელი გამოვდიოდი. მაშინ მწირი ბიუჯეტის გამო ახალგაზრდული გუნდი გვყავდა, თუმცა არსებული რესურსით მაქსიმუმს მივაღწიეთ.

***— მაშინ გუნდის ლიდერი იყავით.***

— ყველამ მაქსიმუმი გაიღო და წარმატება ასე მოვიდა. გუნდში ჩემ გარდა როდრიგესი და ბაზდარიჩი თამაშობდნენ. ასე რომ, ერთპიროვნული ლიდერი არ ვიყავი.

***— სანაკრებო თემაზე გადავიდეთ. საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. გამოდის, რომ ძველ კონტინენტზე ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის ღირსებას იცავთ.***

— საქმეს დიდი ენთუზიაზმით ვეკიდებით. ნაკრების ევრობასკეტზე მოხვედრა დიდი ბიძგი აღმოჩნდა საქართველოში კალათბურთის განვითარების საქმეში. მას მერე კლუბებში ინვესტიციებიც უხვად გაჩნდა. 2011-12 წლების სეზონში ევროჩელენჯზე ორი ქართული გუნდი ითამაშებს — "არმია" და "სოხუმი". პირველი პირდაპირ ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა, მეორე შეჯიბრებას საკვალიფიკაციოდან დაიწყებს.

***— საქართველოს ნაკრებს მოსამზადებლად როგორი პირობები აქვს?***

— მართალია, სლოვენიას ვერ გავუტოლდებით, მაგრამ მაქსიმუმს ვაკეთებთ. მეოთხე წელია შეკრებას ავსტრიაში გავდივართ. ამ ქვეყანაში ვარჯიშით კალათბურთელებიც კმაყოფილი ვართ და მწვრთნელი იგორ კოკოშკოვიც. ყველასგან იზოლირებულები ვართ და მხოლოდ საკალათბურთო მოედანზე, ვარჯიშსა და დასვენებაზე ვფიქრობთ.

***— ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებს რა მიზნები აქვს?***

— ევრობასკეტის დებიუტანტები ვართ და ჩვენი მთავარი მიზანი ლიტვაში ღირსეულად გამოსვლაა, რაც იოლი ნამდვილად არ იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთ გრანდიოზულ შეჯიბრებაზე თამაშის გამოცდილება არ გვაქვს. თუმცა, ვფიქრობ, ჯგუფში საუკეთესო სამ გუნდს შორის მოხვედრის რეალური შანსი გვაქვს. ისიც ვიცი, რომ ჩემსავით ფიქრობენ ბულგარელები, ბელგიელები და უკრაინელები. რუსეთი და სლოვენია გამოკვეთილი ფავორიტები არიან და ჯგუფიდან გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ. დანარჩენი ოთხი ნაკრები კი მესამე ადგილისთვის იბრძოლებს. შესაბამისად, შანსები მათზე თანაბრად ნაწილდება და 25-25 პროცენტს უტოლდება. თუმცა, საქართველოს ნაკრებს სხვებზე ოდნავ უკეთესი შემადგენლობა ჰყავს და ამიტომაც ვამბობ, სამეულში მოხვედრა შეგვიძლია-მეთქი. საერთოდ კი, ჩვენს ჯგუფში საინტერესო ბრძოლები გაჩაღდება და, დარწმუნებული ვარ, ერთ-ერთი ჩვენგანი სლოვენიას ან რუსეთს აუცილებლად დაამარცხებს.

***— საქართველოს ნაკრებში ყველა ლიდერი ითამაშებს?***

— თუ აქამდე ვინმე გვაკლდა, ამის მიზეზი ტრავმა იყო. მაგალითად, გასულ წელს მუხლის ტრავმის გამო ნაკრებს მე ვერ დავეხმარე; 2009 წელს მანუჩარ მარკოიშვილმა გამოტოვა სანაკრებო თამაშები. მას ახლაც აწუხებს კოჭი, თუმცა ვიმედოვნებ, რომ ტრავმა მანუჩარის ნაყოფიერებაზე დიდ გავლენას არ მოახდენს. ასე რომ, წლეულს ნაკრებში ოპტიმალური შემადგენლობაა შეკრებილი და ყველა გულიანად ვარჯიშობს.

***— გუნდის ლიდერები ვინ არიან?***

— მთავარი ვარსკვლავი ზაზა ფაჩულიაა, რომელიც "ატლანტა ჰოუქსში" თამაშობს. ვიქტორ სანიკიძე და მანუჩარ მარკოიშვილი იტალიის ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდნენ. ნიკა ცქიტიშვილი ესპანეთის პირველობაზე ასპარეზობდა. ახალწვეული მარკიზ ჰეინსიც მაღალი კლასის კალათბურთელია. მე და გიორგი შერმადინმა გასული სეზონი "ოლიმპიაში" გავატარეთ. როგორც გითხარით, ჩემი მთავარი ამოცანა ტრავმირებული ფეხის მოშუშება იყო, ხოლო გიორგი შერმადინმა დაგვანახვა, რომ მაღალ დონეზე შეუძლია თამაში. ახალგაზრდა თორნიკე შენგელიასაც წარმატებული სეზონი ჰქონდა. საქართველოს ნაკრებში არაერთი მაღალი დონის კალათბურთელია და ამიტომაც ვლაპარაკობ ოპტიმისტურად.

***— გულშემატკივრების ინტერესზე რას იტყვი?***

— ევრობასკეტზე დასწრებას ბევრი ქართველი აპირებს. ინტერესი დიდია, მაგრამ არის ერთი პრობლემა — ლიტვა საქართველოდან შორსაა და ყველა ვერ შეძლებს სურვილის ასრულებას. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, სლოვენიაზე მეტი ქომაგი არ გვეყოლება, თუმცა, ტრიბუნების მხარდაჭერა რომ გვექნება, ამაში დარწმუნებული ვარ.

***— სლოვენიის ნაკრებზე რას იტყვი?***

— ამ გუნდის საწვრთნელ პროცესს თვალს 24 ივლისამდე ვადევნებდი. ვნახე ამხანაგური მატჩი პოლონეთთან. 24 ივლისს კი საქართველოს ნაკრებს შევუერთდი და ლიუბლიანას დატოვება მომიწია.

***— სლოვენიელებს კარგად იცნობ. საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს მეტოქეებზე საკმარის ინფორმაციას მიაწვდიდი.***

— სლოვენიის ნაკრების კალათბურთელებს შესანიშნავად ვიცნობ. თუმცა მწვრთნელებს ჩემი დახმარება არ დასჭირვებიათ — ყველა მეტოქეზე ამომწურავ ინფორმაციას ფლობენ. ჩვენთან "მილუოკი ბაქსის" მწვრთნელიც მუშაობს, რომელსაც კარგად შეუძლია "სადაზვერვო" ინფორმაციის მოპოვება.

***— სლოვენიის ნაკრები ოპტიმალური შემადგენლობით ვერ ითამაშებს. ზოგიერთი კალათბურთელი ჩამოსვლაზე უარს აცხადებს. რას ელი ამ გუნდისგან?***

— სლოვენიას არაერთი მაღალი დონის მოთამაშე აკლია. ზოგს ტრავმა აქვს, ზოგი საკუთარი სურვილით არ ჩავიდა. ასე რომ, ევრობასკეტზე შეიძლებოდა უკეთესი სლოვენიაც გვენახა. გუნდში საუკეთესო შემადგენლობა რომ იყოს შეკრებილი, პროგნოზის გაკეთებაც გამიადვილდებოდა. ახლა კი, არ ვიცი, რას უნდა ველოდეთ სლოვენიისგან. ამის მიუხედავად, სლოვენიასა და საქართველოს მაინც ვერ შევადარებთ. მათ განსხვავებული მიზნები აქვთ: სლოვენიელები მაღალი ადგილებისთვის აპირებენ ბრძოლას, მაშინ როცა ქართველთა მთავარი ამოცანა მეორე ეტაპზე გასვლაა. თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, სლოვენიელებს საპრიზო ადგილებისთვისაც შეეძლებათ ბრძოლა.

# საქართველოს ჩემპიონატის ახალი სეზონი, ახალი მოლოდინი

6 აგვისტოს მცხეთის "არმაზის" განახლებულ-გაკოხტავებულ სტადიონზე "ვიტ ჯორჯიასა" და "გორის "დილას" მატჩით საქართველოს XXIII ჩემპიონატი დაიწყება!

წინ ხანგრძლივი მარათონია და გვინდა შემოგთავაზოთ საქართველოს 2011-12 წლების XXIII ჩემპიონატის კალენდარი. რა თქმა უნდა, მცირე განმარტებებით.

ფეხბურთის ქომაგებმა რომ იცოდნენ, "ვიტ ჯორჯია" საშინაო მატჩებს მცხეთაში ჩაატარებს, ხოლო "გაგრა" თბილისში, "მერანის" სტადიონზე ითამაშებს. რაც შეეხება ცხინვალის "სპარტაკს", გუნდმა საშინაო შეხვედრები თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უნდა ჩაატაროს, თუმცა, ვიდრე ვაკეში მდებარე სტადიონზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, "სპარტაკი" მეტოქეებს ეროვნულ სტადიონზე უმასპინძლებს.

დაახლოებით ანალოგიური სიტუაციაა "კოლხეთის" შემთხვევაშიც — ფოთის "ფაზისის" სტადიონზე მოედნის საფარი იცვლება და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფოთელები საშინაო მატჩებს ზუგდიდში ჩაატარებენ.

აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ ჩემპიონატის რეგლამენტის მიხედვით 15 აგვისტომდე თამაშები 17 საათსა და 30 წუთზე დაიწყება, 16-დან 31 აგვისტომდე — 17 საათზე; სექტემბერში-16 საათზე, ოქტომბერში-15 საათზე, ნოემბერ-დეკემბერსა და თებერვალში-14 საათზე, მარტში-15 საათზე, აპრილში-16 საათზე, მაისში-17 საათზე.

სასიამოვნო სიახლეა ის ფაქტი, რომ ყოველი ტურის ერთი მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ეთერით გადაიცემა. სავარაუდოდ, ეს მატჩები 18 საათზე დაიწყება, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მეტოქეთა შეთანხმებით დრო შეიცვალოს. ასე მაგალითად, I ტურში, 7 აგვისტოს, "ტორპედოსა" და "ზესტაფონის" მატჩი 21 საათზე დაიწყება.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

## საქართველოს ჩემპიონატი. კალენდარი

### I წრე

**I ტური**

**6 აგვისტო, შაბათი**
ვიტ ჯორჯია-დილა

**7 აგვისტო, კვირა**
მეტალურგი-კოლხეთი
გაგრა-მერანი
სპარტაკი-დინამო თბილისი
ტორპედო-ზესტაფონი
ბაია-სიონი

**II ტური**

**14 აგვისტო, კვირა**
სიონი-გაგრა
დილა-ტორპედო
დინამო თბილისი-ვიტ ჯორჯია
მერანი-სპარტაკი
კოლხეთი-ზესტაფონი
მეტალურგი-ბაია

**III ტური**

**21 აგვისტო, კვირა**
გაგრა-მეტალურგი
სპარტაკი-სიონი
ვიტ ჯორჯია-მერანი
ტორპედო-დინამო თბილისი
ზესტაფონი-დილა
ბაია-კოლხეთი

**IV ტური**

**27 აგვისტო, შაბათი**
სიონი-ვიტ ჯორჯია
მეტალურგი-სპარტაკი
ბაია-გაგრა
კოლხეთი-დილა
მერანი-ტორპედო
28 აგვიტო, კვირა
დინამო-ზესტაფონი

**V ტური**

**19 სექტემბერი, შაბათი**
გაგრა-კოლხეთი
დილა-დინამო თბილისი
ტორპედო-სიონი
ვიტ ჯორჯია-მეტალურგი
ზესტაფონი-მერანი

**11 სექტემბერი, კვირა**
სპარტაკი-ბაია

**VI ტური**

**18 სექტემბერი, შაბათი**
მეტალურგი-ტორპედო

**17 სექტემბერი, კვირა**
ბაია-ვიტ ჯორჯია
გაგრა-სპარტაკი
კოლხეთი-დინამო თბილისი
სიონი-ზესტაფონი
მერანი-დილა

**VII ტური**

**25 სექტემბერი, კვირა**
ვიტ ჯორჯია-გაგრა
ტორპედო-ბაია
სპარტაკი-კოლხეთი
ზესტაფონი-მეტალურგი
დილა-სიონი
დინამო თბილისი-მერანი

**VIII ტური**

**2 ოქტომბერი, კვირა**
კოლხეთი-მერანი
გაგრა-ტორპედო
მეტალურგი-დილა
სპარტაკი-ვიტ ჯორჯია
სიონი-დინამო თბილისი
ბაია-ზესტაფონი

**IX ტური**

**15 ოქტომბერი, შაბათი**
ვიტ ჯორჯია-კოლხეთი
ზესტაფონი-გაგრა
მერანი-სიონი
დილა-ბაია

**16 ოქტომბერი, კვირა**
დინამო თბილისი-მეტალურგი
ტორპედო-სპარტაკი

**X ტური**

**22 ოქტომბერი, შაბათი**
კოლხეთი-სიონი
მეტალურგი-მერანი
ბაია-დინამო თბილისი
გაგრა-დილა
სპარტაკი-ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია-ტორპედო

**XI ტური**

**26 ოქტომბერი, ოთხშაბათი**
ტორპედო-კოლხეთი
ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
დილა-სპარტაკი
დინამო თბილისი-გაგრა
მერანი-ბაია
სიონი-მეტალურგი

### II წრე

**XII ტური**

**39 ოქტომბერი, კვირა**
კოლხეთი-მეტალურგი
სიონი-ბაია
მერანი-გაგრა
დინამო თბილისი-სპარტაკი
დილა-ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი-ტორპედო

**XIII ტური**

**6 ნოემბერი, კვირა**
გაგრა-სიონი
ბაია-მეტალურგი
სპარტაკი-მერანი
ტორპედო-დილა
ვიტ ჯორჯია-დინამო თბილისი
ზესტაფონი-კოლხეთი

**XIV ტური**

**29 ნოემბერი, კვირა**
კოლხეთი-ბაია
მეტალურგი-გაგრა
სიონი-სპარტაკი
მერანი-ვიტ ჯორჯია
დინამო თბილისი-ტორპედო
დილა-ზესტაფონი

**XV ტური**

**27 ნოემბერი, კვირა**
დილა-კოლხეთი
ზესტაფონი-დინამო თბილისი
ტორპედო-მერანი
ვიტ ჯორჯია-სიონი
სპარტაკი-მეტალურგი
გაგრა-ბაია

**XVI ტური**

**4 დეკემბერი, კვირა**
კოლხეთი-გაგრა
ბაია-სპარტაკი
მეტალურგი-ვიტ ჯორჯია
სიონი-ტორპედო
მერანი-ზესტაფონი
დინამო თბილისი-დილა

**XVII ტური**

**11 დეკემბერი, კვირა**
დინამო თბილისი-კოლხეთი
დილა-მერანი
ზესტაფონი-სიონი
ტორპედო-მეტალურგი
ვიტ ჯორჯია-ბაია
სპარტაკი-გაგრა

**XVIII ტური**

**17 დეკემბერი, კვირა**
კოლხეთი-სპარტაკი
გაგრა-ვიტ ჯორჯია
ბაია-ტორპედო
მეტალურგი-ზესტაფონი
სიონი-დილა
მერანი-დინამო თბილისი

**2012 წელი**

**XIX ტური**

**14 თებერვალი, სამშაბათი**
ტორპედო-გაგრა
ვიტ ჯორჯია-სპარტაკი

**15 თებერვალი, ოთხშაბათი**
დილა-მეტალურგი
ზესტაფონი-ბაია
მერანი-კოლხეთი
დინამო თბილისი-სიონი

**XX ტური**

**17 თებერვალი, შაბათი**
გაგრა-ზესტაფონი

**18 თებერვალი, კვირა**
ბაია-დილა
მეტალურგი-დინამო თბილისი
სიონი-მერანი
სპარტაკი-ტორპედო
კოლხეთი-ვიტ ჯორჯია

**XXI ტური**

**26 თებერვალი, კვირა**
სიონი-კოლხეთი
მერანი-მეტალურგი
დინამო თბილისი-ბაია
დილა-გაგრა
ზესტაფონი-სპარტაკი
ტორპედო-ვიტ ჯორჯია

**XXII ტური**

**4 მარტი, კვირა**
კოლხეთი-ტორპედო
ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი
სპარტაკი-დილა
გაგრა-დინამო თბილისი
ბაია-მერანი
მეტალურგი-სიონი

## ორშაბათი 8 აგვისტო

07.00 დოკ. ფილმი "სამყარო" 08.30 ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" 09.00 სათავგად. ფილმი "პინოქიო" 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 14.00 დოკ. ფილმი "რეგბიში მსოფლიოს ჩემპიონატის კლასიკური მატჩები" ქართ. ფილმი "კარიერი" 15.00 სერიალი "დღეები ლეონესთან ერთად" 17.00 ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" 18.00 სილამაზის ფორმულა 18.30 მედ-ინფო 19.05 დოკ. ფ."დონა კარანი" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერიალი "დღეები ლეონესთან ერთად" 22.00 აუდიტორია 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 00.00 ღამის საუბრები 01.00 მხ. ფილმი "უფსკრულთან შეჯახება" (12) 03.10 მოამბე 03.30 ცხოვრება მშვენიერია

08.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 09.00 საბ. ფილმი "შრეკი 3" 10.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.00 სპექტაკლი "აკომპანიატორი" 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 17.00 მეხსიერება 17.45 ბრიფინგის დროით 19.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 20.00 მხ. ფ. "პატარა ელფი" 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 23.00 ბრიფინგის დროით 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი "სეიფების გამტანი"

08.00 კურიერი 08.20 ან. ფილმი "ტრანსფორმერები" 08.40 ან. ფ. "ეშმაკური ლიგა" 09.00 ექსტრემალური შეჯიბრებები 10.00 სერიალი "ცოდვილი" 11.00 სერიალი "მიმღყვდელი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სერიალი "მიმღყვდელი" 13.30 ქართ. ფილმი 15.40 იღბლიანი ბორბალი (გან.) 17.00 სერიალი "ავრორა" 18.45 "ამერიკის სასაცილო ვიდეოები" 19.45 სერიალი "ახალგაზრდა ქვრივი" 22.00 მელომანია 23.30 მხ. ფილმი "ყველაფერი კარგად იქნება" 01.00 ექსტრემალური შეჯიბრებები 02.00 პატრული 02.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.05 ან. ფილმი "ელ ტიგრეს თავგადასავალი" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.10, 05.00 ქრონიკა 09.15 სერიალი "გმირები – 2" 10.00 სერიალი "ლამაზი სიცოცხლე" 11.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 12.50 სერ. "ფული და სექსი" 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) 16.00 სერიალი "მეტოქეები" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.40 სერიალი "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერიალი "დამალული სიმართლე" 22.00 იუმორინა 23.10 მუს. ლიგა (გან.) 00.30 მხ. ფილმი "კრისტი" (სუბტ.) 02.25 მხ. ფილმი "სისხლიანი მოწმე" (სუბტ.) 04.15 მხ. ფილმი "კერკეტი კაკალი" (სუბტ.)

08.00 ანიმაცია "ტომი ჯერი დიდ კინოში" 09.45, 11.00, 12.20, 14.30, 19.00, 23.30, 0.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 10.00, 13.00, 22.30, 04.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 12.00 ტვ-მარკეტი 15.15 ტვ-მარკეტი 15.30 პულსი 16.00 გადაცემა "გუნდი" 17.00 ტვ-მარკეტი 17.10 მხ. ფილმი 05.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.40 სერიალი "სოფია, ცოტა მადროვე" 10.30 დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერიალი "სინდისის საკითხი" 12.50, 19.35 სერიალი "მეგობრები" 15.15 სერიალი "განებივრებული ლამაზმანი" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" 23.00 სახლი ბათუმში 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.10 მხ. ფილმი "რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი პაპა" 13.30 კონცერტი – დები გოგოჭურების ფოლკლორული ანსამბლი 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მუს. ფილმი "დაისი" 17.05 დოკ.ფ."ველური ბუნება" 17.30 საუბრები შ. ნადირაშვილთან 18.20 "დიდ ხარ შენ უფალო" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი "დედუნა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 საქართველოს ისტორია 22.20 დოკ. ფილმი "ფიქრები საქართველოზე" 22.40 დოკ. ფილმი "პატრიარქი გორისა და ცხინვალის ეპარქიებში" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "ცარიელი სახლი" 00.30 განთიადის სტუმარი 00.50 პერსპექტივა

## სამშაბათი 9 აგვისტო

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 დოკ. ფ. "დონა კარანი" 08.30 ან.ფ."ცეროდენა მაშველები" 09.00 სათავგად. ფილმი "პინოქიო" 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 19.00, 20.00 მოამბე 12.30 საფეხბურთო მიმოხილვა 13.30 მეხსიერება 14.00 დოკ. ფილმი "რეგბიში მსოფლიოს ჩემპიონატის კლასიკური მატჩები" 15.00 სერ. "დღეები ლეონესთან ერთად" 17.00 ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" 18.00 ჩვენი ფერმა 18.30 დამზადებულია საქართველოში 19.05 დოკ. ფილმი "უძველესი აღმოჩენები" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "დღეები ლეონესთან ერთად" 22.00, 02.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 მხ. ფილმი "ის, რასაც სიყვარული ჰქვია" (გ) (სუბტ.) 01.00 მოამბე 01.20 აუდიტორია 02.20 ქართული დოკუმენტალისტიკა 03.20 მხ. ფილმი "უფსკრულთან შეჯახება" (12) 05.30 დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები"

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 11.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 14.00 საუკუნის პორტრეტები – თ. ობულაძე 17.00 მეხსიერება – ლ. ისაკაძე 19.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 20.00 მხ. ფილმი "გრეისის არჩევანი" 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 01.00 მხ. ფილმი "უფსკრულთან შეჯახება"

08.00 კურიერი 08.30 ან. ფილმი "ტრანსფორმერები" 08.40 ან. ფილმი "ეშმაკური ლიგა" 09.00 ექსტრემალური შეჯიბრებები 10.00 სერ. "ცოდვილი" 11.00 სერ. "მიმღყვდელი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სერ. "მაშველები" 13.30 ქართ. ფილმი "ჭრიჭინა" 15.40 ვანოს შოუ (გან.) 17.00 სერ. "ავრორა" 18.45 "ამერიკის სასაცილო ვიდეოები" 19.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 თქვენი შოუ 23.00 მხ. ფ. "გარირება-2" 01.00 ექსტრემალური შეჯიბრებები 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.10, 05.00 ქრონიკა 09.15 სერ. "გმირები – 2" 10.00 სერ."ლამაზი სიცოცხლე" 11.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 12.50 სერ. "ფული და სექსი" 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 ღამის შოუ (გან.) 16.00 სერ. "მეტოქეები" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 ნანუკას შოუ 23.00 ფეის-კონტროლი 01.00 მხ. ფილმი "ლომის გული" (სუბტ.) 03.15 მხ. ფილმი "საქორწინო წვეულება" (სუბტ.) 04.50 მხ. ფილმი "24 საათი ტყვეობაში" (სუბტ.)

08.00 ანიმაცია "ასტერიქსმა ამერიკა დაიპყრო" 09.30 ტვ-მარკეტი 09.45, 11.00, 12.20, 14.30, 19.00, 23.30, 0.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 10.00, 13.00, 22.30, 04.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 15.30 იმედის ფსონი (პირდ.) 16.10 სერ."პოლიციელთა ამბები" 17.10 მხ. ფილმი 05.00, 07.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00, 23.40 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.00 დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" 10.40, 16.00 სახლი ბათუმში 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "სინდისის საკითხი" 12.50, 19.35 სერ. "მეგობრები" 15.15 სერ. "განებივრებული ლამაზმანი" 16.00 სახლი ბათუმში 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.25 დოკ. ფილმი "ფიქრები საქართველოზე" 10.45 მოკ. ფილმი "ცაბუნია" 11.05 დოკ.ფ."ცარიელი სახლი" 11.35 დოკ. ფილმი "პატრიარქი გორისა და ცხინვალის ეპარქიებში" 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "დედუნა" 13.20 კონცერტი – ანს. "სახიობა" 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.20 მხ. ფ. "ვალსი პეჩორაზე" 17.25 დოკ. ფილმი "ათონის ქართველთა სავანე" 16.45 პატრიარქის ალსაყდრების დღისადმი მიძღვნილი კონცერტი 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.15 "დიდ ხარ შენ უფალო" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი "ივანე კოტორაშვილის ამბავი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 სალვთისმეტყველო საუბრები 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დროის ჩანაწერები 00.30 განთიადის სტუმარი 01.30 კონცერტი – "მთიები"

## ოთხშაბათი 10 აგვისტო

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 დოკ. ფილმი "უძველესი აღმოჩენები" 08.30 ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" 09.00 სათავგად. ფილმი "მერლინის შეგირდი" 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 19.00, 20.00 მოამბე 12.30 აუდიტორია 13.30 მეხსიერება 14.00 დოკ. ფილმი "რეგბიში მსოფლიოს ჩემპიონატის კლასიკური მატჩები" 15.00 სერ. "დღეები ლეონესთან ერთად" 17.00 ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" 18.00 ჩვენი სამართალი 18.30 სილამაზის ფორმულა 19.05 დოკ. ფილმი "რომი, იმპერიის აღმავლობა და დაცემა" 19.40 "პეპეს ზღაპრები" 21.00 სერ. "დღეები ლეონესთან ერთად" 22.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 22.25 ფეხბურთი: ამხანაგური მატჩი: "პოლონეთი – საქართველო" (პოლონეთიდან) 00.20 მხ. ფილმი "გარიყული" 02.40 მოამბე 03.00 ევროპული არჩევანი 04.30 მხ. ფ. "ის, რასაც სიყვარული ჰქვია" (სუბტ.)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 14.00 საუკუნის პორტრეტები – ვ. ანჯაფარიძე 17.00 მეხსიერება – დინამო – ჰამბურგი 19.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 20.00 მხ. ფილმი "პარპარდელი უსახლკარო" 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 01.00 მხ. ფილმი "ის, რასაც სიყვარული ჰქვია"

08.00 კურიერი 08.30 ან. ფილმი "ტრანსფორმერები" 08.40 ან. ფილმი "ეშმაკური ლიგა" 09.00 ექსტრემალური შეჯიბრებები 10.00 სერ. "ცოდვილი" 11.00 სერ. "მიმღყვდელი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სერ. "მაშველები" 13.30 ქართ. ფილმი "რაც გინახავს ველარ ნახავ" 15.40 კომედი შოუ 17.00 სერ. "ავრორა" 18.45 "ამერიკის სასაცილო ვიდეოები" 19.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 რა? სად? როდის? 00.00 ექსტრემალური შეჯიბრებები 01.00 პატრული 01.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.10, 05.00 ქრონიკა 09.15 სერ. "გმირები – 2" 10.00 სერ. "ლამაზი სიცოცხლე" 11.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 12.50 სერ. "ფული და სექსი" 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 მუს. ლიგა (გან.) 16.00 სერ. "მეტოქეები" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 იუმორინა 23.00 ბათუმი ლაივი 00.00 მხ. ფილმი "შავი ორქიდეა" (სუბტ.) 02.15 მხ. ფილმი "საბედისწერო მოგზაურობა" (სუბტ.) 03.50 მხ. ფილმი "ნედ კელი" (სუბტ.)

08.00 ანიმაცია "ყველა ძაღლი სამოთხეში მიდის" 09.45, 11.00, 12.20, 14.30, 19.00, 23.30, 0.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 10.00, 13.00, 22.30, 04.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 15.30 ფარული კამერა 16.00 სერ. "პოლიციელთა ამბები" 17.10 მხ. ფილმი 05.00, 07.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00, 23.40 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.00 დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "სინდისის საკითხი" 12.50, 19.35 სერ. "მეგობრები" 15.15 სერ. "განებივრებული ლამაზმანი" 16.00 დოკ. ფილმი "ისინი" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" 23.00 სცენა 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

"დიდ ხარ შენ უფალო" 09.05 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.20 სალვთისმეტყველო საუბრები 10.55 მგზავრები წუთისოფლისა 11.20 დროის ჩანაწერები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "ივანე კოტორაშვილის ამბავი" 13.30 კონცერტი – ვაჟა აზარაშვილი 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მხ. ფილმი "მე მოვედი" 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.55 კვირიაკე 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.15 "დიდ ხარ შენ უფალო" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.20 მხ. ფილმი "მევლუდი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 გზა, რომლითაც ვიარე 22.20 ქართული ალბომი 22.40 მოკლ. ფ. "ბზიანეთი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პერსპექტივა 00.30 განთიადის კოლაჟი 01.30 პერსპექტივა (გაგრძ.)

## ხუთშაბათი 11 აგვისტო

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 დოკ. ფილმი "რომი, იმპერიის აღმავლობა და დაცემა" 08.30 ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" 09.00 სათავგად. ფილმი "მერლინის შეგირდი" 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ევროპული არჩევანი 14.00 ცხოვრება მშვენიერია 15.00 სერ. "დღეები ლეონესთან ერთად" 17.00 ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" 18.00 მედ-ინფო 18.30 ჩვენი ფერმა 19.05 დოკ. ფილმი "300 სპარტელის უკანასკნელი შერკინება" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "დღეები ლეონესთან ერთად" 22.00 სი ბემოლი 23.00 თოქ-შოუ "არენა" 00.00 ავტოპილოტი 01.00 მხ. ფილმი "საზღვრების მიღმა" (12) 03.15 მოამბე 03.35 მხ. ფილმი "გარიყული" 06.00 დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები" - ნეაპოლი.

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 14.00 საუკუნის პორტრეტები – გ. ტაბიძე 17.00 მეხსიერება – წკიპურტები 19.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 20.00 მხ. ფილმი "შიმშილი" 01.00 მხ. ფილმი "გარიყული"

08.00 კურიერი 08.20 ან. ფილმი "ტრანსფორმერები" 08.40 ან. ფილმი "ეშმაკური ლიგა" 09.00 ექსტრემალური შეჯიბრებები 10.00 სერ. "ცოდვილი" 11.00 სერ. "მიმღყვდელი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სერ. "მაშველები" 13.30 ქართ. ფილმი "მე ვხედავ მზეს" 15.40 ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) 17.00 სერ. "ავრორა" 18.45 "ამერიკის სასაცილო ვიდეოები" 19.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 22.00 პროფილი (გან.) 23.00 ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) 00.30 ექსტრემალური შეჯიბრებები 01.30 პატრული 02.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.50, 05.00 ქრონიკა 09.15 სერ. "გმირები – 2" 10.00 სერ. "ლამაზი სიცოცხლე" 11.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 12.50 სერ. "ფული და სექსი" 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 ბოიარის ციხესიმაგრე 15.00 წუთისოფელში 16.00 სერ. "მეტოქეები" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 სერ. "შუა ქალაქში 2" 00.00 მხ. ფილმი "საიდუმლო სია" (სუბტ.) 02.15 მხ. ფილმი "უცხოები" (სუბტ.) 03.40 მხ. ფილმი "დამცველი" (სუბტ.) 05.25 მხ. ფილმი "ამერიკელი ცოლი" (სუბტ.)

08.00 ანიმაცია "გამყინვარების ხანა-დიდი გამყინვარება" 09.45, 11.00, 12.20, 14.30, 19.00, 23.30, 0.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 10.00, 13.00, 22.30, 04.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 15.30 პულსი 16.00 სერ. "პოლიციელთა ამბები" 17.10, 05.00, 07.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00, 23.00 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.30 დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" 10.40 სცენა 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "სინდისის საკითხი" 12.50, 19.35 სერ. "მეგობრები" 15.00 სერ. "განებივრებული ლამაზმანი" 16.00 სცენა 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" 21.00 სერ. "წყნარი ოკეანის მარგალიტი" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

"დიდ ხარ შენ უფალო" 09.05 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30 პერსპექტივა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "მევლუდი" 13.30 კონცერტი – ახალგაზრდა პიანისტთა კონკურსი 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მხ. ფილმი "არსენას ლექსი" 17.15 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.40 დოკ. ფილმი "ვივა, აკადემია" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.15 "დიდ ხარ შენ უფალო" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი "ერთი ცის ქვეშ" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 მიწათმოქმედი 21.40 გამოყენებითი ხელოვნება 22.20 დოკ. ფილმი "წმინდა მოწამენი ქართლისანი" 22.40 დოკ. ფილმი "შუშანიკის წამება" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "წელიწადის დრონი" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 კონცერტი – "ადილა"

## პარასკევი 12 აგვისტო

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 დოკ. ფილმი "300 სპარტელის უკანასკნელი შერკინება" 08.30 ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" 09.00 მხ. ფილმი "შიდა პატიმრობა" 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00, 02.45 მოამბე 12.30 თოქ-შოუ "არენა" 13.30 ავტოპილოტი 14.30 ვაშინგტონი დღეს 15.00 სერ. "დღეები ლეონესთან ერთად" 17.00 ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" 18.00 დამზადებულია საქართველოში 18.30 ჩვენი სამართალი 19.05 დოკ. ფილმი "სამყარო" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "დღეები ლეონესთან ერთად" 22.00 დოკ. ფილმი "რაგბიში მსოფლიო ჩემპიონატის კლასიკური მატჩები" 23.00 წითელი ზონა 00.00 მხ. ფილმი წარმატების ტკბილი სურნელი"(სუბტ.) 01.50 მოამბე 02.10 მხ. ფილმი "საზღვრებს მიღმა" (12) (სუბტ.) 04.20 მხ. ფილმი "საბედისწერო ნდობა" (15)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი იმპერიის მშენებლობა" 14.00 საუკუნის პორტრეტები – კ. ცინცაძე 17.00 მეხსიერება – ა. წერეთელი 19.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 20.00 მხ. ფილმი "მხსნელი" 01.00 მხ. ფილმი "საზღვრებს მიღმა"

08.00 კურიერი 08.20 ან. ფილმი "ტრანსფორმერები" 08.40 ან. ფილმი "ეშმაკური ლიგა" 09.00 ექსტრემალური შეჯიბრებები 10.00 სერ. "ცოდვილი" 11.00 სერ. "მიმღყვდელი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სერ. "მაშველები" 13.30 ქართ. ფილმი 15.40 პროფილი (გან.) 18.45 "ამერიკის სასაცილო ვიდეოები" 19.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ (გან.) 23.00 თქვენი შოუ (გან.) 00.00 მელომანია (გან.) 01.00 ექსტრემალური შეჯიბრებები 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.45, 05.00 ქრონიკა 09.15 სერ. "გმირები – 2" 10.00 სერ. "ლამაზი სიცოცხლე" 11.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 12.50 სერ. "ფული და სექსი" 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 უცნობი საქართველო 15.10 ბოიარის ციხესიმაგრე 16.00 სერ. "მეტოქეები" 17.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 ქართ. ფილმი "ერთხელ შუა ქალაქში" 23.50 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 01.15 Play Boy იმედზე 02.10 მხ. ფილმი "ბონი და კლაიდი" (სუბტ.) 04.10 მხ. ფილმი "რეალური სიყვარული" (სუბტ.)

08.00 ანიმაცია "დინოზავრი" 9.30, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 09.45, 11.00, 12.20, 14.30, 19.00, 23.30, 0.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 10.00, 13.00, 22.30, 04.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური 15.30 ფარული კამერა 16.00 გადაცემა "გუნდი" 17.10, 05.00, 07.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.30 დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "სინდისის საკითხი" 13.00 სამედიცინო პროექტი 13.30, 19.35 სერ. "მეგობრები" 15.15 სერ. "განებივრებული ლამაზმანი" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" 21.00 სერ. "წყნარი ოკეანის მარგალიტი" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

"დიდ ხარ შენ უფალო" 09.05 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.15 სიახლენი 10.30 დოკ. ფილმი "წელიწადის დრონი" 11.15 დოკ. ფილმი "შუშანიკის წამება" 11.35 დოკ. ფილმი "წმინდა მოწამენი ქართლისანი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "ერთი ცის ქვეშ" 13.20 კონცერტი – ანს. "შავნაბადი" 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მხ. ფილმი "მოკვეთილა" 17.30 მოკ. ფილმი "ზღარბი" 17.55 შვიდგზის ლოცვა 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.20 "დიდ ხარ შენ უფალო" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 მხ. ფილმი "სინემა" 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.20 ჩვენი ფონდი 22.35 დოკ. ფილმი "ცოტნე დადიანი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჟურნალისტის დღიური 00.30 განთიადის კოლაჟი 01.25 კვირიაკე

## შაბათი 13 აგვისტო

06.00 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" - ათენი 07.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 10.00 ან. ფილმი "უოლესი და გრომიტი" 11.30 "ბავშვობანა" 12.00, 16.00, 20.00, 03.30 მოამბე 12.30 მხ. ფილმი "პატარა ინდიელის სწავლება" 14.40 სპექტაკლი "პატარა უფლისწული" 16.15 კონცერტი – ნ. ერგემლიძე 18.30 ქართ. ფილმი "ზოგი ჭირი მარგებელია" 20.00 მოამბე 21.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 22.00 დოკ. ფილმი "რაგბიში მსოფლიო ჩემპიონატის კლასიკური მატჩები" 23.00 ელექტრონავტები 00.00 მხ. ფილმი "ოფიცერი და ჯენტლმენი" (12) (სუბტ.) 02.10 მოამბე 02.30 წითელი ზონა 03.30 მხ. ფილმი "წარმატების ტკბილი სურნელი" (სუბტ.) 05.10 მხ. ფილმი "აქ მოხუცების ადგილი არ არის" (სუბტ.) 06.10 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" - ათენი

08.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 ბრიფინგის დროით 17.00 ბრიფინგის დროით 17.30 ჩვენი სამართალი 18.00 სპექტაკლი "გვირილა" 19.30 საუკუნის პორტრეტები – მ. მამარდაშვილი 20.00 მხ. ფ. "პატარა ელფი" 21.45 კონცერტი: პ. ბურჭულაძე და თ. ივერი 23.00 წითელი ზონა 00.00 მხ. ფილმი "წარმატების ტკბილი სურნელი"

08.00 კურიერი 08.30 სერ."ლეგენდა მაძიებელზე" 10.00 გუნდი 11.00 ეკი-ვოკი (გან.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 სასაცილო ვიდეოები 13.00 ქართ. ფილმი 15.30 კონცერთი "კომედი შოუ" 2007 (გან.) 17.30 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 18.45 "ამერიკის სასაცილო ვიდეოები" 19.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 21.00 პ. ს. კურიერი 22.00 სერ. "სამხრეთის დედოფალი" 23.00 კონცერთი "კომედი შოუ" 2010 01.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 03.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "პუმბა და ტიმონი" 08.30 ან. ფილმი "ჯადოსნური მოგზაურობა" 09.00 ქრონიკა 10.30 თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან. ფილმი "ვინი ჰუპის თავგადასავალი" 11.45 სერ. "რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი" 12.35 სერ."სიყვარულის ზღვა" 14.30 რემონტი 15.00 ბათუმი ლაივი 16.00 სერ. "მეტოქეები" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 20.30 სპეც. რეპორტაჟი 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 იუმორინა 00.00 ყოფილი ცოლების კლუბი 01.15 Play Boy იმედზე 02.10 მხ.ფ."ეროტური" (სუბტ.) 04.00 სერ. "გამომძიებელი ქალები" 04.40 მხ. ფილმი "სახიფათო დავალება" (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი "დონ ხუან დე მარკო" 9.45, 10.00, 13.55, 17.20 ტვ-მარკეტი 10.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 11.00 ფარული კამერა 11.30 პულსი 12.00 სერ."20000 ლიე წყალქვეშ" 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.10 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 17.30, 19.30, 23.00, 01.30 მხ. ფილმი 21.30 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ.

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00, 23.00 სერ. "სოფია ცოტა მადროვე" 09.30 ესტაფეტა 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30, 21.00 სერ. "წყნარი ოკეანის მარგალიტი" 13.15 სერ. "მეგობრები" 15.00 სერ. "განებივრებული ლამაზმანი" 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მუსიკა 18.00 დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" 19.00 ქარფ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 ჩვე-

ნი ფონდი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.00, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.05, 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 10.25 ჟურნალისტის დღიური 10.50 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.15 მხ. ფილმი "სინემა" 13.20 პერსპექტივა 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.20 სპექტაკლი "ბამბაზის სამოთხე" 17.10 დოკ. ფილმი "ლელოს შემობრუნება" 18.05 საქ. არქივიდან 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 ქართული ალბომი 19.35 მხ. ფილმი "ამაღლება" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 კარაბადინი 22.20 თბილისის ტაძრები 22.30 დოკ. ფილმი "შარავანდები" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "ახალმოწამენი" 00.35 განთიადის კოლაჟი 01.30 დოკ. ფილმი "სარფი მოლენა"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

## კვირა 14 აგვისტო

07.00 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" – ტოკიო7 08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 10.00 საბ. ფილმი "ეგვიპტის უფლისწული" 12.00, 16.00, 20.00, 03.25 მოამბე 12.15 მხ. ფ. "როკის სკოლა" 14.00 ჩვენი ფერმა 14.30 სი ბემოლი 15.30 მოგზაურთა დღიური 16.15 ჩვენი ეზო 17.15 ვაშინგტონი დღეს 17.45 ფეხბურთი. "დინამო" (თბილისი) – "ვიტჯორჯია" 20.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 დოკ. ფილმი "რაგბიში მსოფლიო ჩემპიონატის კლასიკური მატჩები" 23.00 "კავკასუს ლაივი" 00.00 მხ. ფილმი "აქ მოხუცების ადგილი არ არის" (სუბტ.) 02.10 მხ. ფილმი "ოფიცერი და ჯენტლმენი" (12) (სუბტ.) 04.15 მოამბე 04.35 ქართული დოკუმენტალისტიკა – ანტონიო რუსო. 05.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი – ბერიას დღიური.

08.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 15.00 სპექტაკლი "შეტყმულება" 17.00 ისტორია 18.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 19.00 საუკუნის პორტრეტები – ლ. ასათიანი 20.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 21.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 21.30 კონცერტი: კ. კავსაძის საღამო 23.00 მხ. ფილმი "აქ მოხუცების ადგილი არ არის"

08.00 "კურიერი პ.ს." დაიჯესტი 08.30 სერ."ლეგენდა მაძიებელზე" 11.00 გუნდი 11.30 მულტფილმი "მხიარული ფერმა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფილმი 15.20 სერ. "სიამაყე" 17.25 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 19.00 ეკი-ვოკი 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს 21.00 კომედი შოუ 22.00 სერ. "სამხრეთის დედოფალი" 23.00 ბრავო 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 02.20 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "პუმბა და ტიმონი" 08.30 მხ. ფილმი "80 დღე დედამიწის გარშემო" 09.00 ქრონიკა 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.45 ქრონიკა 11.15 ან. ფილმი "ვინი ჰუპის თავგადასავალი" 11.45 სერ. "რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი" 12.35 სერ."უკანასკნელი მოწმე" 14.30 სერ. "პომპეი" 15.00 საბ. გადაცემა "თავდაყირა" 17.40 "დათა თუთაშხია" 19.05 იუმორინა 20.15 იმედის გმირები 20.30 მუსიკალური ლიგა 22.00 ღამის შოუ 23.00 კონცერტი – გ. ნიშნიანიძე – პაემანი ვერაზე 02.00 მხ. ფილმი "ჩემი ძმაკას შეყვარებული" 04.10 სერ. "გამომძიებელი ქალები" 04.50 მხ. ფილმი "თაფლობის თვე" (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი 9.45, 10.45, 13.55, 17.45 ტვ-მარკეტი 10.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 11.00 ფარული კამერა 11.30 პულსი 12.00 სერ. "20 000 ლიე წყალქვეშ" 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.10 ანიმაცია "დრაკონთა სამეფო" 15.10, 18.00, 20.00, 0.00 მხ. ფილმი 22.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ.

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00, 23.00 სერ. "სოფია ცოტა მადროვე" 09.30 ფერისცვალება (გან.) 10.00 დილის ტალღა 12.00 ესტაფეტა 12.40, 21.00 სერ. "წყნარი ოკეანის მარგალიტი" 13.00 დოკ. ფილმი 15.00 სერ. "განებივრებული ლამაზმანი" 16.00 ქართ. ფილმი 18.00 დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" 19.35 სერ. "მეგობრები" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 თბილისის ტაძრები 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.00, 12.10, 19.00, 22.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.05, 19.00, 22.00 სიახლენი 10.25 დოკ. ფილმი "ახალმოწამენი" 11.00 საქ. არქივიდან 11.35 ქართული ალბომი 12.15 მხ. ფილმი "ამაღლება" 13.30 ქართული მულტფილმი 14.05 დოკ. ფილმი "შარავანდები" 14.30 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 დოკ. ფილმი "მესაზღვრე ბერები" 17.20 სალვთისმეტყველო საუბრები 18.00 პატრიარქის ქადაგება 18.25 დროის ჩანაწერები 19.05 გზა, რომლითაც ვიარე 19.30 მხ. ფილმი "ცხელი ზაფხულის სამი დღე" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 22.40 დრო და ადამიანები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.05 პატრიარქის ქადაგება 00.35 განთიადის კოლაჟი 01.30 ოპერა "დაისი"

# ჩემი ერთადერთი შვილი შიდსით არის ავად

**ლაურა თვლის, რომ ამქვეყნად ყველაზე უბედური ადამიანია. მისი ერთადერთი შვილი შიდსით არის დაავადებული. ამ უკურნებელი სენის პარალელურად, მის ქალიშვილს ღვი ლის დაავადება — ჰეპატიტიც აწუხებს.**



**ლაურა:**

— ამქვეყნად ყველაზე უბედური დედა ვარ. ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც ობლობაში გავზარდე, უკურნებელი სენით მყავს დაავადებული. ჩემი ნათია შიდსითა და ჰეპატიტით არის ავად.

ნათია ორი წლის მყავდა, როცა დავქვრივდი. ჩემი ქმარი მეზობლებს აშველებდა, როცა ბრმა ტყვია მოხვდა და ადგილზე გააქვავა. მოჩხუბარი მეზობლები მოგვიანებით შერიგდნენ, ჩემი ქმარი კი ველარავინ გამიცოცხლდა. ერთადერთი ქალიშვილი დამრჩა. ნათია სიცოცხლეს მერჩივნა, ამიტომ მისთვის ცხოვრება გადავდე და მეორედ აღარ გავთხოვილვარ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მთხოვნელი მყავდა, თავს ფიცი მივეცი, რომ ჩემს შვილს მამინაცვალი არასოდეს ეყოლებოდა.

რამდენჯერმე ამ თემაზე ჩემი ქმრის მშობლებმაც ჩამომიგდეს სიტყვა — დედამთილმა მითხრა, ვიცით, ჩვენი შვილი რომ გიყვარდა და პატივს სცემდი, მაგრამ ახალგაზრდა ხარ, იქნებ ვინმე წესიერი და პატიოსანი ადამიანი იპოვო და მასთან ერთად მყუდრო ოჯახი შექმნა. თუ შვილი ხელს შეგიშლის, ჩვენ დავიტოვებთ და გავზრდითო, მაგრამ არაფრის გაგონება არ მინდოდა. თემურის შემდეგ ჩემს გულს აღარავინ გაჰკარებია.

ნათია 18 წლის იყო, როცა გამომიტყდა, შეყვარებული ვარ და მინდა, ჩემი რჩეული გაგაცნოო. უარი არ მითქვამს, მალულად და გაურკვეველ ადგილებში შეხვედრას მერჩივნა, ის ბიჭი ჩემს ოჯახში მოსულიყო და მათი ურთიერთობის შესახებ ყველაფერი მცოდნოდა.

სანდრო კარგი ბიჭი იყო, წესიერი, ზრდილობიანი, სიმპათიური. ოჯახში ბევრი დედმამიშვილი იყვნენ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ ჩემი შვილისთვის სანდროს მშობლებს ყველაფერი მიეცათ — ბინით დაწყებული, საოჯახო ნივთებით დამთავრებული.

სანდრო და ნათია მალევე შეუღლდნენ. მთელი ქორწილი ვტიროდი, ჩემი სიმწრით გაზრდილი შვილი ოჯახიდან გასაშვებად მენანებოდა. თვალზე ცრემლი არ შემშრობია, თან ბედნიერი ვიყავი, რომ ერთადერთი შვილი წესიერ ადამიანს ჩავაბარე, თან მიჭირდა იმის გათავისება, რომ ჩემ გვერდით აღარ იქნებოდა.

ნათია შორს გათხოვდა. ჩემს სიძეს ქუთაისში ჰქონდა სახლ-კარი, ჩვენ კი თბილისში ვცხოვრობდით. სანდროს მშობლებმა იმდენი მოახერხეს, ქუთაისში სანდროს წილი გაყიდეს და თბილისში ერთოთახიანი ბინა გარეუბანში უყიდეს. ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვიყავი, შვილთან ასე უფრო ხშირად მივდიოდი და მისი ნახვით ვტკბებოდი.

სამი თვის ორსული იყო ნათია, როცა ეს საშინელი ამბავი გავიგეთ. ექიმთან ანალიზებზე მისულს საშინელი პასუხები დაგვხვდა — ჩემს შვილს ჰეპატიტი და შიდსი ჰქონდა. თუ არ მოვკვდებოდი, არ მეგონა. შოკში ვიყავი. გამორიცხული იყო, ჩემი შვილი ასეთი დაავადების მატარებელი ყოფილიყო. წესიერი გოგო მყავდა, ამიტომ მისი ამ დაავადებებით დასნებოვნება ჩემთვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა.

გამწარებულმა დედამ მაშინვე ის ვიფიქრე, რომ ჩემი სიძე იყო დაინფიცირებული იყო და სქესობრივი გზით ჩემს შვილს ეს საშინელებები გადასდო. ისტერიკები ავტეხე, საშინლად ვიჩხუბე და კატეგორიულად მოვითხოვე სანდროს ანალიზებზე მიყვანაც. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი შვილი სწორედ ქმრის დამსახურებით დაავადმყოფდა. ნათია მაწყნარებდა, მამშვიდებდა, მარწმუნებდა, რომ სანდრო არაფერ შუაში იყო, მაგრამ არაფრის გაგონება არ მინდოდა. სანდროს მშობლებს ქუთაისშიც ჩავუვარდი და იქაც კარგი კონცერტები ჩავატარე. მიჭირდა თავის გაკონტროლება, მათ ვადანაშაულებდი ყველაფერში და ჩემი შვილის ჯანმრთელობის დანგრევას ვაბრალებდი.

სანდრომ მორჩილად მომისმინა, არაფერი უთქვამს. მარტო ეს მიპასუხა, თქვენ რომ დაწყნარდეთ, ლაურა დეიდა, თქვენთან ერთად წავალ ექიმთან და ყველა ანალიზს ჩავაბარებო. ამ სიტყვების გაგონებამ შედარებით დამამშვიდა. მეორე დღეს სანდრომ მანქანით გამომიარა და ექიმთან ერთად წავედით. პასუხებზეც ერთად მივედით და მაშინ მივიღე მეორე შოკი — ჩემი სიძე აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო. არ დავუჯერე და სხვა კლინიკაში მივიყვანე იმავე ანალიზების ჩასაბარებლად. პასუხები აქაც იგივე იყო — ჩემს სიძეს არაფერი სჭირდა. საგონებელში ჩავვარდი. აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა. ისევ ნათიას ვეცი, ალბათ ჩემს უჩუმრად რაღაც მიჰქარე და არ მეუბნები-მეთქი. ჩემი შვილი თავს იკლავდა ტირილით, არასოდეს არავისთან ვყოფილვარ, სანდროს გარდა, სხვა კაცი არ მყოლიაო. აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა. ჩემს შვილს არაფრის ოპერაცია არ აქვს გაკეთებული. მხოლოდ ერთხელ კბილის ექიმთან იყო და ერთხელაც ჩემს უჩუმრად წავიდა და ლოყაზე მეჭეჭი მოიჭრა.

სანდროს აბსოლუტური ჯანმრთელობის შემდეგ ცოტა გონს მოვეგე და ახლა ჩემს მომავალ შვილიშვილზე დავიწყე ფიქრი. არ მინდოდა, ისიც ჯანმრთელობის პრობლემებით დაბადებულიყო. თავიდან მინდოდა, ნათიასთვის ბავშვი მომეშორებინა, მისი განკურნების შემდეგ კი შეეძლო, ისევ დაორსულებულიყო და აბსოლუტურად ჯანმრთელი ბავშვი გაეჩინა.

ეს იდეა გონებაში ჩამიჯდა, მაგრამ ექიმებმა იმედი გადამიწურეს. თქვენი შვილი შიდსის ვირუსის მატარებელი სულ იქნება, მისი განკურნება შეუძლებელიაო. თუმცა, იმით დამიმშვიდეს გული, რომ ეს არ მოკლავს, შეიძლება წლების განმავლობაში იყოს ამ ვირუსის მატარებელი და სულ სხვა სიკვდილით მოკვდესო. რაც შეეხება ჰეპატიტს, მისი მკურნალობაც ისეთ კოლოსალურ თანხებთან იყო დაკავშირებული, მის მოგროვებას ვერასოდეს შევძლებდი.

საბოლოო იმედიც გადამეწურა. საგონებელში ჩავვარდი. მეგონა, ჩემი შვილი დღითიდღე ცუდად გახდებოდა და სულ მალე ხელიდან გამომეცლებოდა. ისევ ნათიამ მიშველა. აქეთ მაწყნარებდა და მიმტკიცებდა, ყველაფერი კარგად იქნებაო. სანდრო სასწაულად ედგა მხარში ჩემს შვილს, სულ ეფერებოდა, გვერდიდან არ შორდებოდა. ეს კიდევ უფრო მაცოფებდა. არ მინდოდა, ჩემი შვილი თავისი დაავადების გამო ვიღაცას შესცოდებოდა და მუდამ სიბრალულით ეცქირა.

ბევრი ვიფიქრე და საბოლოოდ ერთ დასკვნამდე მივედი — სანდროს მშობლებთან ჩავედი, ბოდიში მოვუხადე ატეხილი სკანდალისა და შეურაცხყოფის მიყენების გამო და ჩემი წინადადება შევთავაზე. ვუთხარი, მზად ვიყავი, ნათია სანდროსთვის დამეშორებინა, რადგან არ მინდოდა, მთელი ცხოვრება სანდროს ასეთი ტკივილი ეტარებინა და ცოლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პრობლემები შეჰქმნოდა. სანდროს მშობლებს არაფერი უთქვამთ, მხოლოდ ის მითხრეს, ჩვენ რატომ გვეკითხები, გადაწყვეტილება ნათიას ცოლად შერთვაზე სანდრომ მიიღო და მისი გაშვებაც სანდრომ უნდა გადაწყვიტოსო. მათმა ნათქვამმა თითქოს დამამშვიდა. სულ მეგონა, რომ პირში მომახლიდნენ, კიდევ კარგი, მიხვდი, რომ ასე ჯობია, მოჰკიდე შენს შიდსიან შვილს ხელი და აქედან მიბრძანდიო. მათ მიმართ კიდევ უფრო მეტი პატივისცემა ვიგრძენი და მივხვდი, რომ ისინი სულიერად ჩემზე მაღლა იდგნენ. შეიძლება, გულის სიღრმეში მართლაც ერჩიათ, თავიანთი შვილი ასეთი ტვირთისგან გაეთავისუფლებინათ, მაგრამ გამწარებულ დედას არაფერი მითხრეს.

***— სანდრომ როგორ მიიღო თქვენი წინადადება?***

— მისთვის ამის თქმა ვერ გავბედე, ამიტომ მის მშობლებს ვთხოვე, ჩემი გადაწყვეტილება მისთვის ეთქვათ. ორ დღეში სანდრო ჩემთან მოვიდა, შეშლილს ჰგავდა. ალბათ, ზედმეტად თავშეკავებულობა გამოიჩინა, თორემ, რომ ვეცემე, არ გამიკვირდებოდა. მითხრა, ასეთი რამ თავში როგორ მოგივიდაო. ნათია სიგიჟემდე მიყვარს და მის მიტოვებას არასოდეს გადავწყვეტო.

***— ახლა როგორ არის თქვენი შვილი?***

— ნათიამ საკეისრო კვეთით გოგონა გააჩინა. ის უკვე წლინახევრისაა და საოცრად მიყვარს. თითქოს ჩემი შვილი მასში ჩასახლდა. ნინუცა აბსოლუტურად ჯანმრთელია და არანაირი პრობლემები არ აქვს. სრულიად ჯანმრთელია სანდროც, რადგან ამ ამბის გაგების შემდეგ ის თავს იცავს, რომ ჩემი შვილისგან არაფერი გადაედოს. ნათიას ექიმებმა დაორსულება და შვილის გაჩენა კატეგორიულად აუკრძალეს. ის მუდმივად ექიმების მეთვალყურეობის ქვეშაა. საოცრად უვლის თავის თავს, საკუთარი აქვს ყველაფერი — საპნით დაწყებული, ჭიქითა და კოვზით დამთავრებული. სანდრო და ნათია ისევ ისე შეხმატკბილებულად ცხოვრობენ, ჩემთანაც ხშირად მოდიან, რომ გული დამიმშვიდონ. მიუხედავად იმისა, რომ მათ ასეთი იდეალური ოჯახი აქვთ, ამქვეყნად მაინც ყველაზე უბედური დედა ვარ, რადგან ჩემი ერთადერთი შვილი შიდსით არის დაავადებული.

**თიკო ნინიაშვილი**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მოძღვრება მეღვინეობის; 2. გერმანელი მრეწველი, ოპტიკური მინების მწარმოებელი ფირმის დამფუძნებელი; 3. ქირურგიული ჩარევა დაავადების სამკურნალოდ? 4. ზღვის ყაჩაღი, მეკობრე; 7. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. ძვირფასი ლითონების წონის საზომი საერთაშორისო ერთეული; 12. მოძრავი კიბე მეტროპოლიტენში; 14. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 15. ქსოვილების დამზადების ოსტატი; 17. გამოგონების დამადასტურებელი დოკუმენტი; 20. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით.

**თარაზულად:** 5. უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე პირი; 6. კომპაქტური კომპიუტერი; 8. სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება; 10. შეძენილი ჭკუასუსტობა; 11. გია დანელიას კინოკომედია; 13. ტემპერატურის საზომი ერთეული; 16. ქართველი პოლიტიკოსი; 18. ტყის ხილი; 19. იტალიური საავტომობილო კომპანია; 21. პოემა „ალუდა ქეთელაურის“ პერსონაჟი; 22. თბილისთან დამეგობრებული ინგლისის ქალაქი; 23. სარეკლამო პლაკატი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჰილტონი; 2. ჯაკო; 3. ჰეკლა; 4. ავლანი; 6. ასკურავა; 9. ტერცია; 13. როიტერი; 14. თერაპია; 15. პელოტა; 17. სტუკო; 18. მეგრე; 20. არსი.

**თარაზულად:** 1. ჰაჯიბეი; 5. ალტაი; 7. ძელშავი; 8. ლაკოსტა; 11. ლუარა; 12. ტერასა; 16. თელავი; 17. სიგმა; 19. იორი; 21. ჯოკერი; 22. სკვერი; 23. დარიკი; 24. ხახული.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. გერმანია; 2. ფარდი; 3. დეკანოზი; 4. კეხურა; 7. აბაშა; 9. ისანი; 12. აგლომერატი; 14. ბერეტა; 15. კრაკოვი; 17. მოლუსკი; 20. ბენდი.

**თარაზულად:** 5. სერენადა; 6. ბიენალე; 8. ჭიდაობა; 10. კაშალოტი; 11. პიექსი; 13. ეპილოგი; 16. ბიოსფერო; 18. პოემა; 19. საუნა; 21. ნესტლე; 22. ხვაშიადი; 23. პარკეტი.

# მოერიდეთ სიცხეს!

მიუხედავად იმისა, რომ სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე ტემპერატურა მკვეთრად დაეცა, მაღალი სიცხეები ჯერ კიდევ მოსალოდნელია და მეტეოროლოგები სიცხის მატებას კვლავაც ელოდებიან.

იმისათვის, რომ მწველმა მზემ არ შეგაწუხოთ, სპეციალისტები გთავაზობენ სასარგებლო რჩევებს, რომელთა გათვალისწინებითაც სიცხისგან თავს მაქსიმალურად დაიცავთ.

### მაშ ასე:

1. მოერიდეთ მზის სხივებს. თუ მზის გულზე მაინც გიწევთ ფეხით მოძრაობა, თავზე შლაპა ან ქოლგა დაიფარეთ.

2. ჩაიცვით მაქსიმალურად ნატურალური ქსოვილისგან შეკერილი სამოსი, რომელიც „სუნთქავს“ და არ იწვევს ორგანიზმის გადახურებას.

3. ზაფხულში უარი თქვით დეკორატიულ კოსმეტიკაზე, მაგრამ, თუკი მაკიაჟის გაკეთება მაინც გიწევთ, შეარჩიეთ ძალიან მსუბუქი მაკიაჟი, რადგან ცნობილია, რომ სიცხეში კანი გაძლიერებულად „სუნთქავს“ და გამოყოფს დიდი რაოდენობით ოფლს, რითაც დაბლა სწევს სხეულის ტემპერატურას. კოსმეტიკური საშუალებებით ფორების დაცობამ კი შეიძლება ორგანიზმის გადახურება გამოიწვიოს.

4. მაღალი ტემპერატურის დროს სასარგებლოა ბევრი სითხის მიღება. ძლიერი წყურვილისას არ არის აუცილებელი გაზიანი სასმელების მიღება. უმჯობესია დალიოთ ჩვეულებრივი, ოთახის ტემპერატურის წყალი, რადგან ის ბევრად მალე და კარგად აცხრობს წყურვილს და არც ყელის გაციება გემუქრებათ.

5. ზაფხულში მზე ყველაზე აქტიურია 12.00-დან 16.00 საათამდე. ამ პერიოდში საერთოდ მოერიდეთ მზეს. თუკი გარეთ გასვლა მაინც გიწევთ, მაშინ სხეული მთლიანად დაიფარეთ სამოსით და გამოიყენეთ მზისგან დამცავი კრემი.

6. მაღალი ტემპერატურისას უარი თქვით ალკოჰოლზე. ცნობილია, რომ სიცხეში ალკოჰოლის მოქმედება ორგანიზმზე ბევრად ძლიერდება და ადამიანის სხეული მაღალი ტემპერატურისადმი უფრო მგრძნობიარე ხდება.

7. უარი თქვით ქუჩაში გამოტანილი პროდუქტის შეძენაზე. სპეციალისტების განცხადებით, მაღალი ტემპერატურის პირობებში სხვადასხვა ბაქტერია პროდუქტში ძალიან სწრაფად მრავლდება, ასეთი პროდუქტის მიღებამ კი შეიძლება ორგანიზმის ძლიერი მოწამვლა გამოიწვიოს.

8. ზაფხულში წყალი მაქსიმალურად ხშირად გადაივლეთ. სიცხეში ოფლის ძლიერი გამოყოფისას ილუქება კანის ფორები. წყლის პროცედურების ხშირად მიღებისას კი ფორები სუფთავდება და აგრილებს სხეულს.

9. თუკი ჯანმრთელობა ხელს გიწყობთ, დღეში 2-2,5 ლიტრი წყალი დალიეთ. ამით სიცხეს კიდევ უფრო აქტიურად გაუმკლავდებით.

10. თუ ტემპერატურა 25 გრადუსზე მაღალია, უარი თქვით სპორტისა და ფიზიკური დატვირთვისგან.

11. როგორი სიცხეც არ უნდა იყოს, შეინარჩუნეთ სიმშვიდე, მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს, უარყოფითმა ემოციებმა შეიძლება სავალალო შედეგი გამოიწვიოს.

12. არ დაგავიწყდეთ, განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა მაღალი სიცხის დროს მართებთ იმ ადამიანებს, რომლებსაც აწუხებთ ქრონიკული, ენდოკრინული და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები. მათ ჩანთაში მუდამ უნდა ედოთ სათანადო მედიკამენტები და ხშირად იკონტაქტონ პირად მკურნალ ექიმებთან.

13. თუკი სეზონური ალერგია გაწუხებთ, მოერიდეთ ბაღებსა და სკვერებს, სადაც ყვავილები ხარობს. ექიმის რეკომენდაციით, სასურველია მიიღოთ სათანადო მედიკამენტები, დაატენიანოთ ოთახი სპეციალური დამატენიანებლით. თუ ამის საშუალება არ გაქვთ, მაშინ ოთახში სველი ზეწარი გაფინეთ.

14. მეტეომგრძნობიარე ადამიანებმა სისტემატურად ადევნეთ თვალყური ამინდის პროგნოზს და თქვენთვის არასასურველ დღეებში მოერიდეთ ფიზიკურ აქტივობას.

15. ზაფხულში აბსოლუტურად ყველა მოერიდეთ გადატვირთულ საზოგადოებრივ ტრანსპორტს. ამ დროს ტრანსპორტში შეიძლება ისეთი უჰაერობა წარმოიშვას, რომ ადამიანმა გონებაც კი დაკარგოს.

16. ზაფხულში რაც შეიძლება ხშირად იყავით ბუნებაში, მოერიდეთ მზის გულზე ყოფნას და ყველა ღონე იხმარეთ, შვებულება ნამდვილად დასასვენებლად გამოიყენოთ.

**თიკო ნინიაშვილი**

# სამგლოვიარო განცხადებები

შპს „ჭურის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ლევან შიხაშვილის საყვარელი მამის, ყოფილი ცეკავშირის დამსახურებული მუშაკის

**აკაკი (კაკო) შიხაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ლეიბორისტული პარტია სამძიმარს უცხადებს ნაძალადევის რაიონული ორგანიზაციის აქტიურ წევრს, ბატონ ზაზა გვრიტიშვილს მამის, ბატონი

**იაკობ გვრიტიშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**6 აგვისტო**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6688

ევრო —2,3929

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6721

რუსული რუბლი — 0,0598

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2§-33, ღამით — 16-29

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-27, ღამით — 1§-18

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 26-2§, ღამით — 12-16

## ამინდის პროგნოზი 6 აგვისტოსთვის





# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

ჟურნალი

ფასი: 69 თეთრი

## გუმბათი

„რა სასწაული იხილა ნუგზარ კვაშალმა ლიკანში"

ნანული სარაჯიშვილი:

„ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა, მოხუცთა თავშესაფარი ავაშენო"

იმედა კახიანმა მე-8 საუკუნის საყდარი აღადგინა




# ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

### 6 აგვისტო — შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** — დაწინაურება და კარგი ახალი ამბავი გელით. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კირჩხიბი** — არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **ლომი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ქალწული** — თავს გამოავლენთ, შეიძლება ახალი სამსახური იშოვოთ. **სასწორი** — იმიჯის შეცვლა ღირს, იაქტიურეთ. **ღრიანკალი** — დაბრკოლებას ადვილად გადალახავთ, არ შეშინდეთ. **მშვილდოსანი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **თხის რქა** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **მერწყული** — სასიამოვნო დღეა, გახარებული ხართ. **თევზები** — ნუ დაივიწყებთ წარსულს, იფიქრეთ ახლობლებზე.

### 7 აგვისტო — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ

**ვერძი** — გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრაზე მიდიხართ. **კურო** — არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კირჩხიბი** — ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით, თავს მშვენივრად გრძნობთ. **ლომი** — მშვენიერი დღეა, დიდ წარმატებას მიაღწევთ. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **ღრიანკალი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ, უფროსობას თვალში მოხვდებით. **მშვილდოსანი** — თავს მიხედეთ, არ აყვეთ ჭორებს. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, არ გადაიღალოთ. **მერწყული** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **თევზები** — ის საქმე აკეთეთ, რაც გსიამოვნებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კვენტინ ტარანტინო — უწიგნური რეჟისორი

**მისი სახელი უკვე გასცდა სიტყვას როგორის — ამერიკაში უკვე თითქმის ყოველი მესამე სცენარი „ტარანტინოსეულია". მსოფლიოში განთქმულ რეჟისორსა და სცენარისტს ზურგს არც ერთი უნივერსიტეტი არ უმაგრებს, მაგრამ თავისი მიზანდასახულობით კვენტინ ტარანტინომ გადატრიალება მოახდინა კინემატოგრაფიაში. რად ღირს თუნდაც „მაკულატურა", რომელიც სადღეისოდაც კი ყველაზე შემოსავლიანი ფილმია ამერიკაში.**



### ბავშვობა

ამერიკელი რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი კვენტინ ტარანტინო 1963 წლის 27 მარტს დაიბადა ტენესის შტატის ქალაქ ნოკსვილეში. დედამისი, კონი ნახევარად ინდიელი, ნახევრად ირლანდიელი ფესვების მქონე იყო, რომელიც 15 წლის ასაკში ცოლად იტალიელ ტონი ტარანტინოს გაჰყვა. ერთი წლის შემდეგ მათ ვაჟი შეეძინათ და დედამისმა სახელი თავისი საყვარელი სერიალის „დენთის კვამლი" პერსონაჟის კვინტ ასპერის პატივსაცემად დაარქვა. ამ დროს მომავალი მსახიობის მშობლები უკვე გაშორებულები იყვნენ და ისე მოხდა, რომ მამა□შვილს ერთმანეთი არასდროს უნახავს.

მომავალი ვარსკვლავის ჯერ კიდევ ნორჩი დედა 1965 წელს საცხოვრებლად ლოს ანჯელესში გადავიდა, სადაც ცოლად მუსიკოსს გაჰყვა და შემდეგში იმდენი მოახერხა, რომ საკუთარი ბიზნესი შექმნა ფარმაკოლოგიის განხრით.

ბავშვობაში ტარანტინოს სამსახიობო გატაცება არ ჰქონია. ერთია, ტელესერიალებისა და ფილმების ყურება ძალიან უყვარდა და დედასთან ერთად კინოთეატრების ხშირი სტუმარი იყო.

მოულოდნელად დიდი ფანტაზიის მქონე ყმაწვილმა 14 წლის ასაკში თვისი პირველი სცენარი დაწერა — „მისტერ ლის საოცარი თავგადასავალი". 17 წლისამ კი სწავლა მიატოვა და იმ კინოთეატრში დაიწყო ბილეთების კონტროლიორად მუშაობა, სადაც პორნოფილებს აჩვენებდნენ. პარალელურად კი ჯეიმს ბესტის თეატრალურ სტუდიაში სამსახიობო ხელოვნების ოსტატობას ეუფლებოდა.

### კარიერის დასაწყისი

4□წლიანი ძებნის შემდეგ, ტარანტინომ მიაგნო სამუშაოს, რომელზეც ოცნებობდა — მანჰეტენ□ბიჩის ბოჰემურ რაიონში, ვიდეოარქივის მაღაზიაში კასეტების გამყიდველად მოეწყო. კვენტინს ფილმების ყურება ძალიან უყვარდა და ეს მისთვის მისწრება იყო. მართალია, მეპატრონე დღეში მხოლოდ 4 დოლარს აძლევდა, მაგრამ სამაგიეროდ შეეძლო რამდენი კასეტაც უნდოდა, იმდენი წაეღო სახლში და ფილმები ენახა. ამ ყველაფერმა კი ტარანტინოს სიუჟეტებისა და ჟანრის ელემენტებისადმი ინტერესი გაუღვივა, რამაც გადააწყვეტინა თავისი პირველი სერიოზული სცენარი დაეწერა.

თავისი პირველი ფილმი — □ჩემი მეგობრის დაბადების დღე ტარანტინომ 1986 წელს სამოყვარულო კამერით გადაიღო. შემდეგში მისივე კოლეგასთან და თანამოაზრესთან, როჯერ ეივერთან ერთად ცდილობდა ამ ფილმის ეკრანიზაციის სახსრები თავადვე მოეძებნა, მაგრამ რამდენიმეწლიანი უშედეგო ძიების შემდეგ ერთ-ერთ კომპანიას 50.000 დოლარად მიჰყიდა.

### ცოფიანი ძაღლები

იმავე დროს დაწერილი სცენარები „ნამდვილი სიყვარული" და „მკვლელებად


გაგრძელება მე-8 გვერდზე


# იუმორი



— ბედნიერებისაგან მეშვიდე ცაზე იყო...

* * *

სასამართლოში:

— მომჩივანო, ცნობთ თუ არა ბრალდებულში პიროვნებას, რომელმაც თქვენი მანქანა გაიტაცა?

— ბატონო მოსამართლევ, მისი ადვოკატის გამოსვლის შემდეგ დარწმუნებული არ ვარ, რომ მანქანა საერთოდ მყავდა...

* * *

— რატომ გაქვს პერანგის საყელო პომადით მოსვრილი? ქალის სუნამოს სუნი რატომ აგდის? და საერთოდ, სად იყავი ამ შუაღამისას?

— ცოლთან...

* * *

— ქალიშვილო, რა გქვიათ?

— ირა.

— სრული სახელი?

— ირაკლი...

* * *

ქმარი ცოლს:

— ამ ბოლო დროს რაღაც ძალიან გასუქდი.

— მე მეუბნები მაგას? შენ თავს დახედე, ღიპი მთასავით გადგას.

— ეს ღიპი კი არა, საბრძოლო დიდების ყორღანია.

— და მის ქვეშ ბრძოლაში დაცემული მეომარი განისვენებს, არა?

გ. თ.

# სიყვარულის მონა

## ტესტი ქალებისთვის

ტესტი



*ტესტის შეკითხვებს უპასუხეთ: ა. ხშირად — 0; ბ. ხანდახან — 1; გ. არასდროს — 2.*

1. მიგაჩნიათ, რომ თქვენი პარტნიორის გარშემო ფეხის წვერებზე უნდა იაროთ.
2. გრძნობთ, რომ პარტნიორი ხანდახან საკადრისი პატივისცემით არ გეპყრობათ.
3. მეგობრებთან თავს უფრო კარგად გრძნობთ, ვიდრე თქვენს პარტნიორთან.
4. უხერხულად გრძნობთ თავს, როდესაც პარტნიორის მიმართ უარყოფითი ემოციების გამოხატვა გიხდებათ.
5. გრძნობთ, რომ პარტნიორი უფრო ცუდად გეპყრობათ, ვიდრე თქვენ მას.
6. მიგაჩნიათ, რომ უნდა დაარწმუნოთ პარტნიორი, მეტ სიყვარულს იმსახურებთ.
7. ხშირად იცავთ თქვენს პარტნიორს, ან ბოდიშს იხდით მისი ყოფაქცევის გამო.
8. თავს უხერხულად გრძნობთ, როდესაც პარტნიორისგან რაიმეს თხოვნა გიხდებათ.
9. ხშირად ბრაზობთ საკუთარ თავზე, რადგან სულ თქვენი პარტნიორის გულის მოგებას ცდილობთ.

### პასუხები

**0-6 ქულა:** თქვენ სიყვარულისთვის ჭეშმარიტი წამებული ხართ. აცნობიერებთ, რომ მამაკაცები საშინლად გექცევიან, მაგრამ პრაქტიკულად დაკარგეთ საკუთარი თავის პატივისცემა.

**7-12 ქულა:** გსიამოვნებთ თუ არა, უნდა აღიაროთ, რომ სიყვარულის მონა ბრძანდებით. უფლებას აძლევთ მამაკაცს, უდიერად მოგექცეთ. მიჩვეული ხართ სიყვარულისათვის თავგანწირვას.

**13-18 ქულა:** თქვენს მამაკაცთან ურთიერთობაში თავი ღირსეულად გიჭირავთ, ინარჩუნებთ ღირსებას და სიყვარულის დამსახურებას არ ცდილობთ.

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. 50-იანი წლების პოპულარული საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 2. ძველებური, დაბალყელიანი, რბილი ტყავის ფეხსაცმელი; 3. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 4. ვაზის, ღვინის საპატივცემულო დღესასწაული ძველად საქართველოში; 5. ფეოდალი მთავრების სახელწოდება შუა საუკუნეების საქართველოში; 8. უკრაინელი ესტრადის მომღერალი ქალი; 9. სხვადასხვა ფერის, მინის მსგავსი არაგამჭვირვალე მასა, ლითონის საგნების დასაფარავად, ემალი; 12. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 14. მწვანეთი მოსილი, წყლიანი ადგილი უდაბნოში; 16. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ბულგარეთში მდებარე ქართული მონასტერი; 6. ავადმყოფური, ღრმა ძილის მდგომარეობა; 7. პატარა დროშა, ალამი; 9. ძველბერძენი მოქანდაკე სკულპტურა „ბადროს მტყორცნელის" ავტორი; 10. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 11. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 13. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 15. ბერძნული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. წითელი ფერის ძველი სახელწოდება; 18. მსხლის ჯიში; 19. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 20. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

